WWW.SAERTOGAZETI.ORG

# საერთო გაზეთი

№05 (239) ● 26.II.-5.III.2013 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● www.saertogazeti.org; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი



## საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მიმართვა მიხეილ სააკაშვილს

„პირადად თქვენც გთავაზობთ ბოლო წინადადებას. უახლოეს 2-3 დღეში მკაფიოდ და ცალსახად განაცხადეთ, უარს ამბობთ თუ არა კონსტიტუციურ დიქტატურაზე“

„კონსტიტუციური ცვლილებები ეპოქალურ თემას დაუკავშირდა: წინ — მომავლისკენ, თუ უკან — წარსულისკენ. ამიტომ ვერ მივიღებ ვერანაირ „კი, მაგრამ“-ს და „დღეს არა, ხვალ“-ს.“

## სკანდალი!



საქართველოს ელჩი არაბულ ქვეყნებში ეკატერინე მაიერინგ-მიქაძე თბილისში ისლამისტი ექსტრემისტების გამომგზავრებას ხელმძღვანელობდა?

## პატრონობს თუ არა ქალბატონი მიქაძე „ნაცმოძრაობის“ მიერ არაბულ ქვეყნებში გადასროლილ უზარმაზარ თანხებს და ქონებას?

**გივი ჭიჭინაძე:** „ქართული ოცნება“ დაინტერესებულია ქვეყანაში სხვა პოლიტიკური პარტიებიც მაქსიმალურად განვითარდეს...



## ქართული „სუკი“ და ქართველი „სუკისინები“

რატომ ფრიალებს საქართველოს თავზე დროშა, რომელზეც შეიძლება სომხებს უფრო ჰქონდეთ პრეტენზია, ვიდრე ქართველებს?!



## ვინ ამოშალა ქართველი ერი მსოფლიოს ხალხთა სიიდან?

**კახა კუკავა:** ეს ის საერთაშორისო თანამეგობრობა არ არის, „კანონიერი ქურდი“ ჯაბა იოსელიანი დემოკრატად რომ გამოაცხადა, ზვიად გამსახურდია კი დიქტატორად?!

ISSN 2233-3983

9 772233 398001



# გადაფარვის ტექნოლოგია

## ფრონტის ხაზი დღეს მედიაზე გადის

ვახტანგ ხარჩილავა

**„ნაცმოძრაობის“** არაკეთილსინდისიერმა, სპეკულაციურ-ავანტურისტულმა მიდგომამ პიარის ხელოვნებისადმი ლამის არის, სათაკილო და საჩოთირო შინაარსის ტერმინად აქციოს ეს სიტყვა.

არადა, პიარი ხალხთან, საზოგადოებასთან ურთიერთობას, მისთვის ინფორმაციის სწორად და ეფექტურად მიწოდებას ნიშნავს და სხვას არაფერს.

მართალია, ვილაცები მიხეილ სააკაშვილს პიარის დიდოსტატად მიიჩნევენ, მაგრამ პიარის იმ ფორმას, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის აირჩია, არაფერი აქვს საერთო პიარის თანამედროვე, ცივილურ გაგებასთან.

ეს არის გასული საუკუნის 30-იან წლებში ბოლშევიკებისა და ფაშისტების მიერ დამკვიდრებული პიარტექნოლოგიების უნიჭო გადამღერება და კალკირება.

ხშირად ამბობენ, რომ სააკაშვილი რაღაცით ჰგავს ჰიტლერს, თუმცა ის ყველაზე მეტად ჩრდილოეთ კორეის პარტიულ ლიდერებს, კიმ ირ სენსა და კიმ ჩეინს ჰგავს.

სააკაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ თავს დემოკრატად ასაღებს, ბოლშევიკურ-ფაშისტური სისტემის პოლიტიკური მემკვიდრე და შთამომავალია.

პიარტექნოლოგია, რომელსაც სააკაშვილი იყენებდა, დანაშაულებრივი და კრიმინალური იყო, რადგან ის ფაქტების გაყალბებას, ადამიანების ზომბირებას და გამოთაყვანებას ისახავდა მიზნად.

სააკაშვილის უტიფრობამ პიკს 2008 წლის აგვისტოს ომის მომდევნო დღეებში მიაღწია, როცა წაგებული ომი მოგებულად გამოაცხადა და ათასობით ადამიანი გამარჯვების ნიშნად აცეკვა და ამღერა.

სააკაშვილის მიერ შეთითხნილი ამაზრზენი, მდაბიური და პროვინციალური „ტელეპროდუქცია“ ძირითადად ექსპორტისთვის იყო განკუთვნილი და დემოკრატიულუ მსოფლიოს „დაბოლებას“ და თვალში ნაცრის შეყრას ემსახურებოდა.

საერთაშორისო თანამეგობრობას დღეს უჭირს ვირტუალური „სინამდვილიდან“ რეალობაზე გადმორთვა და შოკისმომგვრელი სინამდვილის დანახვა და




დაჯერება. იმდენად დიდია კონტრასტი რეალობასა და სააკაშვილის ბუტაფორიულ ტელევერსიას შორის.

ახალმა ხელისუფლებამ, ცხადია, პიარის „ნაციონალურ“-ამორალურ მეთოდებზე უარი თქვა, მაგრამ მან, სამწუხაროდ, ვერც ახალი ფორმები შემოგვთავაზა.

არადა, „ფრონტის“ ხაზი დღეს სწორედ მედიაზე გადის...

**თუ როგორ აშუქებდნენ** ქართული მედიასაშუალებები, განსაკუთრებით, ტელევიზიები, 8 თებერვლის ამბებს, 23 წლის წინანდელი მოვლენები გამახსენა.

8 თებერვლამდე ქართული ტელევიზიები (ორიოდეს გამოკლებით), ასე თუ ისე, ინარჩუნებდნენ მეტნაკლებად ობიექტურ პოზიციას, მაგრამ 8 თებერვლის საღამოს უცებ გადასხვაფერდნენ და, ფაქტობრივად, მიხეილ სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ მოკავშირეებად და რუპორებად იქცნენ.

გასაკვირია, რატომ ირჯება ზოგიერთი ჟურნალისტი უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების აგენტივით და რატომ ჰგავს ზოგიერთი ჩვენი ტელეკომპანია რეზიდენტურის ოფისს, რომელიც იმწამსვე სხვა ტალღაზე გადაერთვება, როგორც კი ქვეყანაში დესტაბილიზაციის ნიშნები ჩნდება?

ტელესივრცე, ფაქტობრივად, „ნაციონალების“ სახეებით, მათი განცხადებებით, მათი ბრიფინგების, კონფერენციების, აქციების ამსახველი კადრებით არის გადავსებული.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ მედიის დღის წესრიგს, მედიის სამუშაო გრაფიკს „ნაციონალები“ გეგმავენ.

„ნაციონალები“ შესანიშნავად იყენებენ ე.წ. გადაფარვის ტექნოლოგიას და ხელისუფლების მიერ დაანონსებულ ამა თუ იმ მნიშვნელოვან ინფორმაციას თუ ღონისძიებას მათ მიერ შემოგდებული სკანდალური ნიუსებით ფარავენ.

ასე გადაიფარა ბიძინა ივანიშვილის უაღრესად საყურადღებო სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი პრესკონფერენცია მიძღვნილი მთავრობის ასი დღის მუშაობის შედეგებისადმი, 8 თებერვლის პროვოკაციით.

უამრავი მაგალითის ჩამოთვლა შეგვიძლია, თუ როგორ აყრიან ინფორმაციულ ნაგავს „ნაციონალები“ ახალი ხელისუფლების მიერ გაჟღერებულ საინტერესო ნიუსებს და ჯერ კიდევ მათ კონტროლს დაქვემდებარებული ჟურნალისტთა კორპუსის დახმარებით როგორ ახერხებენ ამ ნიუსების მიფუჩეჩებას.

**ბიძინა ივანიშვილს** თითქოს პოლიტიკურ საქმიანობაში გადმოჰყვა მეცენატის და ქველმოქმედის ის კეთილშობილური თვისებები, რითაც მისი ადრინდელი მოღვაწეობა გამოირჩეოდა — უხმაუროდ, ზოგჯერ ინკოგნიტოდ, ყოველგვარი აფიშირებისა და რეკლამირების გარეშე ეკეთებინა კეთილი საქმეები.

დროის მცირე მონაკვეთში ახალმა ხელისუფლებამ ბევრი კარგი საქმის გაკეთება მოახერხა, თუმცა ეს კარგი საქმეები იმდენად, ულიმღამოდ არის მიწოდებული მოსახლეობისთვის, რომ მის დიდ ნაწილს მხოლოდ ზედაპირული წარმოდგენა აქვს ამ კარგი საქმეების შესახებ, რაც საშუალებას აძლევს „ნაცმოძრაობას“, ნიშნისმოგებით ილაპარაკოს ახალი ხელისუფლების წარუმატებლობაზე, მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილე სულ სხვაა.

ახალმა ხელისუფლებამ საზოგადოებამდე სინამდვილის სწორად მიტანა უნდა მოახერხოს.

როგორც ვთქვით, ფრონტის ხაზი მედიაზე გადის.

### სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსად ივანიშვილის დაცვის უფროსი დაინიშნა



სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსად საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის დაცვის უფროსი ანზორ ჩუბინიძე დაინიშნა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, სახელმწიფო დაცვის სმასახურს პროფესიონალმა უნდა უხელმძღვანელოს.

„ამ სამსახურს გუშინდლამდე თუ მიხეილ სააკაშვილის პირადი დაცვის უფროსი ჯანაშია ხელმძღვანელოლბდა, ის იყო სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება და ეს დანიშვნა პოლიტიკურია?'' სახელმწიფო დაცვის სამსახურს უნდა უხელმძღვანელოს პროფესიონალმა და პროფესიონალი არის ის, ვისაც ამ საქმეში გამოცდილება ქვს. მე მაგალითად, ამ საქმეში არ გამოვდგებოდი'', - განაცხადა უსუფაშვილმა.

### პატიმართა საჩივრის საფუძველზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებს სამსახური დაატოვებინეს

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ცნობით, უწყების გენერალურ ინსპექციაში 2013 წლის თებერვლის თვეში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №2 დაწესებულებიდან შევიდა ოთხი განცხადება.

მსჯავდებულები განცხადებაში № 2 დაწესებულების თანამშრომლების აჩიკო ტაბატაძის, ირაკლი მინაშვილის, ანზორ ამირანაშვილის და გია სურმავას მხრიდან მათ მიმართ სისტემატიურად განხორცილებულ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაზე მიუთითებდნენ.

ასევე დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურიდან შევიდა მიმართვა, სადაც აღნიშნულია, რომ



№2 დაწესებულების რეჟიმის განყოფილების მთავარმა ინსპექტორმა ირაკლი მინაშვილმა გამოძიების მსვლელობის დროს ზეწოლა მოახდინა მსჯავდებულზე, რათა მას ხელი არ შეეწყო გამოძიებისთვის ჭეშმარიტების დადგენაში და დაემუქრა მას ფიზიკური ანგარიშსწორებით.

განცხადებაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა 12 მსჯავრდებულის ახსნა-განმარტებით.

აღნიშნულ საქმეზე გენერალური ინსპექციის დასკვნის გამოტანამდე ირაკლი მინაშვილმა და №2 დაწესებულების რეჟიმის განყოფილების კონტროლიორმა ანზორ ამირანაშვილმა პირადი პატაკის საფუძველზე დატოვეს თანამდებობები. ხოლო დასკვნის საფუძველზე დათხოვნილები იქნენ სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №2 დაწესებულების დირექტორის მოადგილე, იუსტიციის მაიორი არჩილ ტაბატაძე და ამავე დაწესებულების რეჟიმის განყოფილების ინსპექტორი, იუსტიციის უფროსი ლეიტენანტი გია სურმავა.

`medianiusi~

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მიმართვა მიხეილ სააკაშვილს



26 თებერვალი, 2013

ხელისუფლების საკითხი ქვეყანაში გადაწყვეტილია და ამიტომ არ მოგმართავთ როგორც პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს, რომელთანაც რაიმე დამრჩა გასარკვევი. თქვენს პოლიტიკურ გუნდსა და საზოგადოებას შორის ვხედავ სულ უფრო მზარდ უფსკრულს, რომელიც სრული მარგინალიზაციისკენ მიაქანებს ამ გუნდის ღირებულ წევრებსაც კი, და ამიტომ მოგმართავთ.

კიდევ იმიტომ მოგმართავთ, რომ არ ვთვლი ქვეყნისთვის სასურველ მოვლენად თქვენს გუნდთან ერთად განვლილი 9 წლის სრულ დისკრედიტაციას. ხელისუფლება თავისი ხალხის წინაშეა პასუხისმგებელი, ხოლო ხალხი თავის ხელისუფლებაზეა პასუხისმგებელი. ამიტომ ვცდილობ, ყველაფერს და ყველას არ გადაესვას ხაზი, ყველაფერს და ყველას არ მოეცხოს ლაქა, მათ შორის, ქართველი ხალხის თავმოყვარეობას და ღირსებას.

ამიტომ მინდა, რომ როგორმე ღირსეული გამოსავალი ვიპოვოთ, ზედმეტი დანაკარგების გარეშე გავუმკლავდეთ წარსულს და მთელი ენერგია მომავალს მოვახმაროთ. ამიტომ ვწვალობ ამდენს და ვცდილობ დაგანახოთ გამოსავალი, რომელიც გახსნიდა გზას ყველა სხვა პრობლემის ცივილიზებულად მოგვარებისკენ.

**ამიტომ შემოგთავაზეთ დეკემბრის ბოლოს ისეთი საკონსტიტუციო ინიციატივა, რომელზე დათანხმებაც თქვენთვის ყველაზე მარტივი იყო (შეგეძლოთ „პიარქულებიც“ კი იქით ჩაგეწერათ). საპარლამენტო უმრავლესობამაც სწორედ ამიტომ გადაწყვიტა თქვენი პარლამენტში გამოსვლის გადავადება - არ გვინდოდა ის დღე გამხდარიყო წყალგამყოფი. ამიტომ წამოვედით მოლაპარაკებებზეც და ინიციატივის ხელში აღებაც კი შემოგთავაზეთ კონსტიტუციის 2010 წლის მოდელის ნაწილობრივ ამოქმედების ფორმულით. ამიტომ ვთანხმდებოდი ამინისტიის ისეთ ვარიანტსაც კი, რომლის ახსნა ძალიან გამიჭირდებოდა საზოგადოებისთვის.**

> **„პირადად თქვენც გთავაზობთ ბოლო წინადადებას. უახლოეს 2-3 დღეში მკაფიოდ და ცალსახად განაცხადეთ, უარს ამბობთ თუ არა კონსტიტუციურ დიქტატურაზე...“**

მაგრამ თქვენ ყველაფერი გააკეთეთ იმისათვის, რომ ცივილიზებულ, სათანამშრომლო ვითარებაში არ გადასულიყო პროცესი. ამის მიზეზი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს - თქვენს გუნდს თქვენ გარშემო მხოლოდ თქვენ მიერვე გაზვიადებული საფრთხის განცდით აკავებთ და აშანტაჟებთ. თქვენი ამოცანაა, თქვენი გუნდის ცალკეული წევრების დანაშაულზე მთელ გუნდს აღებინოთ პასუხისმგებლობა და ამით „შეადუღაბოთ“ თქვენი რიგები.

**მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული. ჩვენ მიერ ინიცირებული კონსტიტუციური ცვლილება პარლამენტში მარტის ბოლომდე დადგება კენჭისყრაზე. ეს კენჭისყრა კი უკვე ნამდვილად იქნება წყალგამყოფი. გნებავთ ულტიმატუმად მონათლეთ ჩემი სიტყვები და გნებავთ პოლიტიკურ დიდსულოვნებად, მაგრამ სრულიად ცალსახად ვაცხადებ - ვინც ეთანხმება ამ ცვლილებას, იგი აგრძელებს ქვეყნისთვის სამსახურს, ეძლევა შეცდომების გამოსწორების და უკეთესი პოლიტიკური მომავლის შანსი; ვინც უარს ამბობს ამ ცვლილებაზე, იგი იღებს სრულ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ყველაფერზე, რაც 9 წლის განმავლობაში ნებისმიერ თქვენს თანაგუნდელს ჩაუდენია და ამ ტვირთით აგრძელებს ცხოვრებას.**

მე კარგად მესმის, რასაც ვამბობ. საკითხი ამგვარად მმართველი კოალიციის შიგნითაც კი არასოდეს დამიყენებია და არ გამომიცხადებია ე.წ. სავალდებულო კენჭისყრა. მაგრამ ახლა საქმე რომელიმე „საკითხს“ არ ეხება.

**კონსტიტუციური ცვლილებები ეპოქალურ თემას დაუკავშირდა: წინ – მომავლისკენ, თუ უკან – წარსულისკენ. ამიტომ ვერ მივიღებ ვერანაირ „კი, მაგრამ“-ს და „დღეს არა, ხვალ“-ს.**

რა ელით მათ, ვინც წარსულს აირჩევს? განსაკუთრებული არაფერი, გარდა საზოგადოების სათანადო შეფასებისა. რა ელით მათ, ვინც მომავალს აირჩევს? ასევე განსაკუთრებული არაფერი, გარდა საზოგადოების სათანადო დაფასებისა.

პირადად მე, სანამ პოლიტიკაში ვარ, მაქსიმალურად შევიკავებ თავს საკუთარი შეფასებებისგან, მაგრამ როდესაც კვლავ საზოგადოების რიგითი წევრი გავხდები (არცთუ შორეულ მომავალში), ყველაფერს ვილონებ იმისათვის, რომ საზოგადოებას არც ვინმეს შეფასება გადაავიწყდეს და არც დაფასება.

რაც შეეხება კანონს, იგი ყველასთვის კანონად დარჩება: თქვენგან განთავისუფლებული სასამართლო უდანაშაულოს თავისუფლების გარანტიას მისცემს, ხოლო დამნაშავეს - სასჯელის.

**პირადად თქვენც გთავაზობთ ბოლო წინადადებას. უახლოეს 2-3 დღეში მკაფიოდ და ცალსახად განაცხადეთ, უარს ამბობთ თუ არა კონსტიტუციურ დიქტატურაზე**



და უჭერთ თუ არა მხარს პარლამენტის თანხმობის გარეშე მთავრობის შეცვლის აკრძალვას. თქვენი წინმსწრები მკაფიო პასუხი კი იმიტომ არის საჭირო, რომ პოსტფაქტუმ არ დაიწყოთ ლაპარაკი იმაზე, რომ თქვენც მხარს უჭერდით ამ ცვლილებას, ისევე, როგორც დღეს ამტკიცებთ, თითქოს პრემიერის სავარძელში გადაჯდომაზე არც არასოდეს გიოცნებიათ.

## ბიძინა ივანიშვილი: „კონსტიტუციური ცვლილებები ეპოქალურ თემას დაუკავშირდა: წინ — მომავლისკენ, თუ უკან — წარსულისკენ. ამიტომ ვერ მივიღებ ვერანაირ „კი, მაგრამ“-ს და „დღეს არა, ხვალ“-ს.“



# „ქართული ოცნება“ დაინტერესებულია ქვეყანაში სხვა პოლიტიკური პარტიებიც მაქსიმალურად განვითარდეს, მათ შორის „ნაცმოძრაობაცაა“...

**გვესაუბრება პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი გივი ჭიჭინაძე**

**— ბატონო გივი, პირველ რიგში, მოგილოცავთ პარტია „ქართული ოცნების“ დაარსებას, და მინდა გკითხოთ, ყრილობაზე ბატონმა ბიძინამ „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარემ რომ განაცხადა — პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“ არ იქნება პრივილეგირებული პარტიაო. თქვენი აზრით, რას გულისხმობდა?**

— ბატონი ბიძინა, როცა ამას ლაპარაკობდა, გულისხმობდა, რომ „ქართული ოცნება“ არ უნდა იყოს ისეთი თავკომბალა პარტია, როგორც ადრე მოქალაქეთა კავშირი და შემდეგ ნაციონალური მოძრაობა იყო.

ჩვენ არ გვსურს, „ქართულ ოცნებაში იყოს გაერთიანებული ყველა და თუკი „ოცნების“ წევრები არ იქნებიან, სამართალს ვერ მიაღწევენ, როგორც ეს ჯერ კიდევ გუშინ ხდებოდა.

ვაპირებთ დიდ ხანს ვიყოთ ხელისუფლებაში, ამიტომაც ძირფესვიანად უნდა დავაფუძნოთ პარტიული სტრუქტურები და სანდო კადრები შემოვიკრიბოთ. როგორც ბატონი ბიძინა ამბობს: რაც შეიძლება ბევრი კარგი ქართველი უნდა შემოვიკრიბოთყდა დავასაქმოთ.

მთავარია, პარტია მოერგოს ხალხს და არა ხალხი პარტიას. ჩვენ ვაპირებთ, ქვეყანას ვემსახუროთ.

**—თუ მოსახლეობაში ის განწყობა შენარჩუნდა, რაც ახლა არის, მოსალოდნელია, პარტია „ქართული ოცნება“ ყველაზე რეიტინგული და სიმპათიური პოლიტიკური გაერთიანება აღმოჩნდეს საზოგადოებისთვის. მაშინ რა ბედი ეწევა და ხომ არ დაიჩაგრება კოალიციაში შემავალი პარტიები, ხომ არ შეიქმნება კოალიციის დაშლის შესაძლებლობას?**

— ჯერჯერობით ჩვენ კოალიციის რეჟიმში ვართ და არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც კოალიციაში არის გაერთიანებული, არავითარი საფრთხე არ ემუქრება. მოდით, ვთქვათ სიმართლე, არც კოალიციის წევრებს სურთ ეს. ჩვენ, „ქართულ ოცნებას“, თავისუფლად შეგვიძლია გამოვცალკევდეთ, მაგრამ არ ვაპირებთ ამას, არ გვსურს ნაციონალური მოძრაობის გზას გავყვეთ და სხვა პარტიები გამოვრიცხოთ პოლიტიკური პროცესებიდან. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია სხვადასხვა მოსაზრებები, სხვადასხვა შეხედულებები იყოს და ერთი მიმართულებით არ განვითარდეს პოლიტიკური ცხოვრება ქვეყანაში. ეს არც დემოკრატიულია და არც პროგრესული.

ბატონი ბიძინა დაინტერესებულია იმით, რომ კოალიციის მიღმა სხვა პარტიებიც განვითარდეს.

**— „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები ამბობენ, რომ „ოცნებას“ სურს, ნაციონალური მოძრაობა, როგორც პარტია, განადგურდესო.**

— ეს არის მათი ბოდვები და შიშები. სინამდვილე კი სულ სხვაა. მე, პირადად, „ნაციონალური მოძრაობის“ მომავალს ქართულ სინამდვილეში, ფაქტობრივად, ისედაც ვერ ვხედავ. ეს დამტკიცდება კიდევაც მომავალ არჩევნებში.

საქართველოში არის სხვა პარტიებიც, რომლებიც თავის დროზე „ჩაყლაპა“ „ნაცმოძრაობამ“, მათი წარმოჩენა კარგი იქნება ახალ პოლიტიკურ რეალობაში. მაგალითად, სოციალისტური პარტია, სახალხო პარტია, ეს ისეთი გაერთიანებები იყო, რომელთაც ჰყავდათ თანამოაზრეები. ეს პარტიები ხელახლა უნდა აღორძინდნენ. ამ სიტუაციაში „ნაციონალური მოძრაობა“ თავის გადარჩენას თუ შეძლებს, კი, ბატონო, განვითარდნენ, იქნებ, სახელმწიფოებრივი აზროვნებაც ისწავლონ და არა მხოლოდ საკუთარ მუცელზე იზრუნონ. უნდა განვითარდეს პოლიტიკური ცხოვრება, უფრო მრავალფეროვანი და ქმედითი გახდეს. ერთპარტიულ ჰეგემონობას ბოლო უნდა მოეღოს. აქტიური პოლიტიკური კონკურენციის ფონი უნდა შეიქმნას.

„ქართული ოცნება“ ახლა იწყებს „ფეხის ადგმას“, პარტიული სტრუქტურა გასაძლიერებელია, რეგიონებში ორგანიზაციები გვაქვს დასაფუძნებელი. წინასაარჩევნო პერიოდში „ოცნებელები“ ძალიან ხშირად „რესპუბლიკელების“ ოფისში ვიყავით სტუმრად.

**— ბატონო გივი, რეგიონებში ქართული ოცნების ორგანიზაციების დაფუძნებას ხმაური მოჰყვა. ზოგიერთ რაიონში, როგორც იქაურები აცხადებენ, ოფისების ხელმძღვანელებად და პარტიის ადგილობრივ ლიდერებად ისეთი ადამიანები დაინიშნენ, რომლებსაც ადრე „ნაცმოძრაობასთან“ ჰქონდათ კავშირები და ოქტომბრის არჩევნებში „ოცნების“ სასარგებლოდ არც კი უაქტიურიათ. იცით, რა ხდება ამ კუთხით რეგიონებში?**

— სამოცდაცამეტი ორგანიზაცის გვაქვს შესაქმნელი საქართველოს მასშტაბით თბილისის ჩათვლით. 67 პარტიული ორგანიზაცია შექმნილი გვაქვს. დანარჩენებზეც მიდის მუშაობა.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას — ძალიან ბევრი ადამიანი არის, ვისაც სურვილი აქვს იყოს „ქართული ოცნების“ პარტიის თავმჯდომარე და კომიტეტის წევრი. უამრავია ისეთი ადამიანია, ვისაც სურვილი აქვს იყოს „ქართული ოცნების“ პარტიის თავმჯდომარე და კომიტეტის წევრი. ყველას პირველობა უნდა და თუ ნახეს რაიმე კომპრომატი მოწინააღმდეგის მიმართ, მისი გამოააშკარავებისგან თავს არ იკავებენ. მალე დაიხვეწება, ალბათ, ყველაფერი და სიმშვიდეც დაისადგურებს.



**— „ქართულმა ოცნებამ“ მმართველობის 100 დღის განმავლობაში ქვეყანაში ბევრი მნიშვნელოვანი რამ გააკეთა, მაგრამ საზოგადოებას ეს ამბავი არ მიეწოდა ისე, როგორც, მაგალითად, ნაციონალები გააკეთებდნენ...**

— მართალია, ჩვენ არ გვაქვს იმ დონის პიარ-სამსახურები, რაც ჰქონდა და აქვს ნაცმოძრაობას. საქართველოს ყველა ტელევიზია ჯერ კიდევ ნაცმოძრაობის ხელშია და მათ „გათეთრებაზე“ მუშაობს ხან შეფარვით, ხან — აშკარად, მაგრამ სულ მალე, როცა უფრო თვალშისაცემ საქმეებს გააკეთებს „ქართული ოცნება“, ყველა დაინახავს, ვინ ვინ არის.

დიახ. მედია დღეს ჩვენზე არ მუშაობს და ამის დასტურია სწორედ ის, რაზეც ზემოთ ვლაპარაკობდით. რეგიონებში „ოცნების“ ოფისების დაარსებისას შეხლა-შემოხლის კადრებს თვით „მაესტროც“ ე.წ. მსხვილი პლანით აჩვენებდა და სადაც მშვიდად ჩატარდა ყველაფერი, იმაზე ხმას არ იღებდნენ არც „რუსთავი-2“, არც საზოგადოებრივი მაუწყებელი, არც „იმედი“ და არც სხვები.

ცხადია, იდეალური ვარიანტი იქნება, ტელევიზიებმა ობიექტურად გააშუქონ მოვლენები და ფაქტები, მაგრამ ნაცმოძრაობის ინერციით მოქმედენებ და ხალხს ნეგატიურ ინფორმაციას ჩრიან თვალებში — თითქოს ყველაფერი ცუდად არის, არაფერი არ იცვლება და ა.შ. სულ მუდამ ჩასაფრებულია მედია, როგორმე რაღაც ცუდი თქვან და შეცდომაში გამოიჭირონ ახალი ხელისუფლება.

**— ბატონო გივი, სოციალურ ქსელში ხშირად ისმის, რომ მოსახლეობა არ ითხოვს მხოლოდ „პურს“. ხალხს სამართალი შია. პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“ „დააპურებს“ საზოგადოებას სამართლიანობის აღდგენით?**

— სასამართლო ნაციონალების ხელშია, პრეზიდენტიც ნაციონალი ჰყავთ. ოქტომბრამდე, სანამ სააკაშვილს პრეზიდენტი ჰქვია, ასეთ სიტუაციას უნდა შევეგუოთ. ჩვენ ვერ ვეწინააღმდეგებით, რადგან ესენი ყველაფერზე წავლენ. არ სურთ თავიანთი ნაძარცვ-ნახვეჭი დაკარგონ, ძალაუფლება დათმონ და პროვოკაციას პროვოკაციაზე აწყობენ. სააკაშვილს დიდი სურვილი აქვს, გაიქცეს საქართველოდან და დევნილი პრეზიდენტის სახელი ჰქონდეს, მაგრამ არ უნდა მივცეთ ამის სიამოვნება. ნაციონალებს და სააკაშვილს მიზნად აქვთ, მთელი ცხოვრება ისე გაატარონ, გაამწარონ და აურდაურიონ საქართველოს და ქართველ ხალხს ცხოვრება. ეს მათ არ უნდა გავაკეთებინოთ. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა მოვითმინოთ, სანამ ამ კაცს საპრეზიდენტო ვადა არ ამოეწურება.

**— აკი, ოც იანვარს ამოეწურაო?**

— შეიტანა ცვლილებები კონსტიტუციაში, ეს ცვლილებები დაუმტკიცა მაშინდელმა პარლამენტმა და რა ვქნათ?! თავის თავზე მოირგო ყველაფერი. ამაზე მიმდინარეობს ბრძოლა კოალიციის მხრიდან პარლამენტში.

ყველაფერი თავიდან, ნულიდან გვაქვს დასაწყები, რადგან რაც მოასწრეს, ყველაფრის გაფუჭება და ნგრევა მოახერხეს. აღარც სოფლის მეურნეობაა საქართველოში, აღარც ჯანდაცვა, გაპარტახებულია განათლების სისტემა, კულტურა, მეცნიერება. ყველაფრის ფეხზე წამოყენებას დრო სჭირდება.

ბატონი ბიძინა კი თავმდაბალი კაცია. მთელი ცხოვრება ისე აკეთებდა სიკეთეს, არავინ არ იცოდა ამის შესახებ. დღეს ჟურნალისტები რომ ცდილობენ, პროვოკაციული კითხვები დაუსვან ბატონ ბიძინას, თითქოს რაიმეში გამოიჭერენ, რაც უნდა ჩაუსაფრდე, რაც უნდა მოინდომო, ამ ადამიანს უკეთურ საქციელში ვერ გამოიჭერ.

**— რა ამის პასუხია და, ბატონო გივი, თქვენ, ხელოვანი კაცი, ანსამბლ „ქართული ხმების“ სოლისტი, როგორ და რატომ გაპოლიტიკოსდით?**

— „ქართული ხმების“ არც ერთი წევრი პოლიტიკოსი არაა. მე სოფლის მეურნეობის სპეციალისტი ვარ — ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობა მაქვს. დიდი ხანი ვიმუშავე ჩემი სპეციალობით. არც ერთ პოლიტიკურ გაერთიანებაში, კომკავშირშიც არ ვყოფილვარ და არც სურვილი მქონია, რომელიმე პარტიის წევრი გავმხდარიყავი, მაგრამ, როგორც კი გამოჩნდა პოლიტიკაში ბატონი ბიძინა, რომელსაც ასევე არასდროს ჰქონია სურვილი პოლიტიკაში გარეულიყო, ჩვენს 14 თუ 15-წლიან მეგობრობას ეს სჭირდებოდა და მხარში ამოვუდექით ქვეყნის გადასარჩენად. პარტიული მუშაობის გამოცდილება არ მაქვს, მაგრამ მთავარი, რაც გვამოძრავებს, ეს არის ქვეყნის სამსახური. მგონი შევძლებთ იმის გაკეთებას, რაც გულით გვსურს რომ გავაკეთოთ.

**— აბა, პრორუსები არიანო, პუტინი და ველიკოდერჟავული იმპერია ელანდებათო?**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

— სისულელეებს ლაპარაკობენ. ახლა რომ აბსურდს ითხოვენ და ევროპული ორიენტაციის სურვილი უმაღლესი კანონმდებლობით უნდა დავამტკიცოთო, თავის დროზე რას აკეთებდნენ იმის გარდა, რომ სააკაშვილს გაუზარდეს უფლებამოსილებანი და ლამის რომის პაპად აქციეს?!

**— მოსალოდნელია თუ არა, თქვენი აზრით, ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის კურსი კონსტიტუციაში ამჟამად დაფიქსირდეს?**

— არა მგონია, ასე მოხდეს. „ნაციონალებმა“ თავის ჭკუაზე გვატარეს ხალხი 9 წლის მანძილზე, წარმატებული ჰქონდათ ერთადერთი რამ, ეს იყო მუშტი და წიხლი. ამ პატარა ქვეყანაში 300 000 პრობაციონერს მოუყარეს თავი, რაც საოცრებაა. მერაბიშვილის მშობლიურ ადიგენის რაიონში, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი პრობაციონერი აღმოჩნდა. ახლა ხდებიან დემოკრატები და ჰუმანური ადამიანები. „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალებს შორის მთავარი განსხვავება იქნება ის, რომ ყველაფერი მორგებული იქნება ხალხზე.

**— ძველი ხელისუფლება იქადნება, 19 აპრილს დავამტკიცებთ, რომ ხალხი ჩვენს მხარესააო.**

— მათგან განსხვავებით, ჩვენი ხელისუფლება არ აპირებს მიტინგები დაშალოს და დაარბიოს. რამდენ ადამიანსაც სურს, იმდენი გამოვიდეს და აზრი გამოთქვას, ყველა ადამიანი თავისუფალია პოლიტიკურ შეხედულებებსა და ორიენტაციაში.

რამდენიმე დღის წინ სენაკიდან იყვნენ ჩამოსული და ითხოვდნენ თავიანთი კანდიდატის გამგებლად დანიშვნას. არ ესმის ამ ხალხს, რომ ჩვენ გამგებლებს არ ვნიშნავთ, გამგებელს ირჩევს საკრებულო, საკრებულო კი ყველგან ნაციონალების ხელშია. სენაკელები პრემიერის სახლთანაც იყვნენ, გაესაუბრნენ, აუხსნეს სიტუაცია და წავიდნენ ის ადამიანები. მარტვილელებმა კანცელარიის წინ კარვები გაშალეს. დაარბია ისინი ვინმემ? შეურაცხყო? დააპატიმრა? ძალადობა არასდროს აღარ უნდა განმეორდეს.

**— სანამ ნაციონალების პრეზიდენტი, რაც მან არაერთხელ დაადასტურა, უმაღლესი ხელისუფალი იქნება, ნაციონალები პროვოკაციებს არ მოიშლიან. რას ეტყვით მოსახლეობას, რომელთაც მუდმივი შიში და მოულოდნელობები მობეზრდათ ყოფილი ხელისუფლებისგან და ახლა სამართლიანობის და ქვეყნის განვითარებისთვის მშვიდი ცხოვრების პირობებს ითხოვენ?**

— ვიდრე სააკაშვილი იქნება პრეზიდენტი, ასე იქნება. ეს ადამიანი უპროგნოზო კაცია და რას მოიმოქმედებს, არავინ იცის. მასზეა დამოკიდებული მთელი „ნაცმოძრაობა“. ოქტომბრამდე მშვიდობიანად მივა თუ უფრო ადრე მოუწევს პოლიტიკური ასპარეზიდან წასვლა....

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა აშშ-ს ელჩთან და ამერიკელ სენატორებთან იყო შეთანხმებული?



უცნაურია, მაგრამ ტელეკომპანია „იმედი“ რომ კერძო საკუთრება იყო და ჯოზეფ ქეი საერთაშორისო დონის თაღლითი, „ნაციონალური მოძრაობის თავკაცებს“ მხოლოდ ახლა გაახსენდათ, როცა „სარგებელი“ უკვე ნახეს და თევზის თავს საქმე სერიოზულად წაუვიდა ამყრალებისკენ.

ამონარიდი სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენებიდან (30 დეკემბერი. 2008 წ)

**სოზარ სუბარი**: – „2007 წლის 4 ნოემბერს, კვირა დღეს, ღამის 9 საათზე ვანო მერაბიშვილის კაბინეტში თათბირი ჩატარდა, რომელსაც ძალიან ბევრი მაღალი თანამდებობის პირი ესწრებოდა. მხოლოდ რამდენიმეს ჩამოვთვლი. ესენი იყვნენ: თვით შს მინისტრი **ვანო მერაბიშვილი,** მაშინდელი გენერალური პროკურორი **ზურაბ ადეიშვილი,** თავდაცვის მაშინდელი მინისტრი დავით კეზერაშვილი და კონსტიტუციური უსაფრთხოების ყოფილი უფროსი **დათა ახალაია,** რომელიც ოფიციალურად არსად მუშაობდა. სხდომის მასპინძელმა ვანო მერაბიშვილმა დამსწრეებს გააცნო ოპოზიციასთან და მიტინგის მონაწილეებთან ბრძოლის ტაქტიკა. კერძოდ, მათ უნდა შეედგინათ მიტინგის მონაწილეთა სიები და არც ერთი მათგანი არ უნდა დარჩენილიყო გაულახავი. მისი თქმით, ეს საქმე უკვე დაწყებული ჰქონდა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს, მაგრამ საჭირო იყო ამ ფრონტის გაშლა და მასში მეტი ადამიანის ჩართვა. მომიტინგეები უნდა ეცემათ ძირითადად თირკმელებში და მუცელში, თუმცა, განსაკუთრებულ შემთხვევებში სახეშიც შეიძლებოდა ცემა. მიტინგის ზოგიერთი მონაწილისთვის, განსაკუთრებით „მოშავო ტიპებისთვის“ ნარკოტიკები უნდა ჩაედოთ, ოპოზიციის მხარდამჭერ ბიზნესმენებს კი დავით კეზერაშვილი მიხედავდა... აქტიური მომიტინგეები აქტიურად დაიწყებენ ბლატაობას, განსაკუთრებით რეგიონებიდან ჩამოსულები, ხოლო გალახული კაცი საქართველოში არის ჩმორი და მაშინვე კარგავს გავლენასო. ბოდიშს ვიხდი ამ ტერმინის ხმარებისთვის, ეს არის ზუსტი ციტირება, რაც იმ შეხვედრაზე ითქვა. ცემა პოლიტიკად გამოცხადდა, დაიგეგმა და განხორციელდა კიდეც. ეს არის მიზეზი იმისა, თუ რატომ სცემდნენ ამ ადამიანებს როგორც შარშან, ისე 4 ნოემბრამდე და 4 ნოემბრის შემდეგაც. ამ ფაქტიდან კარგად ჩანს ვინ არიან დამნაშავეები და ამ „ცემის პოლიტიკის“ დამგეგმავები.

იმავე დღეებში ამ ფაქტის შესახებ ვუამბე რამდენიმე ძალიან მაღალი რანგის ევროპელ დიპლომატსა და უფლებათა დამცველს. მას შემდეგ მათ არა ერთხელ უკითხავს, თუ როდის მოხდებოდა ამ ინფორმაციის გასაჯაროება. ამ ფაქტის გასაჯაროებას ხელს უშლიდა ბევრი ფაქტორი, მათ შორის ერთი, რომ ვისთვის უნდა მიმემართა, გამოძიებისთვის? როცა ის ადამიანები, ვისაც ეს საქმე უნდა გამოეძიებინათ, ხელმძღვანელობდნენ იმ უწყებებს, ვინც უნდა გამოიძიონ. ვისაც უნდა გამოეძიებინა, ისინი ახორციელებდნენ ამ დანაშაულებრივ პოლიტიკას, ისინი დღესაც ხელისუფლებაში არიან და გამოძიება დღესაც მათ ხელშია.

თუ პარლამენტის საგამოძიებო კომისია შეიქმნება, მე გადავცემ ყველა იმ მტკიცებულებას იმის დასადასტურებლად, რომ ეს ფაქტი ნამდვილად მოხდა და ამის შემდეგ არა მგონია, რაიმე საეჭვო დარჩეს. აქ შემოდის კიდევ ძალიან ბევრი საკითხი — ამ თათბირის მონაწილეთა უსაფრთხოება — რაღაც გარანტიები უნდა არსებობდეს, რომ ეს ყველაფერი გავახმაურო.“

ბატონმა სუბარმა ასევე განაცხადა, რომ თუ არ შეიქმნებოდა ასეთი კომისია, 2007 წლის 4 ნოემბრის თათბირის დეტალების გახმაურებაზე თვითონ იზრუნებდა. ვერ მივადევნე თვალი თუ გულმავიწყობა შემომეპარა, არ ვიცი, მაგრამ ნამდვილად „იხმაურა“ თუ არა ამ საიდუმლო თათბირის შესახებ ბატონმა სოზარმა, მოითხოვა თუ არა ხსენებულ პირთა მიმართ რაიმე სახის სამართლებრივი პროცედურების წამოწყება და თუ „იხმაურა“, სად, ჩემთვის უცნობია.

გასულ წელს ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა ყოფილი ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენლის (რომელსაც 2007 წელს სოლიდური თანამდებობა ეკავა) მოწოდებული ინფორმაცია, თუ რა ხდებოდა 2007 წლის ხალხმრავალი აქციებით შეშინებული პრეზიდენტის შავნაბადას რეზიდენციაში, ვინ იმყოფებოდა მასთან ერთად, რატომ და რის საფუძველზე გადაწყდა დამოუკიდებელი ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა. ინფორმაციის მიხედვით, ამ დროს პრეზიდენტთან იმყოფებოდნენ: **ზურაბ ადეიშვილი, ვანო მერაბიშვილი, გივი თარგამაძე, გელა ბეჟუაშვილი, ზურაბ ნოღაიდელი, ნინო ბურჯანაძე, კახა ლომაია, ერეკლე კოდუა, გიორგი პაპუაშვილი, დათა და ბაჩო ახალაიები**.

„სიტუაცია განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, როცა მომიტინგეებმა თავი მოიყარეს სამების ეკლესიასთან. სააკაშვილს ჰქონდა ინფორმაცია, რომ მომიტინგეთა დარბევის გამო განრისხებული იყო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. საკმარისი იყო სამებასთან სპეცრაზმელებს სისხლი დაეღვარათ ან რომელიმე სასულიერო პირისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინათ, რომ აწყვეტილ მასას ვეღარავინ შეაკავებდა და სასულიერო პირებიც მრევლის მხარეს ღიად გადავიდოდნენ.

სააკაშვილმა კატასტროფის მოახლოება იგრძნო და ვანო მერაბიშვილს სასწრაფოდ მოსთხოვა „იმედის“ გათიშვა. მერაბიშვილმა სააკაშვილს შესთავაზა „იმედში“ ჩანერგილი საკუთარი აგენტურის მეშვეობით შიგნიდანვე მოეხდინა არხის პარალიზება. პრეზიდენტი დათანხმდა **მერაბიშვილს**. შს მინისტრი ცალკე კაბინეტში გადიოდა **ერეკლე კოდუასთან, დათა ახალაიასთან** და **ამირან მესხელთან** ერთად, რომ ამ სპეცოპერაციის დეტალები დაემუშავებინა, თუმცა, მერაბიშვილს არ დასცალდა, რადგან კაბინეტში აღელვებული **გიგა ბოკერია** და **ლევან რამიშვილი** შემოიჭრნენ. („შემოიჭრნენ“ და არა „შეიჭრნენ“!) გიგა ბოკერიამ საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა და სააკაშვილს მოთხოვა, რომ „იმედში“ სპეცრაზმი გაეგზავნა და ასე ალეკვეთა არხის მაუწყებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბოკერია თავისი გუნდით ოპოზიციაში გადასვლით დაემუქრა. ბოკერიას მხარი უყოყმანოდ დაუჭირეს ახალაიებმა, თარგამაძემ და ლომაიამ. ვანო მერაბიშვილმა ბოკერიას არხის შიგნიდან, ტექნიკური მიზეზით გათიშვის გეგმა გააცნო. ამაზე ბოკერია და რამიშვილი ერთხმად აყვირდნენ და სააკაშვილს უთხრეს, რომ თუ „იმედს“ სასწრაფოდ და ნებისმიერ ფასად არ გათიშავდა, რევოლუციას ვერ აირიდებდა თავიდან და მის ადგილს ბადრი პატარკაციშვილი დაიკავებდა, თავად კი იმავე საკანში ჩასვამდნენ, რომელშიც იმხანად **ირაკლი ოქრუაშვილი** იჯდა.

სააკაშვილისთვის ბოკერიას გუნდის ოპოზიციაში გადასვლა არანაკლები უბედურება იყო ვიდრე რევოლუცია — მას ხელისუფლება ჩამოეშლებოდა და აშშ-ისა და ევროპის კეთილგანწყობას დიდწილად დაკარგავდა. ბოკერია და მისი გუნდი ამ კეთილგანწყობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავდნენ. გახლეჩილი ხელისუფლება რომც შეენარჩუნებინა სააკაშვილს, ოპოზიცია მას რამდენიმე თვეში გამოუყვანდა წირვას, რადგან, ბოკერიას გარეშე იგი საპარლამენტო უმრავლესობასაც დაკარგავდა, რადგან ამ უკანასკნელის კვოტით პარლამენტში 30-ზე მეტი დეპუტატი იყო.



სააკაშვილმა, ალბათ, ეს ყველაფერი გაიაზრა, რადგანაც, ის ბოკერიას უყოყმანოდ დათანხმდა იმ პირობით, რომ ამის ნებართვა აშშ-ის ადმინისტრაციიდან უნდა მიეღოთ. გიგა ბოკერიამ სააკაშვილს უთხრა, რომ ამის თაობაზე მან უკვე დაურეკა ამერიკელ სენატორებს — **ჯოზეფ ლიბერმანსა** და **რიჩარდ ჰოლბრუკს,** რომლებიც შეპირდნენ, რომ დაიყოლიებდნენ აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტს **დიკ ჩეინს,** რომელსაც უზარმაზარი გავლენა ჰქონდა. **ბოკერიამ** და **სააკაშვილმა** დახმარება კიდევ ერთ სენატორს სთხოვეს — **ჯონ მაკკეინს** და მას ორივე ესაუბრა ტელეფონით. **მაკკეინმა, ლიბერმანმა** და **ჰოლბრუკმა დიკ ჩეინისგან** თანხმობა მიიღეს, რომ სააკაშვილს დაერბია დამოუკიდებელი ტელეკომპანია, ამის შესახებ სააკაშვილს მაკკეინმა აცნობა. სააკაშვილმა ამ გადაწყვეტილების შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს **მეთიუ ბრაიზას** მოახსენა, რომელიც თბილისში იმყოფებოდა. ბრაიზამ ხელები დაიბანა და საქმეში არ ჩაერია, რადგან მასში ვიცე-პრეზიდენტი და გავლენიანი სენატორები იყვნენ გარეული. ანალოგიურად მოიქცა ამერიკის ელჩი საქართველოში **ჯონ ტეფტი**, თუმცა, ორივე მათგანი შეპირდა სააკაშვილს, რომ ტელეკომპანიის დარბევის მერე შეეცდებოდნენ მის გამართლებას. სწორედ ამის შემდეგ დაავალა მიხეილ სააკაშვილმა ვანო მერაბიშვილს „იმედის“ დარბევა და იქ მომუშავე ჟურნალისტების სამაგალითოდ დასჯა...“

როგორ განვითარდა მოვლენები „იმედში“ შეჭრის მეორე დღეს — დამოუკიდებელ ტელეკომპანიაში სპეცრაზმის შეჭრის, არხის გათიშვისა და ჟურნალისტებისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების გამო მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება სასტიკად გააკრიტიკა ცივილურმა სამყარომ, განსაკუთრებით კი, ადგილზე მყოფმა მეთიუ ბრაიზამ და ჯონ ტეფტმა, პარალელურად, ამერიკულმა სააგენტოებმა გაავრცელეს ზემოთხსენებული ამერიკელი სენატორების კომენტარები, რომელშიც ჩვეულ შეშფოთებას გამოხატავდნენ ტელეკომპანიის დარბევის გამო.

როგორც ბატონი სოზარის, ისე ქართული სააგენტოს მიერ გავრცელებული ეს ინფორმაცია ინფორმაცია კი არა, პირდაპირი ბრალდებებია.

საინტერესოა, ინფორმაციაში მოხსენიებულ პირებს ამის შესახებ შეკითხვა რომ დაუსველოს საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ, ნეტავ, შეიძლება? გასაგებია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ჯერ კიდევ ბოლომდე დაუსახელებელი პირებისთვის კითხვების დასმაც კი არ შეიძლება, მაშინვე პოლიტიკური ნიშნით დევნად ცხადდება მავანთა მიერ, მაგრამ ოკეანისგაღმელ „მეგობრებს“ მოწმის სახით დაკითხვაზე არაა საუბარი, ცნობისმოყვარეობის გამო მაინც რომ დაუსვან კითხვები ხსენებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, შეიძლება? და თუ შეიძლება, რად ჩაითვლება, ამერიკელი სენატორების ჯონ მაკ-კეინის, ჯოზეფ ლიბერმანის, რიჩარდ ჰოლბრუკის და აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის დიკ ჩეინის პოლიტიკური მოტივით დევნად და აშშ-ის დემოკრატიაზე ზეწოლად?

**მაია ჭელიძე**
593 32 49 71

# საქართველო, შეიძლება, საერთაშორისო მასშტაბის სკანდალში გაეხვიოს!



## ამერიკელი ანალიტიკოსის ინფორმაციით, საქართველოს ელჩი არაბულ ქვეყნებში ეკატერინე მაიერინგ-მიქაძე თბილისში ისლამისტი ექსტრემისტების გამომგზავრებას ხელმძღვანელობდა

სააკაშვილის მიერ ხელდასმული ელჩები კიდევ რამდენი ხნით გაიგრძელებენ საკუთარ მისიებს, უცნობია, მაგრამ უკვე დღეს, იგივე შეერთებულ შტატებში საქართველოს დიპლომატიურ მისიებზე მეტად საყურადღებო სახელმძღვანელო-გზამკვლევები ქვეყნდება იმის შესახებ, რომ **საქართველოს ზოგიერთი ელჩი, მაგალითად, არაბულ ქვეყნებში, მეტად საეჭვო და საშიში საქმიანობით არის დაკავებული,** კერძოდ კი ჯიჰადის ექსტრემისტთა საქართველოში ჩამოყვანის ხელშეწყობაში! ანუ წიგნში, რომელიც 2012 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სტრატეგიულ კვლევათა ინსტიტუტის მონაცემთა მიხედვით არის შედგენილი, მისი სახელწოდება **„ჯიჰადი ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაშია“** და წიგნის ავტორები კი პროფესორი გორდონ ხანი (ამერიკის სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევის ცენტრი), სერგ მარკედონოვი და სვანტე კორნელი (ცენტრალური აზიის, კავკასიის და „აბრეშუმის გზის“ კვლევითი ცენტრის დირექტორი) არიან.

აღნიშნული წიგნი, როგორც უკვე მოგახსენეთ, განკუთვნილია, როგორც ერთგვარი სახელმძღვანელო და მისი ავტორები, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ასევე სენატის და მსოფლიოს დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებას ემსახურება!

ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო საქმეების კომიტეტის ანალიტიკოსი **ჯეიმს ჯორჯ ჯატრასი** აღნიშნულ წიგნში წერს: ***„2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ საქართველოს ხელისუფლებამ ერთგვარი სპეკულაციური თამაში წამოიწყო რეგიონში და როგორც ჩერქეზთა გენოციდის აღიარებით, ასევე სოჭის ოლიმპიადის გარშემო არაერთი შემაშფოთებელი განცხადება თუ ნაბიჯი გადადგა. უკვე 2009 წლის დეკემბერში საქართველოს დედაქალაქი თბილისი ჯიჰადის ისლამური წრეების მრავალრიცხოვან წარმომადგენლებს საიდუმლო ვითარებაში მასპინძლობდა. ამ შეხვედრაზე, როგორც ჩრდილო კავკასიელი, ასევე ახლო აღმოსავლეთიდან ჩამოფრენილი ექსტრემისტული დაჯგუფებების ლიდერები ევროპული ქვეყნებიდან ისლამის რადიკალური დაჯგუფებების წევრები და თავად მასპინძელი საქართველოს ძალოვანი უწყებების, კერძოდ, შსს-ს მაღალჩინოსნები ესწრებოდნენ, რომლებიც ამავდროულად, საიდუმლო შეხვედრის ინიციატორებადაც გვევლინებიან. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ჯიჰადის ექსტრემისტთა საქართველოში ჩაფრენის საკითხებს, ქუვეითში, საქართველოს ელჩი კურირებდა და აწესრიგებდა. თავად მიხეილ სააკაშვილი ამ შეხვედრას არ დასწრებია, თუმცალა შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს შსს-ს მინისტრის მოადგილე გ. ლორთქიფანიძე! სააკაშვილის მთავრობა, როგორც კავკასიის საემიროთა თვითაღიარებული ლიდერის დოკუ უმაროვის მკურნალობისთვის საჭირო თანხები (2007 წლის დეკემბერი) ასევე ექსტრემისტ ბოევიკთა სპეციალური მომზადების დაფინანსებაზე არასოდეს იხევდა უკან! დაბოლოს, რუსეთის სამხრეთში იდეოლოგიური ომის საწარმოებლად საიდუმლო შეხვედრაზე გადაწყდა ისიც, რომ ჩრდილო კავკასიის „ჯიჰადის“, „ალქაიდასა“ და საერთაშორისო ისლამური წრეების პროპაგანდისა და იდეოლოგიური ომის საწარმოებლად უნდა შექმნილიყო ახალი სატელევიზიო არხი და ეს „პირველი კავკასიური“ არხის ამუშავებით სისრულეში მოვიდა კიდეც!“*** - წერს ჯეიმს ჯორჯ ჯატრასი.

ძვირფასო მკითხველო, ჩვენ ყველას ძალიან კარგად მოგვეხსენება „ნაცმოძრაობისა“ და მიხეილ სააკაშვილის აღვირახსნილი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა, მისი შედეგებიც საკუთარ ტყავზე გვიწვნევია, მაგრამ თუკი ამერიკული დაზვერვა, სამხედრო-სტრატეგიულ კვლევათა ინსტიტუტი და შესაძლოა, მაშინდელი ამერიკის ელჩი საქართველოში ფლობდნენ ამ ინფორმაციას, რა გარემოებების გამო უჩლექდნენ ენას სააკაშვილს და მის „ნაცმოძრაობას“?



ანდა, ვინ არის ქუვეითში საქართველოს ელჩი, რომელიც საკუთარ სამშობლოში „ალქაიდასა“ და „ჯიჰადის“ ექსტრემისტთა დელეგაციებს ვიზების მიღებაში ეხმარება და რას ფიქრობდა იგივე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მაშინ, როცა საერთაშორისო ტერორისტთა თავკაცევბი აქვე, თბილისში უნდა მიეღოთ?

როგორც გავარკვიე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ სააკაშვილს სულ 19 ელჩის გამოთხოვნით მიმართა. აქედან 8 ელჩი უკვე დაამტკიცა პარლამენტმა, მაგრამ დანარჩენ 11 ქვეყანაში სააკაშვილისგან მტკიცე უარი მიიღო.

**განსაკუთრებულად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არაბულ ქვეყნებში მომუშავე ელჩი ქალბატონი ეკატერინე მაიერინგ-მიქაძე არც იმ 11 შესაცვლელ ელჩთა სიაში ყოფილა და საინტერესო ამ შემთხვევაში, იცით, რა არის? რა და, ის, რომ სწორედ ქალბატონი ეკატერინე ბრძანდებოდა ის ელჩი, რომელიც 2009 წელს ქუვეითში ელჩობდა, რომელსაც თბილისში გამოუმგზავრებია რადიკალური ექსტრემისტები და 2004 წლიდან მოყოლებული დღემდე არასოდეს შეცვლილა.**

სწორედ ქალბატონი ეკა მიქაძის პერსონაზე საუბრობს წიგნში ჯეიმს ჯორჯ ჯატრასი და ეს ინფორმაცია მე თუ „მოვქექე“ ინტერნეტში, ახალმა ხელისუფლებამ და მათ შორის ქალბატონმა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ვერ მოიძიეს?!

რა მაგის პასუხია და... ისლამური აღმსარებლობის ქვეყნებში, როგორიცაა იორდანია, ქუვეითი, ყატარი, ეგვიპტე და ა.შ. ქალის დანიშვნა ელჩად რა უბედურებაა? ნუთუ საქართველოს საგარეო უწყებაში ერთი გათვითცნობიერებული მრჩეველი არ აღმოჩნდა, რომ მინისტრისთვის ეთქვა: ბატონო და ქალბატონო, ამგვარი მიდგომა საქმისადმი ჩვენსავე ინტერესებში არ უნდა შედიოდეს და ასეთი ნაბიჯი მასპინძელი ქვეყნების უკიდურესი შეურაცხყოფააო?! ანდა,

**ძალიან საინტერესოა, როდესაც მაია ფანჯიკიძე 19 ელჩის გამოთხოვის საფუძველზე მიმართავდა სააკაშვილს. ამჟამად ყატარში მივლენილი ელჩი ეკატერინე მაიერინგ-მიქაძე რატომ არ შეიყვანა სიაში და რატომ მაინცდამაინც მას არ შეეხო სავალდებულო როტაცია მთელი 9 წლის მანძილზე?**

როგორც ეტყობა, ქალბატონი ელჩის პერსონა „ნაცმოძრაობას“ ძალიან ეძვირფასება, მაგრამ ახალი ხელისუფლების მხრიდან ეკატერინე მაიერინგ-მიქაძის ხელდასმა ბევრ კითხვას აჩენს და იქნებ ამ წერილის შემდეგ გვიპასუხოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან ვინმემ — რა ხდება? ანდა, ვიდრე გვიპასუხებდნენ, იმაში გაერკვნენ — იორდანიის შემდეგ ქუვეითსა და ახლა უკვე ყატარში პერსონალურად ქალბატონი ეკატერინესთვის რატომ გახსნა საელჩო სააკაშვილის ხელისუფლებამ რეალურად და რას საქმიანობს აღნიშნული უწყება დღემდე და თუნდაც ამ ქვეყნებიდან აქ, საქართველოში, რატომ არ არის გახსნილი არც ერთი საელჩო?

არადა, ვიდრე საგარეო საქმეთა სამინისტრო არსებულ ვითარებაში გაერკვევა,

**საქართველოს მედიასაშუალებები უკვე აქტიურად წერენ იმის შესახებ, რომ „ნაცმოძრაობას“ არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, ქუვეითსა თუ ყატარში, დიდძალი ქონება და ფული აქვთ გადასროლილი! წერენ იმასაც, რომ დუბაიში „ნაცებს“ საკუთარი ოფისი აქვთ და სწორედ იქ მიმდინარეობს ხელისუფლებაში დასაბრუნებელი გეგმის თუ ფინანსების შესახებ საიდუმლო მოლაპარაკებები“!**

აქედან გამომდინარე კი, როგორც ეტყობა, „სააკაშვილებს“ ნდობით აღჭურვილი საკუთარი კადრი სჭირდებათ ელჩად და აკი, ჰყავთ კიდეც?

**ვიმეორებ, ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმე გავლენიანი პერსონა პირდა-**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**პირ ადებენ ხელს სააკაშვილის ხელისუფლებას 2009 წლის დეკემბერში თბილისში „ალქაიდას“, „ჯიჰადისა“ და საერთაშორისო ისლამურ-ექსტრემისტული წრეების მასპინძლობაში პირდაპირ ადებენ ხელს 2009 წელს საქართველოს ელჩს ქუვეითში და დღემდე ამ სკანდალის შესახებ, ამ სკანდალური წიგნის შესახებ არც ახალმა ხელისუფლებამ და არც საგარეო საქმეთა სამინისტრომ არაფერი არ იციან?!**



**მივმართავ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ქალბატონ მაია ფანჯიკიძეს: — სასწრაფოდ შეისწავლეთ არაბულ ქვეყნებში საქართველოს ელჩის ეკატერინე მაიერინგ-მიქაძის საეჭვო საქმიანობის დეტალები!**

**როგორც ამბობენ, ქალბატონი მიქაძე პატრონობს „ნაცმოძრაობის“ მიერ არაბულ ქვეყნებში გადასროლილ უზარმაზარ თანხებს და ქონებას.**

ის, რომ საერთაშორისო ტერორისტი, დაჭრილი დოკუ უმაროვი თბილისში, რესპუბლიკურ საავადმყოფოში მკურნალობდა, ქართულმა საზოგადოებამ 2007 წლის დეკემბერში „რუსთავი-2“ მეშვეობით შეიტყო და ეს ფაქტი სხვა მედიასაშუალებითაც გავრცელდა. ის, რომ შარშან ზაფხულში სააკაშვილის ხელისუფლებასთან დაახლოებული ბოევიკები სოფელ ლაფანყურშიც გამოჩნდნენ (ზოგი ადგილობრივი, ზოგი ჩეჩენი და ზოგიც ევროპის ქვეყნიდან შემოყვანილი), პროვოკაციაც მოეწყო და 13 ადამიანიც დაიღუპა — ესეც სიმართლეა და ჯეიმს ჯორჯ ჯატრასის მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში, რომელიც ამერიკის ხელისუფლების საყურადღებოდ გამოიცა — სწორედ ამ ფაქტების კონსტატაციაა, ისევე როგორც ის ფაქტი, რომ საერთაშორისო ექსტრემისტებისთვის ვიზების მოპოვების საკითხში საქართველოს ელჩი ქუვეითში, ეკატერინე მიქაძე დასახელდა.

ძვირფასო მკითხველო, თქვენ როგორ ფიქრობთ, ამდაგვარ სკანდალში მსოფლიოს რომელიმე ქვეყანა და მისი ელჩი რომ გახვეულიყო, იმ ქვეყანას ნატოში და, თუ გნებავთ, ევროკავშირში ვინმე გააწევრიანებდა?! ანდა, მაშინვე განა უკან არ გამოიწვევდა თავის ელჩს ნებისმიერი თავმოყვარე ქვეყანა და აქ, სამშობლოში სისხლის სამართლის საქმეს არ აღძრავდა მის წინააღმდეგ?

როგორც აღვნიშნე, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სტრატეგიული კვლევის ცენტრმა და ცენტრალური აზიის, კავკასიის და „აბრეშუმის გზის“ კვლევითმა ცენტრმა, ერთობლივად დასტამბა წიგნი „ჯიჰადი ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში“ და ეს წიგნი 2012 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა. სამწუხაროა, რომ საქართველო ამჯერადაც ცუდ კონტექსტშია ნახსენები და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სააკაშვილი და მისი ბანდა, თუნდაც ამ ფაქტების გამო, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ჯერ კიდევ დაუსჯელი!

**საინტერესოა, საკუთარი თანამემამულეების მიერ გამოქვეყნებული წიგნის შესახებ რა კომენტარს გააკეთებს ამერიკის საელჩო საქართველოში და ისიც საინტერესოა, მაია ფანჯიკიძეს რა რჩევას მისცემს ამჟამად ყატარში მომუშავე ქალბატონი ელჩის ეკატერინე მაიერინგ-მიქაძის საქმიანობის შესახებ?**

იმედს ვიტოვებ, რომ ქალბატონი მაია, ბატონი ბიძინა ივანიშვილი და ზოგადად ახალი ხელისუფლება თავად მოძებნიან ინტერნეტში გავრცელებულ დღევანდელ ინფორმაციას და მყისიერად იზრუნებენ ზემოთაღნიშნული შემაშფოთებელი ფაქტებისა თუ მოსალოდნელი პროვოკაციების აღმოფხვრის კუთხით. სხვათა შორის, ინტერნეტში გავრცელებული ინფორმაციიდან მე მხოლოდ ის ნაწილი გავაშუქე, რომელიც საქართველოსთან იყო დაკავშირებული, არადა, მერწმუნეთ, იქ უფრო საგულისხმო მინიშნებები და ფაქტებია ჩვენი სამეზობლო პოლიტიკისა. ასე რომ, იხილეთ შემდეგი ინტერნეტ საიტები: www.america-russia.net; www.geopolitica.ru და თავად დარწმუნდებით, რომ ეს მართლაც ასეა.

**ირინე გოგოსაშვილი**
**555 25 43 35**

# დატოვა თუ არა სანდრა რულოვსმა საქართველო და რა კავშირი აქვს მას უცხოურ საეჭვო სამედიცინო პროექტებთან?

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომლის, ასოცირებული პროფესორის, ქალბატონი მანანა ცინცაძის, ფრაზამ „სანდრა რულოვსმა შექმნა მკერდისა და საშვილოსნოს სიმსივნეების სკრინინგის პროგრამა... გამოდის, რომ თავად იწვევენ ამ დაავადებას საზოგადოებაში, მერე თვითონ მკურნალობენ და ასეც აკეთებენ დიდ ფულს,“ — მოიარა ინტერნეტ და მედია სივრცე.

ახლახანს ხმა გავრცელდა, (უკვე მერამდენედ) რომ სანდრა რულოვსმა დატოვა საქართველო. ამ დაუზუსტებელ ინფორმაციას ისიც დაერთო, რომ საეჭვოდ გაისმა ქალბატონი სანდრას სახელი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გარდაცვლილ პატიმრებთან დაკავშირებით. ყოფილი პატიმრების თქმით, ხშირად ხედავდნენ გაურკვეველი მისიით საპატიმროში მისულ პირველ ლედის რაც მათში ეჭვს ბადებდა, რომ მას რაღაც ინტერესი აკავშირებდა გარდაცვლილი პატიმრების ორგანოებთან...

ასევე საეჭვოდ გაისმა ქალბატონი სანდრას სახელი ქალურ დაავადებებთან დაკავშირებით. პირველმა, ამ კუთხით და საჯაროდ, სამი წლის წინ, ქალბატონმა მანანა არჩვაძემ „კავკასიის“ ეთერში (ცოტნე გამსახურდიას საკითხთან დაკავშირებით მიწვეულმა). სიტყვას მოჰყვა და ითქვა, რომ საქართველოს პირველი ლედის სანდრა რულოვსის პატრონაჟით განხორციელებული პროექტი, რომელიც ქართველ ქალებში საკვერცხეების ჯანმრთელობისკენ მიმართულ ღონისძიებად მოინათლა, სინამდვილეში პირიქითაა — საქართველოში ქალების უშვილობის გამომწვევი პროექტი ხორციელდება.



შემდგომში ერთ-ერთ ინტერვიუში ჩემმა ინკოგნიტო რესპონდენტმა მითხრა, რომ ქალბატონი მანანა, ალბათ, პრეპარატ „გარდასილს“ გულისხმობდა, რომლის ავკარგიანობა მესამე რიგის ქვეყნების ქალებზე იკვლევაო და თავის მხრივ დასძინა: — „რატომაც არა, თუ გავითვალისწინებთ მასონურ გეგმას, რომ მსოფლიოსთვის 5 მლრდ ადამიანი საკმაოდ ბევრია, 1 მლრდ საკმარისია, სწორედაც რომ საჭიროა მსოფლიო დასნებოვნება, რომელსაც თან დაერთვება უშვილობა ორივე სქესში.“

ამ დროისთვის, თბილისის მერიის, გაერო-ს „მოსახლეობის ფონდის დაფინანსებისა“ (**UNFRA**) და საქართველოს პირველი ლედის პატრონაჟით უკვე ორი წლის ამოქმედებული იყო ეროვნული სკრინიგცენტრი (**screen** — გადარჩევა), ანუ გადარჩევის ცენტრი.

პროგრამამ, ცხადია, უფასოდ მოიცვა მთელი საქართველოს ქალები, მათ შორის ე.წ „მატროსოვის“ ციხის პატიმარი ქალებიც, სადაც პირველ ლედის, ასევე ცხადია, გვერდს უმშვენებდა ამჟამად რატომღაც მივიწყებული, მაგრამ თავის მხრივ „მონანიე“, „პატიმრებზე მზრუნველი ციხეების მინისტრი“ ხათუნა კალმახელიძე, პარლამენტარი რუსუდან კერვალიშვილი და მამუკა ქაცარავა მერიიდან.

ხსენებული პროგრამა, მიუხედავად იმისა, რომ კეთილ საქმეს ემსახურებოდა, არ იყო ფართოდ რეკლამირებული, ყოველ შემთხვევაში, ისე მაინც, როგორც პირველი ლედის ამსახველ საქმიანობას ეკადრება, მაგრამ ყველა შემთხვევაში, კალმახელიძისადმი უნდობლობის თუ კიდევ სხვა რამის გამო, ხმა გავრცელდა, რომ პატიმარ ქალებზე რაღაც ცდის ჩატარება იყო გამიზნული, თუმცა სრულად ვერ მოხდა მათი „ათვისება“.

ცოტა ხანში დაიწყო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი მოზარდების საშვილოსნოს კიბოს პროფილაქტიკაზე ზრუნვას და კომენტარისთვის კვლავ ჩემს ინკოგნიტო რესპონდენტს მივმართე.

ქალბატონი თამარი: — „მე გეკითხებით, რა ინტერესი აქვს მართლაც ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით არსებულ აშშ-ის რაღაც ორგანიზაციას, რომ ამხელა ხარჯი გაიღოს მესამე რიგის ქვეყნად ქცეული ქალების ჯანმრთელობაზე?

13-14 წლის გოგონების ვაქცინაცია პაპილომა ვირუსზე — აცრის სრული კურსი სამი ვაქცინაა და საკმაოდ ძვირიც ჯდება, 1 ვაქცინა 500 დოლარი ღირს, თუმცა აშშ-ის ჯანდაცვის სისტემის ხელშეწყობით საქართველოში უფასოდ ჩატარდება. დაგეგმილია, რომ პირველ ეტაპზე ვაქცინაცია 50-მდე მოზარდს ჩაუტარდება. კი, მაგრამ ასეთი „მაგრები“ თუ არიან, თავიანთი ქალების უშვილობის პროგრამით დაიწყონ...

ეროვნული სკრინინგ ცენტრი

ახალი არაფერი იქნება, თუ ვიტყვი, რომ საცდელ ცხოველებთან ერთად საცდელი ადამიანებიც არიან, ძირითადად, პატიმრები, მეტნაკლებად ჯარისკაცები, გააჩნია რა არის გამოსაცდელი და მესამე რიგის ქვეყნების მოსახლეობა (სამხედრო ტყვეებზე საუბარი ცალკე თემაა). ვინ მეტყვის ზუსტად რა დანიშნულების იყო 7 ნოემბრის აქციების დროს საქართველოს შს სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი რუსთაველზე „მოსეირნე“ მანქანა, რომელზეც ლოკატორი, ე.წ „თეფში“ იყო დამონტაჟებული? რატომ გაუჩნდათ დარბეულ ადამიანებს ერთნაირი სიმპტომები, ენით აუწერელი შიში, ყურების ტკივილი და მეხსიერების დაბინდვა? სანამ მისი მწარმოებელი ქვეყანა საქართველოს ხელისუფლებას ჩაუგდებდა ხელთ იმ დანადგარს, ის ხომ სადღაც ვიღაცაზე გამოიცდებოდა, ანდა სულაც აქ გამოსცადეს — რას გაიგებ!... „ალექსეევკის“ დასახლებაში რომ ამერიკელების გასაიდუმლოებული ლაბორატორიაა დახურულ ზონაში, რას აწარმოებს, ვინმემ იცის? ამერიკის კონტინენტზე ადგილი ვეღარ ნახეს აქ რომ არ ჩამომსხდარიყვნენ?

პაპილომა ვირუსის პროფილაქტიკა 13-იდან 26 წლამდეა მიზანშეწონილი, თანაც გოგონა ქალწული უნდა იყოს. ეჭვს რომ არ იწვევდეს აშშ-ის „კეთილი ნება,“ მართლაც ძალიან კარგია, მაგრამ ჯერ გადმოგვცენ ვაქცინის მონაცემები, მედიკოსები გაგვარკვიონ, რა მასალაზეა დამზადებული, რა გვერდითი მოვლენები აქვს და ა.შ. ცნობისათვის გეტყვით, რომ მამაკაცია პაპილომა ვირუსის გადამცემი და არა ქალი, რის პროფილაქტიკას უკეთებენ ქალწულს?!

პაპილომა ვირუსი მხოლოდ ადამიანებში არაა, მისით ავადდებიან ცხოველებიც და ფრინველებიც, მისით დასნებოვნება კი სექსუალური კონტაქტის გარეშეც ადვილი შესაძლებელია აუზზე და სპორტდარბაზში. ახლა რა აღმოაჩინეს ახალი ამ ვირუსის სახით, ჩემთვის გაუგებარია. იცით, რომ ხორცის, თევზის და ფრინველის ხორცის დამნაწევრებლები მუდმივად შეწუხებულები არიან ხელის მტევნებზე და წინამხრის მიდამოებში პაპილომების წარმოქმნით, სილამაზის სალონებში კი ხდება მათი მოცილება უმტკივნეულოდ? — მაგრამ ეს საგანგაშოდ არავის ეჩვენება, რადგან ჩანს, ხილულია. იცით რა, ავთვისებიანი სიმსივნე ძლიერმა დაჟეჟილობამაც შეიძლება გამოიწვიოს და საერთოდ, „კიბოს პროფილაქტიკა“ ძალზე არასერიოზული განცხადებაა.

პაპილომა ვირუსზე დაწვრილებით საუბარი შორს წაგვიყვანს, ამიტომ უახლესი ინფორმაციით დავასრულებ და დასკვნა ყველამ თვითონ გამოიტანოს, — უზბეკეთში ადამიანის უფლებათა დამცველებმა და გაეროს წარმომადგენლებმა ქალთა იძულებითი სტერილიზაციის უამრავი ფაქტი აღმოაჩინეს. უზბეკეთის ჯანდაცვის სამინისტროს განკარგულებაში წერია, რომ სტერილიზაცია ნებაყოფლობითი და უფასოა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ხშირ შემთხვევაში, პაციენტებმა არ იცოდნენ, რომ ექიმები სტერილიზაციას უკეთებდნენ და სამუდამოდ კარგავდნენ შვილის გაჩენის ყველანაირ შანსს. ახლა მე გეკითხებით, რატომ უნდა მქონდეს ამ უმსგავსო, ყოვლად ანტიეროვნული ხელისუფლების იმედი, რომ რაღაც საშინელება არ დევს მისი პირდაპირი მოკავშირის, აშშ-ის „კეთილ ნებაში,“ აქამდე ხომ ცუდის მეტი არაფერი გაუკეთებია ზუსტად იმავე ქართველი ახალგაზრდებისთვის?“

ქალბატონმა სანდრა რულოვსმა მართლა სამუდამოდ დატოვა თუ არა საქართველო და მსოფლიოს შეერია, უპირველესად, მისი მეუღლის საძიებელია, მაგრამ ისე, კაცმა რომ თქვას, თვითგადარჩენის ინსტინქტი თუ ყველა ცოცხალ ინდივიდს აქვს, მუცლადმყოფ ემბრიონსაც კი, რატომ არ შეიძლება იგივე ინსტინქტი ქალბატონ სანდრასაც ჰქონდეს?

**მაია ჭელიძე**
**593 32 49 71**

# მთავრობის 100 დღე

**გვესაუბრება „ახალი ეკონომიკური სკოლის“ პრეზიდენტი პაატა შეშელიძე:**

**— ჟურნალისტებთან შეხვედრისას პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა 100 დღიანი საქმიანობა შეაჯამა. ადრე ჩემთან საუბრისას თქვენ აღნიშნეთ, რომ ვერ ხედავთ წინა მთავრობისგან განსხვავებულ მიდგომებს, რომ მათ მსგავსი პოლიტიკა, მსგავსი დაპირებები აქვთ. რა შთაბეჭდილება დაგიტოვათ 100 დღიანი საქმიანობის შეჯამებამ?**



— საარჩევნო დაპირებები მართლაც მსგავსი იყო. მაგრამ, „ქართული ოცნების“ მთავრობა ცდილობს, რომ საკუთარი დაპირებები შეასრულოს, ცხადია მას რეალობასთან ადაპტირება უხდება. თუმცა, ვფიქრობ, რომ ეს დაპირებები გაცხადებულ შედეგებს ვერ მოიტანს, ამიტომ მათ ამ დაპირებების შესრულებას არ მოვუწოდებდი, ყოველ შემთხვევაში იმ გზებით, რომელიც არჩეული აქვთ — ანუ სახელმწიფოს მიერ მეტი ვალდებულების აღების გზით. ეკონომიკის შემდგომ ლიბერალიზებას უფრო მეტი შეუძლია, ვიდრე ცენტრალიზებული ფონდებისა და უფასო სერვისების იმედად ყოფნას. სახელმწიფოს სხვა ფული არა აქვს, თუ არა გადასახადის გადამხდელის მიერ გადახდილი ან სესხად აღებული, იმავე გადასახადის გადამხდელის იმედად. ასე, რომ როცა სახელმწიფო იხდის, სინამდვილეში გადასახადის გადამხდელი იხდის. მაგრამ რადგან მას ასპარეზი ეკვეცება, მისი შრომის ნაყოფიერება ეცემა. ვფიქრობ, „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკა, ბევრად განსხვავებული არ იქნებოდა — დიდი სახელმწიფო მათი საარჩევნო დაპირებაც იყო.

**— ივანიშვილმა ფასების შემცირებაზე ისაუბრა. მისი თქმით, ელექტროენერგიაზე გადასახადი 21-27%-ით შემცირდა, საწვავზე 10%-ით, გაზი კი თებერვლიდან ასევე 10%-ით შემცირდებაო. რამდენად იძლევა ეს ოპტიმიზმის საფუძველს?**

— ფასები, დენის და გაზის შემთხვევში, ადმინისტრაციული ზეწოლის შედეგად მცირდება. შენარჩუნებულია მიწოდების მონოპოლიური სისტემა, რომელიც კონკურენციის გარეშე მუშაობს და სახელმწიფო ფასწარმოქმნა. გარდა ამისა, უცნობია, თუ რა გეგმებზე თქვეს უარი მომწოდებელმა კომპანიებმა. ეს მიდგომა ჩიხური, არასაბაზრო გზაა. ხოლო ბენზინის ფასზე მთავრობას გავლენა არ აქვს, იგი ბაზრის მიერ ყალიბდება — ხან იკლებს, ხან იმატებს. ამ მიმართულებით, არც რეგულირებები გამხდარა უფრო ლიბერალური და არც გადასახადები შემცირებულა. თუკი ფასების ჩამოყალიბებაში მთავრობა ჩაერია, მაშინ ადგილი აქვს ადმინისტრაციულ არალეგალურ ზეწოლას და ეს უკანონოა. თუ მთავრობა თვლის, რომ მან ეს ბიზნესი ''პოლიტიკური წილებიდან'' გაანთავისუფლა, მაშინ უნდა დაგვანახოს კერძოდ, თუ ვინ იყო წილში და როგორ დაისაჯა?

**— პრემიერმა აღნიშნა, რომ ძალიან კარგი ბიუჯეტი მიიღეს. მისი თქმით, შემცირდა გაუაზრებელი თანხები, გაიზარდა ჯანდაცვის ბიუჯეტი, საუბარი იყო პენსიების გაზრდაზე, სოციალური დახმარებების გაორმაგებაზე და ა.შ. როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორადაა პრიორიტეტები შერჩეული.**

— რეალურად, ერთი ტიპის გაუაზრებელი ხარჯები, მეორეთი შეიცვალა: სახელმწიფოს მიერ სოციალური ვალდებულებების დაგროვებაზე ორიენტირებული ბიუჯეტი შენელებული მოქმედების ნაღმია. ბიუჯეტს მისი გასტუმრება გაუჭირდება, რადგან მალე აღმოჩნდება, რომ მასზე გამოყოფილი თანხები არასაკმარისია. უფასო სერვისები, როგორც წესი, გადასახადის გადამხდელებს უფრო ძვირი უჯდებათ, ვიდრე ეს თავიდან იგეგმა: მოთხოვნის ზრდა, მიწოდების დეფიციტის პირობებში ფასებს ზრდის და შესაბამისად, ჩნდება აუცილებლობა, რომ გეგმები გადახედილი იქნეს და ბევრი მათაგნი დაუმთავრებელი დარჩება. ცენტრალიზებული მართვის მექანიზმი ზედმეტად ხისტია იმისათვის, რომ ბაზრის კონიუნქტურას მოერგოს.

**— რაც შეეხება საყოველთაო დაზღვევის ამოქმედებას, რა გავლენას მოახდენს ეს სადაზღვევო ბაზრის მოთამაშეებზე, ხომ არ შეექმნებათ პრობლემა კერძო მზღვეველებს?**

— სახელმწიფო ჩაანაცვლებს კერძო სექტორს, გააძვირებს მომსახურებას და გააუარესებს ხარისხს. სისტემა ბიუროკრატიული გახდება და გაიზრდება რიგები. გაუგებარია, ვინ უმკურნალებს სტანდარტული ფასით: ექიმების კომპეტენცია ხომ სხვარასხვაა და მათი ფასებიც განსხვაებულია. ასეთი მიდგომა ასევე, ეწინააღმდეგება საბაზრო მიდგომას, რაც აღნიშნულ სექტორში სახელმწიფო ჩარევას გაზრდის.

**— რა მოსაზრება გაქვთ საგადასახადო კანონმდებლობის შეცვლასთან დაკავშირებით, რის მიხედვითაც პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის თქმით, ჯარიმები მნიშვნელოვნად შემცირდა. აქვე, რას ფიქრობთ, საშემოსავლო გადასახადებზე, დაუბეგრავ მინიმუმზე?**

— საშემოსავლო 18-დან 20-მდე გაიზარდა და ეს უკიდურესად ნეგატიური გადაწყვეტილებაა. ის აისახა მილიონობით ადამიანის შემოსავალზე და სახელმწიფოს მიმართ რწმენა შელახა: ეს იყო სიტყვის გატეხა და კონსტიტუციის სულისკვეთების დარღვევა. დაუბეგრავი მინიმუმი არ და ვერ აკომპენსირებს ამ ნეგატიურ გადაწყვეტილბას: ის გადასახადის გადამხდელებს ყოფს შეძლებულ და ნაკლებად შემოსავლიან ჯგუფებად და სჯის წარმატებას, სიმდიდრეს და თვითკმარობას. ცემი აზრით, ეს სამარცხვინო გადაწყვეტილება იყო. ჯარიმების შემცირება, შედარებით დადებითი ნაბიჯია, ამ მიმართულებით დასახვეწი ჯერ კიდევ ბევრია.

**— ბატონო პაატა, თქვენ ადრე აღნიშნეთ რომ სოფლის მეურნეობაზე აქცენტის გაკეთება ფუჭია. ივანიშვილმა ისაუბრა მცირე მიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტზე. მან აღნიშნა, რომ უპრეცენდენტო საგაზაფხულო სამუშაოები და გლეხების დახმარება დაიწყება. 700 მილიონი გამოიყოფა შეღავათიანი და ხანგრძლივი კრედიტებისთვის. რა შედეგს გამოიღებს ეს ზოგადად და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების კუთხით?**

— იაფი კრედიტის გაცემის მთავარი ნაკლი ისაა, რომ იგი იაფია! ვის ან რის ხარჯზეა იაფი? რატომ უნდა გაიფლანგოს რესურსი იაფად? რა ეკონომიკური ლოგიკაა რაიმე ვთქვათ, ათ ლარად იყიდებოდეს და ხუთ ლარად გაყიდო? იაფი კრედიტი უკვე ზარალია. გარდა ამისა, რესურსები აკლდება იმ დარგებს, რომლებსაც ის უფრო მეტად სჭირდება. ერთი შეხედვით, იქმნება ილუზია, რომ ვეხმარებით, სინამდვილეში, ვაკლებთ სხვა პროექტებს და ვახალისებთ უპასუხისმგებლობას. გაუგებარია, ვინ იქნება პასუხისმგებელი დაუბრუნებელ სესხებზე? რა ჩაიდება გირაოში სესხების აღებისას? და ა.შ. ერთადერთი მოგებული მხარე ბიუროკრატია იქნება: ისინი ამ პროექტის განხორციელებისთვის ანაზღაურებას ყველა შემთხვევაში მიიღებენ და რასაკვირველია, იხეირებენ სიტუაციის შესახებ ინფორმაციის ფლობის „გვერდზე“ გაყიდვით. მოკლედ, იაფი კრედიტის ნებისმიერი სქემა — დიდი კორუფციაა. ამ გზით წასვლა, უბრალოდ, არ შეიძლება.

**— რას ფიქრობთ ივანიშვილის მიერ სამი ტიპის ფონდის — საქართველოს სუვერენული ფონდის, ახალგაზრდული ფონდისა და კერძო საინვესტიციო ფონდის დაფუძნებაზე. რა სარგებელს მოუტანს ეს ქვეყანას, გაზრდის ინვესტიციებს?**

— ამ ფონდების საქმიანობის პრინციპი გაუგებარია — როგორ ჩამოყალიბდება, რა პირობებით იმუშავებს, რა საგადასახადო რეჟიმში იქნება? და ა.შ. მთავარი კითხვაა, ვინ იქნება პასუხისმგებელი ამა თუ იმ პროექტის ზარალზე? სახელმწიფოს თანამონაწილეობა ბიზნესისთვის სულაც არაა სასურველი, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი გამორჩენას უშუალოდ სახელმწიფოს რესურსების მითვისებაში არ ეძებ. მოკლედ რომ ვთქვა, ეს პროექტი ბუნდოვანი და არადამაჯერებელია. მრჩება შთაბეჭდილება, რომ გაცხადებული და რეალური მიზნები ერთმანეთს არ ემთხვევა.




**გვესაუბრება ეკონომისტი ვაჟა ბერიძე**

**— ბატონო ვაჟა, ბიძინა ივანიშვილმა 100-დღიანი საქმიანობის შედეგები შეაჯამა. როგორ შეაფასებთ ამას?**

— რაც მთავარია, ამ 100 დღის განმავლობაში ძირითადი აქცენტები გამოიკვეთა, დაფიქსირდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები. ახალი ხელისუფლება, ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ მთავარი ადამიანი, მოქალაქეა. მეორე მიმართულებაა — შეწყდეს ქვეყნიდან მოსახლეობის მიგრაცია, დემოგრაფიული სიტუაციის გაუარესება, ამისთვის ხალხის დაპურებაა საჭირო. საერთოდ, ითვლება, რომ საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, განსაკუთრებით დაწვრილერთეულებული საგლეხო მეურნეობებით, მაგრამ მიწის ნაყოფიერება საკმაოდ მაღალია. მიუხედავად მძიმე საბჭოთა მემკვიდრეობისა, ამ პერიოდში ახალი კულტურების შემოსატანად, დასანერგად ბევრი რამ გაკეთდა. უამრავი სოფელია დაცლილი, ხალხი სხვადასხვა ქვეყნებშია გასული. ეს პროცესი უსასრულოდ არ უნდა გაგრძელდეს და გამოთავისუფლებულ სივრცეში ახალი მიგრანტები არ უნდა შემოვიდნენ, რაც, პრინციპში, თავისუფალი ეკონომიკისთვის დამახასიათებელია, თუმცა ჩვენგან განსხვავებით, ეს არსად, მათ შორის, არც ევროპაში უკონტროლოდ არ ხდება.

ახალი ხელისუფლება მიიჩნევს, რომ საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია სოფლის მეურნეობის აღორძინება. ამ მიზნით მილიარდიანი ფონდის შექმნა იყო დეკლარირებული და ამ 100 დღის განმავლობაში გაცხადდა, რომ ეკონომიკაში 700 მილიონი ლარი ჩაიდება. მიმაჩნია, რომ ეს უძირო ხაროში ჩაყრილი ფული ნამდვილად არ იქნება. განსხავებით წინა ხელისუფლების მიერ დარიგებული 20-ლარიანი ვაუჩერებისგან, ამ შემთხვევაში სისტემურ მიდგომასთან გვაქვს საქმე. დაგეგმილია სოფლად 60 ახალი საწარმოს გახსნა. ასევე იაფი კრედიტის პროგრამის ამუშავება.

**— რაც შეეხება იაფ კრედიტს, 100-დღიანი პროგრამის შესახებ ჩვენ „ახალი ეკონომიკური სკოლის“ პრეზიდენტს პაატა შეშელიძეს ვესაუბრეთ, რომელმაც აღნიშნა, რომ იაფი კრედიტის გაცემის მთავარი ნაკლი ისაა, რომ იგი იაფია. მისი მტკიცებით, იაფი კრედიტი ზარალია და მეტი არაფერი. რა მოსაზრება გაქვთ თქვენ? ასევე, იგი ეჭვქვეშ აყენებს სოფლის მეურნეობის პრიორიტეტად დასახვას და ამბობს, რომ ჩვენთან მიწების დიდი ნაწილი გამოსაყენებლად უვარგისია.**

— ჩვენ არ უნდა ვაიძულოთ საქართველოს მოსახლეობა, საზოვარზე სხვაგან წავიდნენ და მათი ადგილი აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებმა დაიკავონ. მაგა-



ლითად, ბატონი შეშელიძისთვის, სავარაუდოდ, არაფერი მიუღებელი არაა იმაში, რომ კახეთის მიწებს პენჯაბელი ფერმერები ყიდულობენ. ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე, როცა ჩვენი სუვერენიტეტი მყიფეა, საზღვრები მკაიოდ დაუფიქსირებელია, ქვეყანა დეზინტეგრირებულია, ტერიტორიების 20% დაკარგულია, მიმაჩნია, რომ ეს კატეგორიულად მიუღებელია. საკუთრების უფლება უნდა ჰქონდეს ფიზიკურ პირს, კომლს, იურიდიულ პირს. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ აქაც დატოვა ე.წ. ხვრელები საიმისოდ, რომ უცხოელებს საქართველოს ტერიტორიებზე მიწების ფლობა შეძლებოდათ. უცხოელს შეუძლია საქართველოს მოქალაქეს იურიდიული პირი დააფუძნებინოს და შედეგად მიწის მესაკუთრე გახდეს. ეს კატეგორიულად მიუღებელია. ბატონი პაატა სვამს კითხვას, ვის ხარჯზეა ეს კრედიტი იაფიო. გეტყვით, რომ ეს კრედიტი იაფი უნდა იყოს ჩვენს ხარჯზე. ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებმა გარკვეული მსხვერპლი უნდა გავიღოთ და აგრარულ სექტორს იაფი კრედიტი მივაწოდოთ.

**— ბატონი პაატა მიიჩნევს, რომ ამით ერთადერთი მოგებული მხარე ბიუროკრატია იქნება.**

— კატეგორიულად არ ვეთანხმები. ბიუროკრატია კი არა, ამით მთელი ქართული საზოგადოება დარჩება მოგებული, რადგან ეს სექტორი გამოცოცხლდება. ნეოლიბერტარიანელებს ევროპა, ევროკავშირი სოციალისტურ არეალად მიაჩინათ, სადაც სოციალისტური და არა კლასიკური ლიბერალური შეხედულებებია გაბატონებული. აქედან გამომდინარე, მათთვის სოფლის მეურნეობის ძალიან მასშტაბური სუბსიდირება, რომელსაც ისეთი ქვეყნები ეწევიან, როგორიცაა საფრანგეთი, შვეიცარია, ავსტრია და სხვა, მიუღებელია. არსებობს ქვეყნების მთელი წყება, სადაც მიწის მესაკუთრე არ შეიძლება სხვა ქვეყნის მოქალაქე იყოს. ახალ ზელანდიაში 7 წელი უნდა იცხოვრო, რომ შემდეგ განცხადება შეიტანო 2 ჰექტარზე მეტი მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადმოსაცემად. ლიბერტარიანელებს მიაჩნიათ, რომ მსოფლიო ერთიანი ეკონომიკური სივრცეა და მასში




წარმატებას უნდა მიაღწიონ იმათ, ვინც აბსოლუტურად თავისუფალი ბაზრის პირობებში წარმატებას მოიპოვებს. ყველა სხვა, ვისაც უნარი არ აქვს თანაბარკონკურენტულ პირობებში ფეხზე დადგეს, თურმე მარცხი უნდა განიცადოს და საკუთარი სასიცოცხლო არეალი შეიზღუდოს. მათთვის სოფლის მეურნეობის ყოველგვარი სუბსიდირება და იაფი კრედიტით მხარდაჭერა მიუღებელია.

**— ივანიშვილმა 100-დღიანი საქმიანობის შეჯამებისას ყურადღება გაამახვილა ინვესტიციებზე და სამი ტიპის ფონდის დაფუძნებაზე. აქაც ბატონი პაატა მიიჩნევს, რომ ამ ფონდების საქმიანობის პრინციპი გაუგებარია და რომ ეს ეკონომიკას არ წაახალისებს, არამედ სახელმწიფო და კერძო რესურსებს ბიუროკრატიის ჯიბეებისკენ გადაქაჩავს. როგორია თქვენი მოსაზრება ამ საკითხზე?**

— რა თქმა უნდა, ეს ფონდები ჯერ ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯნული არ არის, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში არ გავმართავ პოლემიკას ბატონ შეშელიძესთან, რადგან ხედვის კუთხე სხვაა. მიმაჩ-



ნია, რომ ინვესტიციები ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკისთვის, წინსვლის, წარმატებისა და ეკონომიკის გამოცოცხლებისთვის სერიოზული ფაქტორია. რაც უფრო მეტი ინვესტიცია შემოვა ქვეყანაში, მით უკეთესი მოქალაქეებისთვის, რადგან ეს პირდაპირ კავშირშია დასაქმების პრობლემის მოგვარებასთან. ამდენად, 2-მილიარდიანი ფონდი, რომლის დაფუძნებასაც ივანიშვილი გვპირდება, ვფიქრობ, სერიოზულად გამოაცოცხლებს ეკონომიკას და საინვესტიციო გარემო კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ერთ-ერთ ფონდში სახელმწიფო იქნება თანადამფინანსებელი, იგი წაახალისებს ინვესტორს და მასთან ერთად იმოქმედებს, რაც დაცულობის კუთხით ინვესტორისთვის მნიშვნელოვანია.

**— აპრილიდან საყოველთაო დაზღვევა იწყება. ამ თემაზე ბევრი კრიტიკა ისმის, კერძოდ, ხომ არ შეექმნებათ პრობლემა კერძო მზღვეველებს, რაზეც ყურადღება ივანიშვილმაც გაამახვილა. შეშელიძის აზრით კი, ასე სახელმწიფო კერძო სექტორს ჩაანაცვლებს, გააძვირებს მომსახურებას და გააუარესებს ხარისხს.**

— მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. პირველ ეტაპზე, პირველადი ჯანდაცვის დაზღვევა უნდა მოხდეს, აქ პრობლემას ვერ ვხედავ, ამის დაძლევა შეიძლება. ცოტა რთულია მეორე ეტაპი, როდესაც დაუგეგმავი ოპერაციების დაფინანსება უნდა მოხდეს, ეს უფრო რთული იქნება. ვფიქრობ, ფინანსური უზრუნველყოფა ამ პროცესს ექნება. უფრო მეეჭვება, რამდენად შეძლებს ჩვენი ჯანდაცვის სისტემა ასეთი მოძალებული და მოზღვავებული მოქალაქეების მომსახურებას.

**—შეშელიძის მტკიცებით, ერთი ტიპის გაუაზრებელი ხარჯები მეორეთი შეიცვალა...**

— ევროპა ცარიელი სიტყვა არაა. ჩვენ ევროპული ეკონომიკის პრინციპები უნდა გადმოვიღოთ. ივანიშვილი მეხუთე ბორბალს არ იგონებს, იგი კარგად იცნობს ევროპას, გონიერი, განათლებული კაცია და მიაჩნია, რომ ევროპული ეკონომიკის მოდელი — არანაირი ფარული მონოპოლიები, არანაირი შეზღუდვა კონკურენციის, ანტიმონოპოლიური რეგულირება უნდა განხორციელდეს. ევროპა კატეგორიულად მოითხოვდა ანტიმპნოპოლიური რეგულირების, სურსათის უვნებლობის, სტატისტიკის უწყების რეორგანიზაციას, მაგრამ „ნაციონალები“ ამ მოთხოვნებს არ ასრულებდნენ. ჩვენ თურმე ევროპისკენ კი არ მივდიოდით, არამედ სადღაც უფრო შორს. უნდა გვქონდეს ისეთივე კონკურენტული გარემო, როგორიც ევროპაშია. განა ევროპა ვერ შეძლებს თავის ქვეყნებში იაფი სოფლის მეურნეობის პროდუქტი შეიტანოს? — რა თქმა უნდა, შეძლებს, მაგრამ ამას არ აკეთებს იმიტომ, რომ იგი სოფლის სუბსიდირებას აწარმოებს და ამის ხარჯზე სოფლის მეურნეობას ინარჩუნებს. ამას იმიტომ აკეთებს, რომ თუ ადამიანი მიწას, სოფელს მოწყდება, იგი სუპერმომხმარებელი ხდება, კარგავს ფესვებს, ეროვნულობას, მოქალაქეობრივ ცნობიერებას და საბოლოოდ ხდება ცხოველი, რომელიც შემდეგ იმ არეალიდან ქრება, სადაც ეს სინამდვილეა. იდეაში მომწონს, რასაც ბატონი შეშელიძე, ჯანდიერი, ბენდუქიძე ამბობენ, მაგრამ როდესაც ამას პრაქტიკულად ისეთი ქვეყნის რეალობას მიუსადაგებ, როგორიც საქართველოა — 2 მილიონი ემიგრირებულით, 2/3 მოსახლეობის სიღატაკის ზღვარს ქვემოთაა, რთული სამეზობლოთი, მგონი მათი თეორიები მიუღებელია. ვიზიარებ „ქართული ოცნების“ ეკონომიკური გუნდის მიდგომებს, მხარს ვუჭერ მათ. 3 თვე ძალიან მცირეა იმის საილუსტრაციოდ, თუ რის გაკეთებას აპირებს ახალი ხელისუფლება, ამიტომ მივესალმები, როგორც მათ მიერ წარმოდგენილ სოციალურ პაკეტს, ისე სოფლის მიმართ ფართომასშტაბიან პოლიტიკას და რაც მთავარია, საინვესტიციო ფონდების დაფუძნებას.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# „მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს...“

25 თებერვალს შსს-ს პოლიციის აკადემიაში საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დაღუპული ქართველი იუნკრები გაიხსენეს. ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, რომელსაც შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ესწრებოდა, იუნკრების შთამომავლებიც იყვნენ მიწვეულნი. მინისტრმა სტუმრებთან ერთად დაათვალიერა შსს-ს არქივში დაცული უნიკალური ფოტოდოკუმენტური მასალების გამოფენა, რომელიც საქართველოში 1921 წელს განვითარებულ მოვლენებს ასახავს. ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი „1921“, რომელიც შსს-ს საარქივო მასალებზე დაყრდნობით მომზადდა. ფილმში წარმოდგენილი იყო საქართველოს გასაბჭოების პერიოდი, საერთოდ 20-იანი წლების საქართველო და რაც მთავარია, იუნკრების თავდადებული ბრძოლა კოჯრის მისადგომებთან.



ირაკლი ღარიბაშვილმა იუნკრების შთამომავლებს მცირეოდენი საჩუქარი, ხსენებული ფილმის ჩანაწერები და შსს-ს არქივის სამსახურის მიერ გამოცემული კალენდარი „XX საუკუნის ქართველი გმირები“ გადასცა.

„საერთო გაზეთი“ იუნკერების ახლობლებს და ღონისძიების ორგანიზატორ შსს-ს აკადემიის წარმომადგენელს გაესაუბრა.

ზოია კალანდარიშვილის ბიძა, 23 წლის ნიკოლოზ კალანდარიშვილი კოჯრის მისადგომებთან დაიღუპა.

ზოია კალანდარიშვილი: „ბიძაჩემი უცოლშვილო იყო, პირდაპირი



შთამომავალი არ დარჩენია. სახლში კედელზე ძალიან ლამაზი მამაკაცის გადიდებული ფოტო გვეკიდა, 6-7 წლის ვიყავი მისი ვინაობით რომ დავინტერესდი, მამამ მითხრა, ჩემი ძმა არისო. გამიკვირდა, მე რატომ არ ვიცნობდი, 1921 წელს კოჯრის მისადგომებთან დაიღუპაო. მამას ვთხოვე ბიძის საფლავი ეჩვენებინა, სად გვაქვს მისი საფლავიო და მომიყვა, რომ ადრე მთავრობის სასახლის ადგილზე „სობორო“ იყო და მის კედელთან, საძმო საფლავში ერთად დაკრძალეს გმირულად დაღუპული იუნკრები. მხოლოდ მარო მაყაშვილია ცალკე დაკრძალულიო. დაღუპულთა ახლობლები ახლოს არ მიგვიშვეს, შორიდან ვიცრემლებოდით, ეს იმხელა ტრაგედია იყო, რომ თვითონ ბოლშევიკებსაც კი არ ეზეიმებოდათ მათი ე.წ. გამარჯვებაო.

ჩემი შვილიშვილი პატარა იყო 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალთან რომ წავიყვანე, მაშინ ვნახე პირველად 1921 წელს დაღუპულ იუნკერთა მემორიალი, ბიძაჩემის გვარიც რომ ამოვიკითხე, ჟრუანტელმა დამიარა. ერთის მხრივ იყო დიდი სიხარული, მისი სახელი და ხსოვნა რომ არ დაიკარგა, მეორეს მხრივ დიდი სინანული, რომ ის, ასე ახალგაზრდა დაიღუპა. ამის მერე ყოველთვის მივდიოდი შვილიშვილთან ერთად იუნკრების საფლავთან და ყვავილები ვამკობდი, ძალიან მეამაყება ასეთი ბიძა რომ მყავდა.

მეოთხე წელია, რაც იუნკრების ხსოვნის აღნიშვნა ტრადიციად იქცა, მთავრობის სასახლესთან პანაშვიდი იმართება, იუნკრების სულებს სანთლებს ვუნთებთ, სულმოუთქმელად ველოდები ხოლმე 25 თებერვალს. შსს-ს აკადემიაში პირველად მიგვიწვიეს და საერთოდაც წელს ყველაზე მასშტაბური ღონისძიება იყო, პარლამენტის მთელი შემადგენლობა მოვიდა, მანამდე პარლამენტის თავმჯდომარე და 1-2 პარლამენტარი თუ მოდიოდნენ. ძალიან გახარებული და ამაყი ვარ“.

21 წლის შალვა ერისთავის შთამომავლის, აფხაზი ქალბატონის თამარ აშხვაცავას განცხადებით, ერისთავები მამამისის დედულეთია. შალვა ერისთავი, ერთადერთი იუნკერია, რომელიც ცალკეა დაკრძალულიო.

თამარ აშხვაცავა: „ბიძაჩემის საფლავი ვერის პარკშია, დანიელ ჭონქაძის საფლავის გვერდით, სურათი და წარწერაც აქვს თუ როდის დაიღუპა. ჩემი ოცნებაა და საერთოს ყველასი, ვინც აქ ვართ, რომ გაკეთდეს მემორიალი, რომელზეც ყველა იუნკერის გვარ-სახელი იქნება დაწერილი. ეს დიდი სიკეთე იქნება მთელი ქვეყნისთვის. ძალიან ბედნიერი და მადლობელი ვარ ამ მოწვევით“

ქეთევან ჯანდიერი: „კაპიტანი მიხეილ თუმანიშვილი ჩემი მამამთილის ძმა იყო, თავად ოჯახი არ ჰყავდა. ჩვენ ვართ მისი ახლობლები. დღეს გავიგე პირველად, რომ გმირულად დაღუპულ იუნკრებს შორის ჯანდიერებიც ყოფილან“.

კაპიტანი მიხეილ თუმანიშვილი მხატვარ მანანა თუმანიშვილის ბიძაა.

მანანა თუმანიშვილი: „მიხეილი მამაჩემის უფროსი ძმა იყო. მამაჩემიც იუნკერი იყო, კადეტთა კორპუსში სწავლობდა. კოჯორთან ბრძოლა რომ მოხდა, მან ძმას აკითხა და ერთად იცავდნენ თბილისს მე-11 არმიის შემოსევისგან. მამაჩემი დაჭრილიც იყო. ძალიან კმაყოფილი ვარ ამ შეხვედრით, ასეთი ღონისძიება არასდროს ყოფილა. იუნკრების ხსოვნას ყოველთვის აღნიშნავდნენ, მაგრამ ასეთი ყურადღება არასდროს გამოუჩენიათ, ყველაფერი შესანიშნავად იყო“.

ფრიდონ დიასამიძე (შსს-ს აკადემიის პრორექტორი): „დღევანდელ დღეს კიდევ ერთხელ აღინიშნა იუნკერების ხსოვნა, იმ ადამიანებისა, რომლებმაც 1921 წლის თებერვალში თავი შესწირეს სამშობლოს დამოუკიდებლობას და ერთიანობას. მათ გაიზიარეს დიდი ივანე ჯავახიშვილის მოწოდება, გვერდზე გადადეს წიგნი და საწერკალამი და იარაღით ხელში, მტრის წინაალმდეგ სამშობლოს დასაცავად დაირაზმნენ. ისინი ქართველი ერის ხსოვნაში მარად ცოცხლები არიან და ჩვენც დღევანდელი ღონისძიებით პატივი მივაგეთ მათ ხსოვნას“.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24



# ქართული „სუკი“ და ქართველი „სუკისინები“

## სააკაშვილმა, პირველი პირი რომ გახდა, ხელისუფლებაში „პრისტუპნიკები“ მოიყვანა

კომუნისტების დროინდელ ქართულ სუკ-ში ინაურის გამოზრდილი კადრები მუშაობდნენ, რაც თავისთავად მათ მაღალპროფესიონალიზმზე მეტყველებს. გენერალი ინაური დიდი პროფესიონალი, უძლიერესი პიროვნება იყო, რომელმაც სხვათა შორის, ხრუშჩოვი დაიჭირა (1964 წელი) სოჭში, რითაც უზარმაზარი რისკზე წავიდა. პროტექცია კომუნისტების დროსაც იყო, მაგრამ თუ ჭკვიანი, მოაზროვნე ადამიანი არ იყავი, მარტო პროტექციით ფონს ვერ გახვიდოდი, ამიტომ დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებებს ეს კადრები აუცილებლად უნ-



და გამოეყენებინაო. უშიშროების მინისტრად ირაკლი ბათიაშვილის დანიშვნას ჩვენი რესპოდენტები გაუმართლებლად მიიჩნევენ. გასაგებია, რომ მინისტრის პოსტი პოლიტიკური თანამდებობაა, ბათიაშვილი წესიერი და კარგი პოლიტიკოსია, მაგრამ უშიშროება ძალზე რთული სისტემაა და არაპროფესიონალს ძალზე გაუჭირდება ღრმად წვდომა. მისი დანიშვნა მხოლოდ მაშინ იქნებოდა გამართლებული, თუკი მოადგილე თუ მაინც ეყოლებოდა პროფესიონალი და რაც მთავარია, პატრიოტიო.

ბათიაშვილი ამ თანამდებობაზე იგორ გიორგაძემ შეცვალა, რომელიც შემდეგ შევარდნაძემ №1 ტერორისტად გამოაცხადა. რა პრინციპით შეარჩიეს გიორგაძე ვერ გეტყვით, ვერც მის პროფესიონალიზმზე მოგახსენებთ ვერაფერს, საერთოდ ვინ იყო ეს კაცი ვერ გავარკვიეთ. საერთოდ კი, პირი, რომელიც უცებ ადის თანამდებობრივ საფეხურებზე, მოკლე ხანში იკეთებს (უკეთებენ) ამხელა კარიერას და ხდება სამინისტროს პირველი პირი, ყოველთვის ეჭვს იწვევს. იგივე შეიძლება ითქვას სოსო ალავიძეზეც.

როგორ მიზანმიმართულად მიდიოდა უშიშროების სამსახურის ნგრევა, ეს კიდევ ცალკე საუბრის თემაა. წყაროს განცხადებით, 90-იანი წლების პირველ ნახევარში ხსენებული უწყება აშკარად იყო „შეკრული“ კრიმინალურ სამყაროსთან, განსაკუთრებით კი „ვერის სამყაროსთან“. „საერთო გაზეთი“ უკვე წერდა, რომ თავის დროზე ეს სამყარო, სწორედ საკავშირო სუკ-ის ხელდასხმით შეიქმნა. უშიშროების სამსახურს თავისი სპეცდანიშნულების რაზმი ჰყავდა. სავარაუდოდ იგორ გიორგაძის მინისტრობის დროს დაიწყო ამ უწყებიდან პატიოსანი პროფესიონალი კადრების გაშვება, რომლებიც ხსენებული სპეცრაზმის წევრები, ანუ სრულიად არაკომპეტენტური ხალხით ჩაა-

ნაცვლეს. სააკაშვილი უფრო შორს წავიდა, მან ეს კონტიგენტი კიდევ უფრო დააწინაურა და მაღალ თანამდებობები უბოძა. მაგალითად, სპეცრაზმელი ლევან გურგენიძე, რომელიც დიდი წიგნიერებით არ გამოირჩეოდა, სოდ-ის უფროსის მოადგილედ დანიშნეს. ერთი ხანობა გურგენიძე „ტელევარსკვლავად“ იყო ქცეული, სოდ-ის მიერ ჩატარებულ ყველა ხმაურიანი სპეცოპერაციის შესახებ, სწორედ ის არიგებდა ტელეკომენტარებს, თუმცა მერე უგზო-უკვლოდ გაქრა. ეტყობა „დიდი“ მიხეილი შემოსწყრა.

წყაროს განცხადებით, ამგვარი „გამოხშირვა“ შსს-ში და პროკურატურაშიც მოხდა, ოღონდ შევარდნაძის მმართველობისას, პროფესიონალებს ერთი ხელის მოსმით არ ყრიდნენ ქუჩაში, რასაც სააკაშვილი აკეთებდა, თანდათანობით ხდებოდა მათი მოცილება. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოში ნორმალური კადრი აღარ გაზრდილა. ახალმა ხელისუფლებამ მაინც მიხედოს ამ გამოცდილ პროფესიონალებს, თუ ასაკის გამო თანამდებობაზე ვერ დანიშნავენ, მრჩევლებად და კონსულტანტებად მაინც აიყვანონო. შეუძლებელია ჩვენს რესპოდენტებს არ დავეთანხმოთ, დღეს ჩვენს პოლიციას ნამდვილად არ აქვს იმის ფუფუნება რომ ვიქტორ გობრონიძის, თამაზ თამაზაშვილის, მერაბ ბალათურიას, უშანგი მგელაძის, დავით გაგნიძის, თამაზ დგებუაძის დონის პატრიოტი პროფესიონალების სამსახურზე უარი თქვას. იგივე შეიძლება ითქვას, ანზორ მაისურაძესა და ვალერი ჩხეიძესთან დაკავშირებითაც, უშიშროების კუთხით ასეთი პროფესიონალები ბევრი არ გვყავს. ნაციონალების გარდა, რომელ ჭკუანაღრძობს მოუვიდოდა აზრად, რომ ასეთი პროფესიონალების პატრონს, ამირან მესხელი და ლევან გვაზავა დაენიშ-




ნა შს მინისტრის მოადგილეებად.

მონსტრად ქცეული შსს-ს ხელმძღვანელობას, იმის მაგივრად, რომ ქვეყნის უსაფრთხოებაზე და წესრიგის დაცვაზე ეზრუნათ, პოლიტიკოსებზე და განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანებზე „მუშაობდნენ“. სოდ-ი ექსპერტ გია ხუხაშვილზე აგროვებდა „კომპრომატებს“, კრიმინალს თუ ეძებდნენ, ხუხაშვილის დევნას, უმჯობესი იყო თუნდაც ნიკა რურუას წარსულით დაინტერესებულიყვნენო.

წყაროს განცხადებით, სააკაშვილის მთავრობას ქართველი პროფესიონალები არ აინტერესებდა და არც სჭირდებოდა, რასაც თავისი „გამართლება“ ჰქონია. გვიან ღამით შსს-ს და „მოდულის“ შენობებში მოდიოდნენ ინგლისურად მოსაუბრე ჰალსტუხიანი ბიჭები (სავარაუდოდ ამერიკელები), რომლებიც ღამის 3-4 საათამდე ინსტრუქტაჟს უტარებდნენ ჩვენს წარმომადგენლებს. არაერთხელ გვინახავს „მოდულში“ ინსტრუქტაჟის მისაღებად მისული დიმიტრი და ვლადიმერ სანაკოევები და ის ოსი ეროვნების ქალბატონი, რომელიც ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტობაზე იყრიდა კენჭსო. ჩვენს რესპოდენტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ქართველი პროფესიონალები მათ უცხოელ კოლეგებზე გაცილებით კვალიფიციურები არიან, სააკაშვილს და მის გუნდს პატრიოტი პროფესიონალები იმიტომ არ სჭირდებოდა, რომ მათ არ ენდობოდნენ, რადგან ეს ხალხი ნაციონალების ბინძურ დაკვეთებს, მითუმეტეს სამშობლოს საზიანოდ, არ შეასრულებდა. რატომ იცილებდნენ პროფესიონალებს შევარდნაძის მმართველობის დროს, წყარო ვერ აკონკრეტებს. ვერ გეტყვით, ეს შევარდნაძის მითითებით ხდებოდა თუ რუსეთის სპეცსამსახურების დავალებით, რადგან შევარდნაძე ისე თამაშობდა, ვერ გაიგებდი ვინ იყო ამ პროცესის ინიციატორი, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ შევარდნაძეს არასდროს გაუწირავს თავისი ხალხი, როგორც ამას სააკაშვილის რეჟიმი აკეთებდა.

ეს რეჟიმი რომ ყველაფერზე წამხვლელი იყო, ჩვენ საკუთარ ტყავზე ვიწვნიეთ. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან სააკაშვილი ქვეყნის პირველ პირი რომ გახდა, ხელისუფლებაში „პრისტუპნიკები“ მოიყვანა, მათ სხვა სახელს ვერ დავარქმევთ. ხელისუფლების კრიმინალიზაციის პროცესი გაცილებით ადრე დაიწყო, 90-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა დიდი „მხედრიონობა“ ჩავლილი იყო და გვეგონა ამოვისუნთქეთ. ეს უკვე ის პერიოდია, როცა ე.წ. რეფორმატორები წამოტივტივდნენ. წყაროს თქმით, ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები 20-ე საუკუნის მიწურულს, ორგანიზებულ-დანაშაულებრივ საზოგადოებად გარდაიქმნენ. ადრე თუ „კანონიერი“ ქურდი, ან რომელიმე ავტორიტეტი მართავდა მის დაქვემდებარებაში მყოფ დაჯგუფებებს, მას თუ რამე შეემთხვეოდა, ეს ბანდები იშლებოდა. კრიმინალურ საზოგადოებაში კი 10-15 კაცი იყო „გაწევრიანებული“ და ხელმძღვანელის „მწყობრიდან გამოსვლის“ შემდეგ, სხვას დააყენებდნენ მის ადგილზე და დანაშაულებრივი ჯგუფი მოქმედებას აგრძელებდა. ბევრი მათგანი პარლამენტშიც მოხვდა. „რეფორმატორებს“ ცხადია, პატიოსანი სამართალდამცავები არ აწყობდათ, მითუმეტეს მას შემდეგ, რაც თავად მოვიდნენ ხელისუფლებაში. თუ ნაციონალები იმას იტყვიან, პოლიცია ნარკოტიკს და იარაღს ადრეც უდებდა ხალხსო, მართლაც ხდებოდა ასეთი ფაქტები, მაგრამ არა იმ ინტენსივობით, როგორც მერაბიშვილის პოლიცია აკეთებდა, ეს მხოლოდ მაშინ ხდებოდა, როცა კონკრეტული პირი, ბევრად უფრო სერიოზულ დანაშაულში იყო ეჭვმიტანილი, ისეთში, რომელიც 10-15-წლიან პატიმრობას ითვალისწინებდა. ოღონდ იმ ეტაპზე საკმარისი მტკიცებულებები არ გაგვაჩნდა, რომ იმ ბრალდებით დაგვეკავებინა, არადა აუცილებელი იყო ამ ეჭვმიტანილის იზოლირება, რომ სამხილები არ გაენადგურებინა. მერე როცა მძიმე დანაშაულს გავხსნიდით, ეს ნარკოტიკი და იარაღი აღარსად ჩანდა (მაშინ ფაქტობრივად არ მოქმედებდა სასჯელების შეკრებითობის პრინციპი), უდიდესი სასჯელი უმცირესს შთანთქავდა და ეს ადამიანი ველარ ამბობდა რაიმე „ჩამიდესო“. სასჯელის მაქსიმუმი რომ არ მიეღო, დაკავებული გამოძიებასთან თანამშრომლობდა, აღიარებით ჩვენებას იძლეოდა და თუ თანამზრახველი ჰყავდა, იმასაც ასახელებდა. აი, ეს იყო რეალურად საპროცესო შეთანხმება და არა ის მახინჯი ფორმა, ნაცხელისუფლებამ ფულის შოვნის წყაროდ რომ აქცია.



სწორედ ნაციონალებმა გააქრეს შსს და უშიშროების სამინისტროს არქივები ხელისუფლებაში როცა მოვიდნენ, რადგან შეეშინდათ, მათი კომპრომატები არ გამჟღავნებულიყო. რაში სჭირდება სახელმწიფოს ისეთი ხელისუფლება, ან ისეთი თანამდებობის პირი, რომელსაც თავისი წარსულის ეშინია. ნიკა რურუა თავიდან თანამდებობაზე რომ დაინიშნა, გასუსული იყო, თუმცა მერე ხმა აიმაღლა, გეგონება არ ვიცოდეთ მისი წარსული, მერეც როგორ შოულობდა ფულს, თუნდაც უშიშროების საბჭოში როცა იყო „დასაქმებული“. შეიარაღებაზე 10 მილიარდია დახარჯული, მერე დააბრალეს ყველაფერი რუსებმა წაიღეს ან გაანადგურესო. 1-2 მილიარდი შეიძლება მართლაც მოხმარდა შეიარაღებას, მაგრამ დანარჩენი ფული ნაცელიტამ შეჭამა. კეზერაშვილი სწორედ ამიტომ დანიშნეს თავდაცვის მინისტრად, რომელიც სულით არის კრიმინალი და პლიუს ამას ნარკომანიცაა. ჩვენი სამხედრო ოფიცრები იხსენებდნენ, ომის დროს კეზერაშვილი გორში ჩამოვიდა, ავტომანქანიდან რომ გადმოვიდა, ფეხზე ძლივს იდგა, ისეთ „კაიფში“ იყოო. ქვეყნის სირცხვილია, მინისტრს ხელქვეითები რომ დასცინიან

წყაროს განცხადებით, ერთადერთი წესიერი კადრი, რომელიც 90-იანი წლების შემდეგ მაღალ თანამდებობაზე დაინიშნა („ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლამდე) მხოლოდ კობა ნარჩემაშვილი იყო. ისიც იმიტომ დანიშნეს, რომ შევარდნაძემ იცოდა „ვარდების რევოლუცია“ რომ მზადდებოდა და სანდო, პატიოსანი ადამიანი ჭირდებოდა, ვისაც დაეყრდნობოდა. ნარჩემაშვილის გარდა, ყველა მინისტრი მაღალჩინოსანი იყო „შეკრული“ ამ ვითომოპოზიციონერ „რეფორმატორებთან“, საჯაროდ კი თითქოს სხვადასხვა ბანაკში იყვნენო. შევარდნაძეს რომ მართლაც შეეძლო ამ ე.წ. რევოლუციის აცილება, ამის შესახებ რამდენიმე წლის წინ სხვა სანდო წყარომ (ყოფილმა მაღალჩინოსანმა პოლიციელმა) მომაწოდა ინფორმაცია. აგრესიულ „კმარას“ წევრთა სოლიდური ნაწილი, პოლიციის შეგზავნილი ყოფილა ამ ორგანიზაციაში და ცხადია, ისინი სამართალდამცავებს ინფორმაციებსაც აწვდიდნენ, მაგრამ რატომღაც მავანმა ამ ინფორმაციის გამოყენება არ ისურვა. „ვარდების რევოლუციაც“ რომ ამერიკა-რუსეთის ერთობლივი პროექტი იყო, ალბათ ეჭვი არავის ეპარება და ეტყობა შევარდნაძემაც ჩათრევას, ჩაყოლა ამჯობინა. რევოლუცია მართალია 2003 წელს მოხდა, მაგრამ მისთვის მზადება გაცილებით ადრე დაწყებულა. გავიხსენოთ თუნდაც ვანო მერაბიშვილის ვაშინგტონური „ვოიაჟი“ და მისი ცნობილი განცხადება, როცა ღიად დაუპირისპირდა „რეფორმატორების“ მამა-მარჩენალ შევარდნაძეს. წყაროს თქმით, რეალურად მზადება 2000 წლის 29 სექტემბრიდან დაიწყო (შეიძლება ინსტრუქცია უფრო ადრეც მიიღეს), როდესაც თბილისთან ახლოს, კახეთის გზაზე ესპანელი ბიზნესმენები გაიტაცეს, ამის შემდეგ იყო ლევან კალაძის, მარიამ გოგინაშვილის და სხვათა გატაცებებიც.

„გაიხსენეთ მაშინდელი პრესა, 2001 წელს რა სკანდალური მასალები (საქართველოს საზღვაო ფლოტზე, მეანაბრეებზე, ფეხბურთზე, გარი ლუჩანსკიზე) იბეჭდებოდა, ასეთი მასალები მერე აღარ გამოქვეყნებულა. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ხალხი შეემზადებინათ რევოლუციისთვის, რომელიც აშკარად ჩაწყობილი იყო და მასზე დიდი ფული დაიხარჯა. იმიტომაც არიან ახლა მავანნი გადაფოფრილი სააკაშვილსა და მის გუნდზე და კბილებით იცავენ. ტყუილად კი არ ითქვა, საქართველოში დიდი სინდიკატების ინტერესებია ჩადებულიო. ჩვენ ისევ ნარკომაფიასთან მივდივართ. ახლახანს გაჟონა დასავლურ და რუსულ მედიაში, რომ 2008 წლის ფინანსური კრიზისის დროს რამდენიმე მსხვილი ბანკი ნარკოტიკებიდან შემოსულმა ფულმა გადაარჩინა. ამ ბინძური ფულის გამოყენებას, არ სჯობდა საერთოდ გაკოტრებულიყო ეს ბანკები? ჩვენ ხალხს გვინდა ვუთხრათ, რომ ნუ ჰგონიათ ცივილიზებულ დასავლეთში ყველა უმწიკვლოა. ბევრ ბინძურ საქმეებში, თუნდაც ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის საქმეში სწორედ დასავლეთის ქვეყნების მოქალაქეები იყვნენ ჩართული. ეს საქმე 90-იან წლებში ჩვენმა პოლიციამ გახსნა. ერთ-ერთ საავადმყოფოზეც გავედით, რომელიც ჩართული იყო ამ საქმეში. ქართულ-უცხოური ერთობლივი „ბიზნესი“ ჰქონდათ“, განაცხადეს ჩვენმა რესპოდენტებმა, რომლებსაც იმ პერიოდში სამართალდამცავ სტრუქტურებში საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავათ.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# ეს ის საერთაშორისო თანამეგობრობა არ არის, „კანონიერი ქურდი“ ჯაბა იოსელიანი დემოკრატად რომ გამოაცხადა, ზვიად გამსახურდია კი დიქტატორად?!

**გვესაუბრება „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა**



**— კახა, ნატოსკენ სვლა კვლავ აქტუალურია. პრეზიდენტმა ბრძანა, ნატოს გულზე ვწევართო.**

— გაურკვეველი არაფერია. ახალ ხელისუფლებას კურსი, რომ ნატოსკენ აქვს აღებული, ეს არჩევნებამდეც იყო გაცხადებული და ქართველმა ხალხმა ამას მხარი დაუჭირა. ამის დემონსტრირება შეუნიღბავად ხდება. მაგალითად, ბოლო თვენახევრის მანძილზე იუსტიციის მინისტრი უკვე ორჯერ გამოიძახეს თათბირზე ვაშინგტონში. საუბარია ფოთში აშშ-ს საზღვაო ბაზის გახსნაზე.

**— ვიღაცები ზებოსავით ცრუ იმედს გვაძლევენ, თითქოს ნატოში შევდივართ.**

— სამწუხაროდ, ერთი კი არა ბევრი ზებო ჰყავს საქართველოს მიჩენილი — სხედან საიდუმლო „ჭებში“ და იმედს აკეთებენ. ეს არის თანამედროვე მრავალპარტიული დემოკრატიის პოლიტიკური სისტემა, რომლისთვისაც ხალხი ბრბოა. ბევრს ეს შეიძლება ეწყინოს, მაგრამ ეს ხდება არა იმის გამო, რომ ადამიანები ცალკე აღებულები ბრბოს წევრები არიან. არა, უბრალოდ, რაც არ უნდა უცნაური იყოს, ჩვენს საუბარში, დღეს ხალხი უფრო ბრბოა, ვიდრე 2-3 საუკუნის წინ. იმიტომ, რომ დღეს, პიარის ისეთი ინსტრუმენტები გაჩნდა, რაც წინა საუკუნეებში არ არსებობდა, ანუ შესაძლებელია ადამიანების ტვინის მომენტალურად მართვა. ამიტომ ადამიანების დადანაშაულება ძალიან ძნელია. სამსახურიდან ჩვეულებრივი ადამიანი დაღლილი მიდის და ტელევიზორს უყურებს — მისი მართვა ამ ინსტრუმენტების გამოყენებით ძალიან ადვილია.

აუცილებელია, ქვეყანამ პრინციპები, მართვის მოდელი შეცვალოს, რომელსაც მარიონეტული, აშშ-დან თავსმოხვეული მართვის მოდელი ეწოდება.

იქმნება შთაბეჭდიელბა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ თითქოს ერთი დიდი პარტიის ფრაქციებია...

ხალხი ვერ ამბობს თავის სიტყვას იმიტომ, რომ ყველა პოლიტიკური ინსტრუმენტი — ფინანსები, მედია და ა.შ. ისევ „ნაციონალური მოძრაობის“ და „ქართული ოცნების“ ხელშია. მათ ჰყავთ ერთიანი ლოჟა — ის სტრუქტურა, რომელიც ჩვენ ხან მასონების და ხან არაერთი საიდუმლო ორგანიზაციის სახით გვხმენია, ჩვენს რეალურ ცხოვრებაში. არსებობენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ვითომ ერთმანეთს ებრძვიან, მაგრამ დაფინანსებას ორივე USAID-დან იღებს. ასევე ტელეკომპანიები, რომლებიც ვითომ ერთმანეთის საწინააღმდეგო დებულებებს ავითარებენ, მაგრამ ორივე გრანტს USAID-დან იღებს. იგივე შემიძლია პოლიტიკურ პარტიებზე გითხრათ. ამიტომ ეს დაპირისპირება პერსონალურ დონეზე შეიძლება გულწრფელია, მაგრამ იდეოლოგიურ, პოლიტიკურ დონეზე არანაირი დაპირისპირება არ არსებობს.

**— თუმცა, თუ ხელისუფლება ვალდებულია, დასავლეთის ზეწოლას დაემორჩილოს და კრიმინალებთან კოაბიტირდეს, ხალხს ხომ არავინ ავალდებულებს დონაძესთან თუ სხვებთან კოაბიტაციას, ხმა რატომ ვერ უნდა ამოვიღოთ?**

— აშშ-სთან „დადებული“ კონტრაქტის პირობები შემდეგია: ახალმა ხელისუფლებამ არავინ არ უნდა დაიჭიროს, არაფერი არ უნდა შეიცვალოს, ქვეყანა ისევ ნატოსკენ უნდა წავიდეს, შესაძლებელია მხოლოდ კოსმეტიკური ცვლილებები — არავის იჭერენ, მაგრამ ახალაია მსუბუქი ბრალდებით ზის ციხეში, რომელსაც დღედღეზე გაათავისუფლებენ. მის საქმეზე ეუთო-ს მონიტორინგი დაიწყო. ბევრი ამბობს, პროკურორები არ ვარგა, კბილაშვილი, წულუკიანი არ ვარგა და ა.შ. ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები იმიტომ, რომ წულუკიანსაც და კბილაშვილსაც ძალიან კარგი განათლება აქვთ მიღებული. ამიტომ, არ მგონია, რომ პრობლემა მათ პროფესიონალიზმშია. პრობლემა, რა თქმა უნდა, პოლიტიკურ გადაწყვეტილებაშია, რომელიც გუშინ უსუფაშვილს წამოსცდა, არ ვიცი, მაგრამ მან თქვა, რომ კულუარებში დავით ბაქრაძესთან მოლაპარაკება მიმდინარეობდა „ნაციონალური მოძრაობის“ სრული და უპირობო ამნისტიის შესახებ.

**— რაც შეეხება ქვედა რგოლებისთვის დაკითხვაზე დაბარების შეწყვეტის მოთხოვნას, რას ემსახურება?**

— თუ ქვედა რგოლები არ აგებენ პასუხს, მაშინ ვერც ზედა რგოლები აგებენ იმიტომ, რომ ზედა რგოლების წინააღმდეგ ჩვენება ქვედა რგოლებმა უნდა მისცენ. მეორე მომენტია — რას ნიშნავს ქვედა და ზედა რგოლებად დაყოფა? ე.ი. სამმართველოს უფროსებმა არ უნდა აგონ პასუხი და მინისტრებმა — კი?! მე არც სამმართველოს უფროსი ვარ და არც მინისტრი, ქვედას ქვედა რგოლი ვარ და მაშინ მეც მომცენ 9 წლის ნამძილზე ძარცვის, ყაჩაღობის უფლება. ეს უკანონობაა. გეტყვით, რომ თუკი „ნაციონალური მოძრაობა“ ამნისტირებული იქნება, საქართველოს ყველა მოქალაქეს სამართლებრივად და მორალურადაც უფლება ექნება „ქართული ოცნების“ ნებისმიერი პარლამენტის წევრი ქუჩაში დაიჭიროს, კარგად დანაყოს, მერე სახლში მივიდეს, გაძარცვოს და ამნისტირება მოითხოვოს. მას ამის აბსოლუტურად ლეგიტიმური უფლება ექნება.

ჩვენი საზოგადოება ღრმად დაკომპლექსებულია. ამომრჩეველს არასრულფასოვნების კომპლექსი აქვს. ჩვენ არ გვინდა, რომ ქართველი ავირჩიოთ, არამედ გვინდა ვიღაც, ვინც ცოტათი უცხოელს ჰგავს; არ გვინდა ავირჩიოთ ღარიბი, გვირჩევნია მილიარდერი ან რაღაც თეზის მქონე ადამიანი, ჩვენზე უფრო ამაღლებულს ვეძებთ. სანამ ამ კომპლექსს არ მოვიშორებთ, საქართველოში ვითარება არ შეიცვლება. ეს ნაპრალი მუდმივად იქნება და ამას თვითონ ქართველი ხალხი აჩენს. ხელისუფლებაში ისეთი ადამიანი უნდა ავირჩიოთ, რომელიც ჩვენნაირი იქნება. პირობითად ვიტყვი, სანამ ხელისუფლებაში ისეთი ადამიანი არ მოვა, რომელსაც თვითონ ექნება ბანკის ვალი და სანამ სათავეში ბანკირი იქნება, იგი ყოველთვის ბანკირის და არა მოვალეების მხარეს დაიჭერს.



**1992 წელს, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, ამის შემდგომ შეიქმნა სოციალური სტრუქტურა — მძარცველები, ვინც კუპონებზე მილიარდები დააგროვეს, დაეუფლნენ საქართველოს და გაქარცვულები, ვინც ამ პროცესს პირდაღებულნი შესცქეროდნენ და ამ პროცესში მონაწილეობა ვერ მოასწრეს. ეს მძარცველები ამა თუ იმ ფორმით, 20 წელია დღესაც ხელისუფლებაში არიან, ხოლო პირდაღებულნი, რა თქმა უნდა, ნაპრალის აქეთა მხარეს რჩებიან.**

ლათინური ამერიკის, აზიის ქვეყნები კრიზისიდან მაშინ ამოვიდნენ, როდესაც რევოლუციები მემარცხენეებმა მოახდინეს და ხელისუფლებაში ღარიბები მოვიდნენ — ნამდვილი ვენესუელელები, პერუელები. ბოლივიის პრეზიდენტს წესიერი პიჯაკიც არ აცვია. საქართველოში უნდა მოხდეს მემარცხენე რევოლუცია და სათავეში ჩვეულებრივი ქართველები უნდა მოვიდნენ.

**— აშშ-მ მმართველად კიდევ 10 თვით დაგვინიშნა ვადაგასული პრეზიდენტი. თუმცა თავად აშშ-ში თუ ევროპაში მსგავსი არაფერი ხდება. ჩვენთან რატომ არის მაშინ ეს მისალები?**




— იმიტომ, რომ აშშ მეტროპოლიაა, საქართველო კი — კოლონია. ქართველი ხალხი უწესოდ იქცევა, როცა არ ცდილობს, სიმართლეს თვალებში ჩახედოს. საქართველოსა და აშშ-ს 20-წლიანი ურთიერთობის ისტორია — ეს იყო საქართველოს ჩაგვრისა და განადგურების ისტორია.

**ჯაბა იოსელიანმა ზვიად გამსახურდია ჩამოაგდო, აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჩამოვიდა, აშშ-ს მთავრობის მეორე პირი და განაცხადა, რომ ეს დემოკრატიაა. ანუ ოთხგზის ნასამართლევი ჯაბა იოსელიანი არის დემოკრატია, ხოლო ზვიად გამსახურდია, რომელიც სამოქალაქო ომის დროს ლოცულობდა და ჯარს ეუბნებოდა, მარხვაში ტყვია არ ისროლოთო დიქტატორი ყოფილა. ეს ის საერთაშორისო თანამეგობრობა არ არის, „კანონიერი ქურდი“ ჯაბა იოსელიანი დემოკრატად რომ გამოაცხადა, ზვიად გამსახურდია კი დიქტატორად!**

ამის შემდეგ იყო შევარდნაძის მმართველობის 14 წელი, სააკაშვილის 9 წელი, 26 მაისს ოკეანის გაღმიდან ვერავითარი შეშფოთება ვერ მოვისმინეთ, სამაგიეროდ, 8 თებერვალს, როდესაც ჩიორა თაქთაქიშვილს ცხვირიდან სისხლი წასკდა, ეს ქართული დემოკრატიისთვის ყველაზე დიდ საფრთხედ შეფასდა.

**— „ნაციონალები“ მოითხოვენ,ნატოს კურსს რომ არ გადავუხვევთ, კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროსო. ძველად რომ კონსტიტუციაში ჩაგვეწერა სპარსეთის, ოსმალეთის კურსს არ გადავუხვევთო, ხომ გადაგვივლიდნენ?**

— ეს არის პოლიტიკური ჩალმა. ირანის შაჰი ქართველი მეფეებისგან ითხოვდა, რომ მათ ჩალმა ეტარებინათ და მუსულმანობა მიეღოთ. დღევანდელი შაჰი კი ითხოვს ნატოს კურსისკენ სვლა კონსტიტუციაში ჩაიწეროს. ირანის დროს ქართველი მეფეებისგან წინადაცვეთასაც ითხოვდნენ, მაგრამ კონსტიტუციაში ასეთი რამის ჩაწერა თავისთავად კოლონიალიზმის რეციდივია იმიტომ, რომ არცერთი ნორმალური ქვეყნის დოქტრინაში ასეთი რამ არ წერია. კონსტიტუციაში როგორ შეიძლება ქვეყნის განვითარების კურსი ჩაიწეროს. ეს არჩევანია, რომელსაც საზოგადოება ყოველ 4 წელიწადში ერთხელ აკეთებს. მით უფრო სამარცხვინოა, რომ ამ დოკუმენტში საგარეო პოლიტიკის პრინციპებზე კონსენსუსის შესახებ, სიტყვა აშშ უფრო ხშირადაა ნახსენები, ვიდრე საქართველო.

**ქართველი მარიონეტი პოლიტიკოსების ერთგულების ფიცი ამერიკის შაჰს — მე თუ მკითხავთ, ამ დოკუმენტს ასე უნდა ერქვას, რომელსაც საქართველოს საგარეო პოლიტიკასთან და ინტერესებთან საერთო არაფერი აქვს.**

იქ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე არაფერია ნათქვამი. გვეუბნებიან, რომ ნატო უსაფრთხოების მექანიზმია. საქართველოს საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების მთავარი საკითხი აფხაზეთი და სამაჩაბლოა. თუ ეს დოქტრინა აფხაზეთის და სამაჩაბლოს ურთიერთობას ვერ უზრუნველყოფს, აბა, გურიას და კახეთს არავინ გვართმევს. ნატო რაში გვჭირდება მაშინ, რომ გურიაში დავაყენოთ ბაზები და გურიის მთლიანობა დავიცვათ?!

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# რატომ ფრიალებს საქართველოს თავზე მაცხოვრის საფლავიდან აწაპნილი დროშა, რომელზეც შეიძლება სომხებს უფრო ჰქონდეთ პრეტენზია, ვიდრე ქართველებს?!

*გვესაუბრება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ჰერალდიკის სპეციალისტი, პროფესორი* ***მალხაზ აფრიდონიძე.***

**— სანამ დღევანდელ სახელმწიფო დროშაზე გკითხავთ, საქართველოს, ე.წ „ზვიადის დროშაზე“ მინდა გკითხოთ, რომელიც 1990 წლის ბრძანებულებით შეიცვალა. ამის მიზეზად ითქვა, რომ ფონი, სისხლი და ზემოდან შავი ზოლი ცუდ აურას უქმნიდა სახელმწიფოს...**

— 1989 წელს, ჩვენს დროში ამის შესახებ პირველად დაიბეჭდა ჩემი სტატია, მე დავსვი ხსენებული დროშის შეცვლის საკითხი (მანამდე დავით კაკაბაძემ თქვა ამაზე 1918 თუ 1919 წელს). საკითხის აქტუალობა გამოწვეული იყო იმით, რომ არსებული ატრიბუტიკა სინამდვილეში წარმოადგენდა სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) მიერ თავის დროზე (1918-1921წწ) შექმნილი ატრიბუტიკის „გაკეთილშობილების“ ძალზე მდარე მცდელობას (1990წ). სწორედ ზვიადის დროს შეიცვალა დროშაც და გერბიც, უბრალოდ, ვიზუალურად ძალიან ჰგავს და ხალხმა ვერ გაიგო. „ზვიადის დროშაზე“ კუთხეშია ფერები, სოციალ-დემოკრატების დროშაზე ბოლომდე მიდიოდა. გერბზე უფრო აშკარაა სხვაობა, ვარსკვლავზე არ იჯდა და 1990 წელს ვარსკვლავზე დაჯდა.

**— დღევანდელ სახელმწიფო დროშაზე ვთქვათ, რომელიც, ფაქტობრად, ერთი კონკრეტული პარტიის, „ნაციონალური მოძრაობის“ დროშაა და პირად საკუთრებაში მითვისებულ ქვეყანას მოახვიეს, თუმცა, ვიზუალურად არაფერი აქვს დასაწუნი.**

— მათი პარტიის დროშაც არ არის – ამაზე ვთქვი და სწორედ ამის გამო უსიამოვნება შემხვდა ჰერალდიკის საბჭოში.

ეს დროშა თავის დროზე (90-იან წლებში) წამოსწიეს „მონარქისტებმა“ – კარგად მახსოვს ზეალმართული რომ აჰქონდა ნარიყალაზე აკაკი ასათიანს, თუმცა მერე მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა, მით უმეტეს, რომ მისი შვილი ჰერალდიკის სპეციალისტია. შემდეგ ვინ მიაწოდა ბატონ სააკაშვილს ამ სისულელის იდეა, ვინ იცის. სისულელე ძალიან რბილი ნათქვამია – მე კი არ მომპარეს ეს დროშა, მალხაზ აფრიდონიძეს, არამედ მაცხოვარს მოპარეს, იესო ქრისტეს აწაპნეს საფლავიდან!

ეს ხუთი ნიშანი ასეთი სემანტიკით, ჯერ კიდევ IV საუკუნის II ნახევრიდან არის ცნობილი (უფრო ადრინდელი ცნობა არ არის). 1099 წელს ეს ნიშანი იერუსალიმის აღების შემდეგ გერბის გამოსახულებაში ჩაუსვეს ჟოფრუა დე ბუილონს, როგორც ქრისტიანობის ცენტრის დამაფიქსირებელი ნიშანი, რაც შინაარსობრივად არის მაცხოვარი და სახარების ოთხი ავტორი და ამავდროულად გახდა იერუსალიმის სამეფო გერბი, რომელიც საფუძვლად დაედო იერუსალიმის დროშას. ამ დროშაზე კამათისას ერთმა პიროვნებამ მითხრა „რატომ, ლამაზიაო.“ რამდენი რამეც ლამაზი იქნება, იმაზე პოლიტიკის აწყობა ნორმალურია?




1099 წელს ეს დროშა დაფიქსირდა, როგორც მაცხოვრის საფლავის დამაფიქსირებელი ნიშანი, რომელიც გერბად მისცეს ჟოფრუა დე ბუილონს, აქედან გამომდინარე, დროშაც (სხვათა შორის, დროშის განმსაზღვრელი არის გერბი). ამავე დროს მიიღეს მმართველის აბსოლუტურად განსხვავებული, საფლავის მცველის ტიტული, რომელიც მსოფლიო ისტორიაში ამ ერთი პიროვნების გარდა არავის უტარებია. იგი მალე გარდაიცვალა, მაგრამ მისმა ძმამ ბოლდუინ I-მა, რომელიც გახდა უკვე იერუსალიმის მეფე, არ ცნო თავი ამ ტიტულის ღირსად, თუმცა ამ გერბს ატარებდა. აქედან მოყოლებული, დაფიქსირდა, როგორც თავისებური ჯვარი, ოღონდ ამ კომპოზიციით. ეს კომპოზიცია იმითაა საინტერესო, რომ ნებისმიერ ვარიანტში, (ტერმინების გარეშე გეტყვით უფრო გასაგები რომ იყოს) ვთქვათ, თუ ფრესკაში ცხვარია გამოსახული და ოთხი წყარო გამოუდის ფეხებიდან, იგივეა, მაცხოვარი და სახარების ოთხი ავტორი, მაგრამ თუ ეს ტოლი ნიშნებია, მაშინ საუბარია მაცხოვრის ხუთ ჭრილობაზე. ეს ცნობილია ყველა კონფესიისათვის. ის ცნებები, რაც მის მიღმა დგას, იმას არ იღებს, ვთქვათ, მაჰმადიანი, თორემ გამოსახულება „ჯვარი“ დამოუკიდებლად არსებობს.

**— ქართულია, „დავითის დროშააო“ – მართლა აქვს რაიმე სახის შეხება? ისეთი ამბავი ჰქონდა ცხონებულ გურამ შარაძეს ამ დროშაზე ატეხილი... იცით, რატომღაც მგონია, სიმბოლოებით მოლაპარაკე მიხეილ სააკაშვილი ტყუილუბრალოდ ასე არ აიკვიატებდა, რაღაცას ებღაუჭება ამ დროშით, ანუ სიმბოლოდ-მეთქი, ვფიქრობ...**

— თუ ვინმემ იცის, გაგვიმხილოს, თუ არადა, დაანებონ თავი ამ მაიმუნობას, რომ ეს დროშა არის ქართული! ეს ისეა დავითის დროშა, როგორც ჩან კაიშის... კი, ბატონო, ჩამოვთვლი და ვნახოთ ორივე შტო.

დასავლეთევროპული შტო: მარია ანტიოქიელი (პუატიე), შარლ ანჟუელი, შარლ II კოჭლი, რობერტ I კეთილი, ჯანა I ნეაპოლიტანელი, ლუი I ანჟუელი, ლადისლაო დურაცო ნეაპოლიტანელი, ლუი II ანჟუელი, ჟანა II ნეაპოლიტანელი, იოლანდა არაგონიელი, რენე კეტილი, იოლანდა ანჟუელი.

კვიპროსული შტო: ჰიუგო I (III) ლუზინიანი, ჟან II (I) კვიპროსელი, ანრი II დე ლუზინიანი, ამორი II კვიპროსელი, ჰიუგო II (IV) კვიპროსელი, პიერ I კვიპროსელი (კილიკიის არმენიის მეფე), პიერ II კვიპროსელი, ლეონორა არაგონიელი, ჟაკ I კვიპროსელი (არმენიის მეფე), იანუს (ჟან) III (II) კვიპროსელი (არმენიის მეფე), ჯან IV (III) კვიპროსელი (არმენიის მეფე და ანტიოქიის მთავარი), სარლოტა კვიპროსელი, ლუი I სავოიელი (იერუსალიმის, კვიპროსისა და არმენიის მეფე), ჟაკ II ბასტარდი (უკანონოდ შობილი) ანუ ჟაკ II დე ლუზინიანი, კატარინა კორნარო.

ამას ხმამაღლა როგორ ვიტყვი, მაგრამ თუ პრეტენზიაზეა საუბარი, სომხებს უნდა ჰქონდეთ პრეტენზია ამ დროშაზე, ჩვენ კი არანაირი.

**— რაო?!**

— დიახ, ამ დროშასთან არანაირი შეხება არ აქვს ქართველებს გარდა იმისა, რომ ქრისტიანები ვართ, პარლამენტმა კი, ვოჰუპით მიიღო იგი და ჟოფრუა დე ბუილონსაც და მის კანონიერ მემკვიდრეებსაც ბრანწი უჩვენა. უმეცრებამ ძალიან ბევრი უხერხულობა შექმნა. გარდა იმისა, რომ ცხვირი ჩაჰყვეს მეცნიერების იმ დარგში, სადაც არ უნდა ჩაეყოთ, ეს არის საშინელი მკრეხელობა. ქურდობა – ქურდობაა, მაგრამ ვის პარავ, მაინც მნიშვნელობა აქვს – მაცხოვარს რომ საფლავიდან აწაპნი...

მეორე მკრეხელობა – უზენაესიდან მფარველად გყავს წმინდა გიორგი, ეს იცის მთელმა მსოფლიომ, შენ კი, გვერდზე გაწიე შენი მფარველი წმინდანი, გადაახტი მას. მთელი მსოფლიოსთვის წმ. გიორგი არის მაცხოვრის ციური მხედრობის მხედართმთავარი, მიწიერი რაინდობის მფარველი, გაგხადა მაცხოვარმა ღირსად რომ ასეთი მფარველი მოევლინა შენთვის და შენ, უკაცრავად გამოთქმაზე და, ნაციონალური ფურთხით კარგად მიაფურთხე იმიტომ, რომ დროშა გექურდა? – რა უნდა გვეშველოს, ვერ გავიგე...

მოქალაქეებს არ ევალებათ ამის ცოდნა, მაგრამ სახელმწიფო მოხელეებმა არ იციან, როგორი უნდა იყოს სახელმწიფო გერბისა და დროშის წარმოშობა, შინაარსი, მათი გამოყენების წესები და დატვირთვა. ამაზე უდიდესი შრომაა გაწეული, მაგრამ თაროზეა შემოდებული, რადგან იმ „ცეხს“ ე.წ. ჰერალდიკის საბჭოს არ აწყობს.

ბავშვებს რას ვასწავლით? განათლების სამინისტროში სად არ მივედი, მაგრამ ხისთავიანი როცაა ადამიანი, მისი დამოკიდებულება ასეთია – უფროსს დროშა მოეწონა. ნებისმიერი სახელმძღვანელო აიღეთ, წერია იქ დროშის ავტორი პიროვნება, რომელიც გარდაიცვალა, ღმერთმა აცხონოს (ჯუნა მიქატაძე - მ.ჭ) და მეორეს წავაწყდი, რომელსაც ვითომ პრეტენზია აქვს დროშის ავტორობაზე, მაგრამ ვიცნობ, შესანიშნავი მხატვარი და პიროვნებაა ვახტანგ რურუა – არ აქვს პრეტენზია...




**— გასაოცარია... ჯუნა მიქატაძე როგორ არის საქართველოს დღევანდელი სახელმწიფო დროშის ავტორი, როდესაც მისი წარმომავლობა საუკუნეების მიღმიდან მოდის...**

— ალბათ, რეინკარნაცია განიცადა... წერია, საქართველოს გერბის ავტორი – მამუკა გონგაძე. აბა, ვახუშტი ბატონიშვილი ვინ არის! როგორი მდგომარეობაა იცით, თქვენ რომ ტანსაცმლის მოდელი მოიფიქროთ, თქვენს მიერ აწყვეტილი ღილი უკანვე მივაკერო და გამოვაცხადო, რომ მოდელის შექმნის ავტორი მე ვარ – ქურდობა ჰქვია ამას, ბაცაცობა!

**— მე რამდენადაც ვიცი, სახელმწიფო ატრიბუტიკაში ყველა სიმბოლოს თავისი მნიშვნელობა აქვს, თან უდიდესი – რაიმე კანონი არ არსებობს?**

— გერბის ოფიციალურ ბლაზონში 24 სერიოზული შეცდომაა დაშვებული. კანონი არსებობს, მაგრამ ძალიან ბუნდოვანი, ვისაც როგორ უნდა, ისე რომ გამოიყენებს. საქმე იმაშია, რომ არ იციან არაფერი და არც არავის აინტერესებს. ჩემს ბავშვობაში ბაღში ვმღეროდით: „ამ ჩვენს დროშებს თინიკო გუშინ მთელ დღეს კერავდა, ეს წითელი ვარსკვლავი გივიმ გაგვიფერადა“ – აი, ამ დონეზე არის, გნებავთ, ძველი, გნებავთ, ახალი ხელისუფლება.

**— ახალი ხელისუფლება მთლად ახალია...**

— სხვაობა რომ იყოს, უკვე მიაქცევდნენ ყურადღებას... ვერ გაუგიათ, რომ საქართველო ერთია და მას აქვს ერთი განსახიერება; ერთი სამოხელეო დაწესებულებაა მერია და იმ მერიაზე ერთი საქართველოს განსახიერება უნდა იყოს და არა ოცი. თუ მაინცდამაინც დროშების ფრიალი უნდათ, 300-ზე მეტი სახელმწიფოა და აფრიალე ყველა ერთად, პატივისცემაში მაინც ჩაგეთვლება და არა სიბრიყვეში. დროშას კანონი უნდა იცავდეს! მე კი არ ვიგონებ, რამდენიმე დროშა როცაა, იქაც წესი და კანონი არეგულირებს, რომელი რომელს უნდა მოსდევდეს და რომელი რომლის გვერდზე უნდა იყოს. ელემენტარულად, არაფრით არ შეიძლება დროშის წინ რაღაც მიდიოდეს, თუნდაც კუბო. ან კუბოზე როგორ უნდა გადაეფაროს, ამასაც წესი და კანონი აქვს. დროშა ყველანაირად შეიძლება გამოკიდო, მაგრამ, მაგალითად, გერმანიის დროშაზე მთავარი ფიგურა არის არწივი, რომელიც, ყველა შემთხვევაში სწორად უნდა იდგეს, ანუ არწივი ტრიალებს, თავი მაინც ზევით აქვს.

**— ანუ „თინიკოს სხვა დროშა აქვს შეკერილი“ ასეთი შემთხვევებისთვის...**

— რა თქმა უნდა. ასევეა ბრაზილიის დროშაზე. ალლუმზე, როდესაც მიდის კოლონა, ამათ რა ჰგონიათ, იცი, როდესაც ტრიბუნა არის დავუშვათ მარჯვნივ, დროშაც უნდა იყოს მარჯვნივ. არა, ბატონო, დროშა ყველა შემთხვევაში, წინიდან მაყურებლისთვის მარცხენა მხარეს და თანაც პატარა უნდა იყოს. ამათ იმხელა დროშები ჰქონდათ თან ორივე მხარეს, რომ მძღოლს ლამის თავი ჰქონდა გამოყოფილი, რომ სვლა შეძლებოდა.

**— თქვენ, პროფესორი კაცი გერმანიაში ასწავლიდით წლების მანძილზე ჰერალდიკას და იმ საბჭოში რჩევა რომ ეკითხათ, არ შეიძლებოდა?**

— ბატონი ელდარ შენგელაიას რეკომენდაცია იყო, რომ მე ჩავდგომოდი სათავეში ამ საქმეს, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან არ ვარ ხელმძღვანელად დაბადებული, მე ვარ „შავი მუშა“, დამავალონ იმის გაკეთება, რაც მე ვიცი და გავაკეთებ.

**მაია ჭელიძე**

593 32 49 71

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ვინ ამოშალა ქართველი ერი მსოფლიოს ხალხთა სიიდან?

*საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II კვირის ქადაგებისას ისტორიული მნიშვნელობის სიტყვები ბრძანა: „დღეს ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებ, ბიძინა ივანიშვილი საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს თუ არა? უნდა იყოს, რადგან ის ქართველია!*

*მე ვფიქრობ, ყველა ქართველი ადამიანი, ვინც სულით და ხორცით ქართველია, საქართველოში დაიბადა ის თუ უცხოეთში, საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს“.*

*ილია II ამ სიტყვებით პირდაპირ მიანიშნა იმ ხარვეზზე, რაც მოქალაქეობასთან დაკავშირებით ქართულ კანონმდებლობაში არსებობს, რაც საფუძველი გახდა ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტისა.*

*ცხადია, ვინც სულით და ხორცით ქართველია, მიუხედავად იმისა, სად დაიბადა იგი, საქართველოს მოქალაქეა, ანუ საქართველოს მოქალაქეობისთვის უალტერნატივო პირობა უნდა იყოს ის, არის თუ არა ესა თუ ის ადამიანი ეროვნებით ქართველი და, აი, აქ მივადექით ახალ დაბრკოლებას: პიროვნების საიდინტიფიკაციო ქართულ დოკუმენტში ანუ პასპორტსა და პირადობის მოწმობაში ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა საერთოდ ამოღებულია.*

*სწორედ ამაზეა ეს წერილი, რომელსაც ხელმეორედ ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს.*

**საპასპორტო მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ნაციონალური ხელისუფლების სიბრძნისა და „გამჭრიახობის“ წყალობით, საქართველოში უკვე რამდენიმე წელია არცერთი სომეხი, არცერთი აზერბაიჯანელი, არცერთი რუსი, არცერთი ქურთი და სხვათაშორის, არცერთი ქართველი არ ცხოვრობს.**

— ეს როგორ, კაცოო, — გაიკვირვებენ მავანნი და მავანნი — — როგორ თუ საქართველოში არც სომხები ცხოვრობენ, არც აზერბაიჯანელები, არც რუსები, არც ქურთები და არც ქართველები. აბა, ესენი ვინ არიან, ვინც აქ დაჟრიამულებენ?

ვინ არიან და საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც ეროვნება არ აქვთ, აქვთ უბრალოდ სტატუსი — საქართველოს მოქალაქე და მორჩა.

რა იყო, რა გაიოცეთ? არ გჯერათ, რასაც გეუბნებით?

ამოიღეთ, ბატონო, თქვენი პირადობის მოწმობა და ნახეთ, იქ სადმე ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა არის?

არ არის!

**საქართველოში ქართველი, როგორც ასეთი, რამდენიმე წელია არ არსებობს, ანუ ოფიციალურად საპასპორტო მონაცემების მიხედვით, ქართველი ერი თითქოს საბოლოოდ გადაშენდა და შესაბამისად, ის გულდაგულ ამოფხიკეს და ამოშალეს მსოფლიოს ხალხთა სიიდან.**

სულ ტყუილად ვიბრახუნებთ მჯიღს მკერდზე: — რაც მაგრები ვართ, ქართველები ვართო.

არ გიწერიათ პასპორტში ეს ქართველი, არ ხართ პატივცემულო, არ არსებობთ ოფიციალურად და ისე, პატიოსან სიტყვაზე უნდა დაგიჯეროთ?

**ეროვნება არ გიწერია, მამის სახელი არ გიწერია და საიდან მიმტკიცებ, რომ ქართველი ხარ?**




იქნებ უცხოპლანეტელი ხარ და მატყუებ, რომ ჩვენს აყვავებულ ქვეყანაში შემოიპარო და აქ დამკვიდრდე?

— რატომ ჰქენით ეს, რატომ დაგვღუპეთ, რატომ ამოგვიშალეთ ეროვნება, რატომ ამოგვფხიკეთ მსოფლიოს ხალხთა სიიდან? — ვკითხე ერთხელ ერთ საკმაოდ გავლენიან ნაცელს.

იმან კიდევ, სანამ პასუხს გამცემდა, ირგვლივ მიიხედ-მოიხედა — არიქა, ვინმე არ გვისმენდესო და ყურში საიდუმლოდ მითხრა:

— ჭკვიანი კაცი მგონიხარ და რა გჭირს, რა დაგემართა? რით ვერ მიხვდი, რომ ქართველების წინააღმდეგ კი არა, საქართველოში მცხოვრები სხვა ერების წინააღმდეგ გავაკეთეთ ის, რაც გავაკეთეთ. ამ ჩვენი დიდი პატრიოტული და ეროვნული მნიშვნელობის ღონისძიებების შედეგად საქართველოში მცხოვრები სხვა ერების სახსენებელი გავაქრეთ. შენ კიდევ მადლობის ნაცვლად — გვსაყვედურობ?

აბა, დაფიქრდი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტიდან ეროვნულობის აღმნიშვნელი გრაფა რომ ამოვიღეთ, ამით ხომ სომეხს, რუსს, აზერბაიჯანელს, ქურთს, აფხაზს, ოსს და საერთოდ ყველას, ვინც საქართველოში ცხოვრობს, თავის ეროვნებაზე უარი ვათქმევინეთ და საქართველოს რიგით მოქალაქედ ვაქციეთ. პატარა საქმეა ეს? — მითხრა გავლენიანმა ნაცელმა და მრავალმნიშვნელოვნად ჩამიკრა თვალი — ახლა ხომ გაიგე, რა პატრიოტული საქმე გაგვიკეთებიაო.

ერთი შეხედვით, მართლაც პატრიოტული საქმეა, რომელზეც ადვილად შეიძლება გულუბრყვილო და მიმნდობი კაცი წამოეგოს, სინამდვილეში კი ყოველივე ამის იქით ქართველთათვის უაღრესად სახიფათო და შემზარავი რეალობა იმალება.

**საქმე ის არის, რომ ეს სომეხი, რომელსაც ვითომცდა ეროვნება წაპართვით და უეროვნებო მოქალაქედ ვაქციეთ, გადავა აგერ ორ ნაბიჯზე, სასომხეთში და ისევ სომხად იქცევა, ასევე რიგითი მოქალაქე აზერბაიჯანელი აზერბაიჯანში გადაირბენს და კვლავ აზერბაიჯანელია. იგივე შეუძლიათ გააკეთონ სხვებმაც, რადგან ყველა მათგანს აქვს თავი-**



**სი მეორე (თუ პირველი) სამშობლო, თავისი სახელმწიფო, სადაც სომეხი სომეხია, რუსი-რუსი, აზერბაიჯანელი-აზერბაიჯანელი და ა.შ.**

ჩვენ, ქართველები, სად გავიქცეთ, თორემ იმათ რა უჭირთ?

ჩვენ, ქართველები, სად წავიდეთ? ჩვენ ხომ სხვა სათადარიგო და სამარქაფო სამშობლო არ გვაქვს, გარდა ერთისა და იმ ერთადერთ სამშობლოში, საქართველოშიც, ქართველობიდან ამოგვწერეს და ამოგვშალეს.

**გამოდის, რომ ჩვენ, ქართველები, ფაქტობრივად, არ ვარსებობთ, როგორც ერი.**

არ ვარსებობთ ოფიციალურად, არ ვარსებობთ დოკუმენტურად, ვარსებობთ მხოლოდ ზეპირსიტყვიერად, გადმოცემით და ხსოვნით.

**გესმით თქვენ, ქართველებო, რა უბედურება გვჭირს?**

**გესმით თქვენ, ქართველებო, რა მზაკვრულად გაგვაქრეს და აგვაორთქლეს დედამიწის ზურგიდან?**

ყოველივე ამის შემდეგ კურიოზია, როცა კონსტიტუციაში სახელმწიფო ენად ქართული ენა გვიწერია.

თუ არ ვარსებობთ, ეს ენა საიდან შემოგვრჩა და უფრო მეტიც, ამ არარსებული ერის ენა, ქართული ენა, რატომ არის სახელმწიფო ენა სხვა მოქალაქეებისთვის?

ვფიქრობ, ძალიან შორს არ არის ის დრო, როცა ეს ვითომ ეროვნებაწართმეული საქართველოს არაქართული წარმოშობის მოქალაქეები აუცილებლად მოითხოვენ თავიანთი მშობლიური ენის ერთ-ერთ სახელმწიფო ენად დაკანონებას.

**საქართველო კურიოზების ქვეყანაა, რომელიც ეკუთვნის ყველას და არ ეკუთვნის არავის, მათ შორის არ ეკუთვნის ქართველებს, რომლის სახელწოდებისგანაც წარმოდგება ქვეყნის სახელი — სა-ქართველ-ო.**

სახელწოდება საქართველოც კურიოზულად ჟღერს დღეს, რადგან ის ქართველების კი არა, უეროვნებო მოქალაქეთა ჭრელი მასის კუთვნილებაა, რომელიც არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი ქვეყნის ბედ-იღბალზე.

**საქართველოს დამფუძნებლები, ქართველები, „სახლმმართველმა“ თვითნებურად ამოწერა მშობლიური სახლიდან!**

* * *

„საქართველოო, ლამაზო, სხვა საქართველო სად არი?...“ — კითხულობს პოეტი.

სად არის და არსად არ არის...

იყო და არ არის...

ვიყავით და არ ვართ...

ძნელია ამ აზრთან შეგუება, მაგრამ ეს სიმართლეა, რომელმაც ბოლოსდაბოლოს უნდა გამოგვაფხიზლოს და არყოფნიდან შინ დაბრუნების სურვილი გაგვიჩინოს.

**ვახტანგ ხარჩილავა**
593 44 04 01

## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს

**ბატონო დავით,**

პუბლიკაციებით, რომლებიც „საერთო გაზეთის“ ამ ნომერში ქვეყნდება, თქვენი და პარლამენტის ყურადღება გვინდა მივაქციოთ იმ საკითხებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხებია.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ გამხდარა სერიოზული მსჯელობის საგნად თუ როგორი უნდა იყოს ქართული სახელმწიფო, რა ღირებულებებს და რა ფასეულობებს უნდა ეყრდნობოდეს იგი.

განა პარადოქსი არ არის, რომ ქვეყანაში, რომელსაც საქართველო ჰქვია, ეროვნების აღმნიშვნელი სიტყვა ქართველი ოფიციალურად ამოიშალა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებიდან, რითაც, ფაქტობრივად, ქართველი ერი ამოიშალა მსოფლიოს ხალხთა სიიდან.

ბოლოს და ბოლოს, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყდეს საკითხი, რას ვაშენებთ ჩვენ — ქართულ სახელმწიფოს თუ სუპერმარკეტს, რომლის თავზეც ასრაქართული, გაურკვეველი წარმოშობის დროშა ფრიალებს.

ამ საკითხზე „საერთო გაზეთის“ მომდევნო ნომრებში გავაგრძელებთ საუბარს და აქვე იმედს ვიტოვებთ, რომ ამ დისკუსიაში საქართველოს პარლამენტიც აქტიურად ჩაერთვება.

„საერთო გაზეთი“

# ჩემს უმცროს მეგობარს, შესანიშნავ პიროვნებას და ბრწყინვალე იურისტს, ბატონ არჩილ კბილაშვილს მოუწევს პასუხის გაცემა იმაზე, რატომ დატოვა ძველ პოსტებზე ის პროკურორები, რომლებიც „ნაციონალების“ ბრძანებების უსიტყვო შემსრულებლები იყვნენ...

# ბუტა რობაქიძის მკვლელობის ამსახველ კადრებში ადრე ხელყუმბარა ჩანდა. სად გაქრა ახლა ის ხელყუმბარა?

**„საერთო გაზეთს“ ესაუბრება გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე, არასამთავრობო ორგანიზაცია „იუსტიციის მუშაკები სამართლიანი საქართველოსთვის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ბატონი ვენედი ბენიძე**

**— ბატონო ვენედი, ბოლო დროს განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ არ გიჩნდებათ პროტესტის გრძნობა — რატომ აღარ ხართ სისტემაში, რათა სამართლის აღსრულებაში დაეხმაროთ საზოგადოებას?**

— არაერთი ნორმატიული აქტის შემუშავებაში მაქვს მიღებული მონაწილეობა. მოქმედი საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი თანაავტორი ვარ და უამრავი სხვა კანონის შექმნა ჩემი მუშაობის შედეგად მოხდა. როცა ახალი ხელისუფლება მოვიდა, მითხრეს, არ



ხარ საჭიროო და დამითხოვეს სამსახურიდან.

2003 წელს ადამიანებს წაართვეს შრომის უფლება, უაპელაციოდ დაითხოვეს ისინი სამსახურებიდან. ახლა რომ ამბობენ: ჩვენზე ზეწოლა მიმდინარეობსო, ზეწოლა მაშინ იყო, როცა ხალხს საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ დააწერინეს განცხადებები და აიძულეს დაეტოვებინათ სამსახური. მაშინ გენერალური პროკურორის მოადგილე ვიყავი, ვიცოდი, რა ხდებოდა სისტემაში და მიმაჩნდა, რომ ბევრი იყო გასათავისუფლებელი, მაგრამ არა ყველა. ახლა რომ აქვთ პროტესტი, სამსახურებიდან გვათავისუფლებენო, ვკითხულობ: მე რატომ გამათავისუფლეს სამსახურიდან?

**— მაშინ ვინც გაათავისუფლეს, მათზე ამბობდნენ: შევარდნაძის კადრები გათავისუფლდაო.**

— შევარდნაძის ხელისუფლებაში იყო ნაცმოძრაობის უმეტესობა, ესენი იყვნენ მინისტრები, მაღალი თანამდებობის პირები. დიახ, მე ვმუშაობდი შევარდნაძის პერიოდში, მაგრამ არ მახსენდება ისეთი შემთხვევა, იგი ჩვენს საქმეებში ჩარეულიყო. შევარდნაძის მომხრე არ ვარ და დღესაც მიმაჩნია, რომ სწორად მოხდა მისი ჩამოცილება მმართველობიდან.

უხერხულად ვგრძნობ თავს, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ, 2003 წლის აგვისტოში ჩაატარეს გამოკითხვა ყველაზე ძლიერი პრაქტიკოსი იურისტის გამოსავლენად. 90 ხმით გავუსწარი ერთ ძალიან ცნობილ იურისტს. 2003 წლის ზაფხულში თუ პროფესიონალი ვიყავი, 2004 წლის იანვარში სამსახურიდან რატომ დამითხოვეს, კვალიფიკაცია დავკარგე თუ სინდის-ნამუსი?

როცა რუსთავის პროკურორობიდან თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ გადმომიყვანეს და საზოგადოებამ უფრო ახლოს გამიცნო, ყველა გაოცებული იყო, ვერ წარმოედგინათ, როგორ შეიძლებოდა პროკურორს პატიოსნად ეცხოვრა. ზედმეტობაში არ ჩამითვლით და მსურს იცოდეს საზოგადოებამ — ერთი სამოთახიანი ბინა მაქვს და ერთი მანქანა, რომელიც განვადებით გამოვიყვანე და 5 წელიწადია ვიხდი იმ თანხას.

ჩემნაირებზე ამბობენ ახლა ნაციონალები, კორუმპირებულნი იყვნენ და იმიტომ გავათავისუფლეთო. ესაა მართლაც ბედის ირონია.

1999 წელს 398 მოსამართლიდან სამას ოთხმოცდათვრამეტივე შეიცვალა და ახლები საакაშვილის რეკომენდაციით დაინიშნენ. მერე 2003-04 წლებში ისევ შეიცვალა მოსამართლეთა კონტინგენტი. ისინი დაინიშნა ნაციონალური ხელისუფლების მიერ, რის გამოც დღეს მოსამართლეები კვლავ ნაცმოძრაობის ზეგავლენის ქვეშ არიან.

**— კერძოდ?**

— შემიძლია ჩამოგითვალოთ რამდენიმე მათგანი. მაგალითად, მოსამართლეები: **არევაძე, გოგინაშვილი, ხუჯაძე**... ადრე აპატიმრებდნენ ყველას, განურჩევლად ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა. დღეს პირიქით იქცევიან. მაშინაც შეკვეთას ასრულებდნენ და ახლაც შეკვეთას ასრულებენ. პირადად მე ყოველთვის ჰუმანური გადაწყვეტილებების მომხრე ვარ — წინასწარ აღმკვეთი ღონისძიება მართლაც იშვიათად უნდა იქნას გამოყენებული, მაგრამ დღევანდელი ვითარება კატასტროფულია.

ისეთი მძიმე დანაშაულის ჩადენა, რასაც თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული ჯარების შტაბის ყოფილ უფროსს **გიორგი კალანდაძეს** ედავებიან, აღკვეთის ღონისძიებით უნდა დასრულებულიყო.

**მიქაძე, ფირცხალავა** და **დონაძე** დაპატიმრებულნი უნდა ყოფილიყვნენ. ისინი გავლენას ახდენდნენ გამოძიებაზე, აყალბებდნენ მტკიცებულებებს. სწორედ ასეთ შემთხვევებში უნდა იქნას გამოყენებული თავისუფლების აღკვეთის ღონისძიება.

**ეს არის სრული მარაზმი. ფირი თუ 9 წელიწადი არსებობდა, აქამდე რატომ არ გამოაჩინეს. პირდაპირ ვიტყვი, კადრები, რაც აჩვენეს, გაყალბებულია. წლების წინ ნაჩვენებ კადრებში ხელყუმბარაც ჩანდა. სად გაქრა ახლა ის ხელყუმბარა?**

მოსამართლეთა უმეტესობა ასრულებს პოლიტიკურ შეკვეთას, ისე, როგორც ამას წლების განმავლობაში აკეთებდა ახლა მიმალვაში მყოფი გენერალური პროკურორი **ადეიშვილი**.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, პროკურატურა დღეს შესანიშნავად მუშაობს. ყველა რეზონანსულ საქმეზე მათ ხელთ აქვთ მტკიცებულებები, რაც საჭიროა იმის დასასაბუთებლად, რომ პირს აღეკვეთოს თავისუფლება იმ შემთხვევებში, როცა ისინი ითხოვენ ამას.

**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები თავიანთი გადაწყვეტილებებით დისკრედიტაციას უწევენ პროკურატურის საქმიანობას, რადგან, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, პოლიტიკურ შეკვეთებს ასრულებენ.**

საზოგადოების 99% კი ფიქრობს, რომ პროკურატურა სუსტია, მან ვერ მიაწოდა შესაბამისი მტკიცებულებები, არადა, ასე არ არის. ეს მოსამართლეები, თავის დროზე, **ადეიშვილის** ჯიბის მოსამართლეები იყვნენ და მის ბრძანებაზე, ლამის საკუთარ შვილსაც ციხეში ჩასვამდნენ.

**— უგულავამ 22 თებერვალს თავის ბრიფინგზე ბრალი დასდო პროკურატურას — მუხლებიც კი არ დაუსახელებიათ, რაში მდებენ ბრალსო.**

— მისმა მზემ, პროკურატურა წინასწარ გამოუცხადებს, რა მუხლები მიეყენება მის ბრალეულობას. მერე, ალბათ, აპირებს, ნახევარი საქართველო ჩართოს ამ საქმის განხილვაში.

უნდა ითქვას, მოსამართლე არევაძემ ქალაქის მერის მიმართ სამართლებრივი ნიშნით შენიღბული პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო, რაც ჩემი აზრით, ცალკე შესწავლის და გამოძიების საგანი უნდა გახდეს. მოსამართლის ქმედებაში მხოლოდ სამსახურებრივი გადაცდომის კი არა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ნიშნები იკვეთება.

**— სახელმწიფო დამნაშავეების დასჯა და სამართლიანობის აღდგენა ქვეყნის ნორმალური განვითარებისთვის აუცილებელია. ხალხიც ითხოვს ამას. თქვენი აზრით, როგორ უნდა მოხერხდეს ამის განხორციელება?**

— პირველ რიგში, სასამართლოს უნდა მივხედოთ. ქვეყანა უნდა გათავისუფლდეს ულირსი მოსამართლეებისგან. თუ ეს არ მოხდა, ისევ არ დაიჭერენ დამნაშავეს მილიონიანი ქრთამის აღებისთვის, ადამიანის ჩაგვრისთვის, მკვლელობისთვის და უამრავი ისეთი დანაშაულისთვის, რომელსაც დღეს გირაოები ეფარდება.

სწორ გზას ადგას იუსტიციის სამინისტრო იუსტიციის საბჭოს რეფორმირებას რომ ახდენს.

**ულირსი მოსამართლეები უნდა გათავისუფლდნენ და ღირსეულები უნდა დაინიშნონ. სხვანაირად სამართლიანობის აღდგენის ყველა მცდელობა ფუჭად ჩაივლის.**

**— თუ არსებობს იმ მოსამართლეთა დასჯის საშუალება კანონში, რაც უკანონობის ჩამდენ მოსამართლეს შესაბამის სასჯელს დაუწესებს?**

— ვისთან დააყენოს პროკურატურამ საკითხი, პროკურატურამ შესანიშნავად იცის ყველა მოსამართლის შესახებ, მაგრამ სასამართლო თავის თავს ხომ არ დასჯის?

პროკურატურას ადრე ყველაფერს **ზურაბ ადეიშვილი** კარნახობდა, უზენაესი სასამართლოც პროკურატურას ემორჩილებოდა. გამოდის, რომ ადეიშვილი იყო პროკურორიც, მოსამართლეც და ყველაფერი. ახლა ამ ძალაუფლებამ კუბლაშვილის ხელში გადაინაცვლა.

**— ბატონო ვენედი, ვინ არის ადეიშვილი?**

— პროკურატურამ შეაგროვა მასალები იმის დასაზუსტებლად, თუ ვინ არის ზურაბ ადეიშვილი. იგი მონაწილეობდა ხალხის უკანონოდ პასუხისგებაში მიცემაში, უკანონო დაპატიმრებებში, ბიზნესის წართმევასა და ათასგვარ



უკანონობაში!.. საერთოდ, მიმაჩნია, რომ თუ ქვეყანაში ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, ეს არის **ადეიშვილი** და **მერაბიშვილი**. **მერაბიშვილის** უტიფარი საქციელი გამაოგნებელია, როგორ უნამუსოდ უსწორებს თვალს საზოგადოებას ადამიანი, რომელმაც ქართველთა სისხლით მორწყო მთელი ქვეყანა.

ზეწოლას აქვს ადგილიო, ამბობენ. ზეწოლას კი არა, ტერორს ჰქონდა ადგილი 9 წლის განმავლობაში და ამ უსასტიკესი ტერორის ფუძემდებლები იყვნენ ადეიშვილი და მერაბიშვილი.

დღეს მერაბიშვილი, წერა-კითხვის მცირედ მცოდნე რომ გვასწავლის ჭკუას, ეს არის ერის შეურაცხყოფა.

**— თქვენ იცნობთ მერაბიშვილს და ადეიშვილს?**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

– სამწუხაროდ, ორივეს ვიცნობ, მაგრამ ადეიშვილზე ვერ ვიტყვი, რომ გაუნათლებელია, თუმცა ყოვლად გაიძვერა ბრძანდება, ყველანაირი სიბინძურის ჩამდენი. რა უნდა ილაპარაკო კაცზე, რომელიც 7 წლის განმავლობაში თავისი კაბინეტიდან არ გამოსულა და ინტერვიუც კი არავისთვის მიუცია?! თავისი თანამშრომლებიც არ იყვნენ მის კაბინეტში ნამყოფი. თაგვივით იყო ჩაკეტილი ოთახში დაააწყო სისტემა მამაძაღლობებზე.

მან და მერაბიშვილმა ქართველი ხალხი სისხლში აბანავა. თუ ასე გაგრძელდა, ვფიქრობ, ჩემს ძველ უმცროს მეგობარს, შესანიშნავ, უპატიოსნეს პიროვნებას,

**ბატონ არჩილ კბილაშვილს მოუწევს პასუხის გაცემა იმაზე, რატომ დატოვა ძველ პოსტებზე ის პროკურორები, ვინც „ნაციონალების“ ბრძანებების უსიტყვო შემსრულებლები იყვნენ და უამრავ სიბინძურეში აქვთ ხელი გასვრილი.**

**– კერძოდ, რომელ პროკურორებზე საუბრობთ?**

– მაგალითად, **კონსტანტინე ცაცუა**, რომელიც ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორი იყო, ამჟამად მთავარი პროკურორის აპარატში მუშაობს. იგი თავის დროზე ადეიშვილის ბრძანებებს უსიტყვოდ ასრულებდა.

ქალაქის პროკურატურის მუშაკები **ხიზანიშვილი** და **კოკაიაც** სასწრაფოდ უნდა გაათავისუფლონ.

სასჯელაღსრულების სისტემას ვინც ზედამხედველობდა, პროკურატურაში ყველა თავიანთ ადგილებზე არიან, მათ იცოდნენ, რაც ხდებოდა ციხეებში, ეს ადამიანები დღესაც აგრძელებენ თავიანთ თანამდებობებზე მუშაობას.

ქალაქის ყოფილი პროკურორის **გვარამიას** საკითხი ცალკე შესწავლის საგანია. ამ კაცმა ნახევარი საქართველო ჩაყარა ციხეში...

**– ბატონო ვენედი, სიტყვას მოყვა და, ციხეების სკანდალი რომ გავიხსენოთ, ამ სისტემაში თქვენი მუშაობის პერიოდში გსმენიათ პატიმრების ცემა-დამცირების ფაქტები? გაგიგონიათ, რომ ციხეებში პატიმრები ძალადობით დახოცილიყვნენ?**

– ერთი პატიოსანი ადამიანის გასვენებაში სისტემის ახალბედა თანამშრომელმა, ერთმა ქალბატონმა გაცხარებულმა მითხრა: ადრე ციხეებში უარესები არ ხდებოდა, პატიმარი პატიმარს სიკვდილამდე რომ სცემდა, ეს ახალი ამბავია თქვენთვისო? ძალიან გავბრაზდი. სახელმწიფოს რომ ეძალადა პატიმარზე, ასეთი რამ მე არ მსმენია. რაც ბოლო წლებში ციხეებში ხდებოდა, ეს იყო მიზანმიმართული ქმედება, რათა დაეთრგუნათ და სულიერად გაეტეხათ ადამიანები. ეს არის დანაშაული.

**– ბატონო ვენედი, ნაციონალების დემაგოგიური ლოგიკა რას ნიშნავს, როცა ამბობენ, ჩვენს მომხრეებს ჯერ იჭერენ და რა ბრალდება უნდა წაუყენონ, ამაზე მერე იწყებენ ფიქრსო?**

– ეს აბსოლუტური დემაგოგიაა. თუ არაა პროკურატურის მიერ დასაბუთებული ბრალდება, მაშინ რატომ შეუფარდა სასამართლომ ყველას აღკვეთის ღონისძიება. მართალ კაცს ვინ დააკისრებს გირაოს?!

**– ესეც პოლიტიკური ზეწოლააო.**

– ზეწოლა კი არა, ქვეწოლა, პოლიტიკური ზეწოლა რომ იყოს, ოდიოზური ფიგურები რომ არიან პარლამენტში, იმათზე რატომ არაფერს ამბობენ? მაგალითად, რატომ არ ითხოვენ **დარჩიაშვილის** ან **ჩიორა თაქთაქიშვილის** დაპატიმრებას? არავის არ მოსწონს ეს ხალხი, მაგრამ მათ დანაშაული არ აქვთ ჩადენილი და ისე, ჰაერზე, ვერ მოიგონებ ვერაფერს.

**– როგორ უყურებთ უმცირესობის ინიციატივას – მოხდეს სახელმწიფო მოხელეთა სრული ამნისტია?**

– მე, პირადად, სასტიკი წინააღმდეგი ვარ, რაიმე ამნისტია გავრცელდეს მათზე. ის, რაც მოხდა 2003 წლიდან, უნდა იქნას განხილული პარლამენტში, მიეცეს პოლიტიკური შეფასება. უნდა მიიღონ დადგენილება, რომ მიეცეს პროკურატურას დადგენილება სისხლის სამართლებრივი დევნის დისკრეციული უფლებამოსილების შესახებ, რაც ნიშნავს, რომ მხოლოდ პროკურორი იქნება უფლებამოსილი დევნა აწარმოოს...

ეს ხელისუფლება ხალხმა მოიყვანა არა ეკონომიკური გასაჭირის, არამედ სამართლიანობის აღსადგენად. მთავრობამ ყველა დასაშვები ხერხებით უნდა იბრძოლოს სამართლიანობის დასამკვიდრებლად.

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**

ასე არ გამოვა, ძმებო „ნაციონალებო“!

რაღაცას რომ იტყვით, უნდა შეასრულოთ!

აი, მაგალითად, ხან გიგი, ხან ვანო, ხან გრიგოლი, ხან დავითი მკერდზე მუშტებს რომ იბრაგუნებენ და მთელი ხმით რომ გაჰყვირიან – უბრალო ადამიანებს შეეშვით და ჩვენ დაგვიჭირეთ, ჩვენ დაგვსაჯეთო – საქმე საქმეზე რომ მიდგება და მართლა დაჭერის საშიშროების წინაშე რომ დადგებიან, მყისვე ცვლიან „პლასტინკას“ – პოლიტიკური ზეწოლაა ეს. პოლიტიკური ნიშნით გვავიწროებს „ქართული ოცნება“, არიქა, საერთაშორისო თანამეგობრობავ, გვიხსენით და გვიშველეთო.

აკი, ამბობდით, კაცო, დაგვიჭირეთ და დაგვსაჯეთო?

გვატყუებთ, პროვოკაციას გვიწყობთ?

ჩამოყალიბდით ბოლოს და ბოლოს, რა გინდათ – დაჭერა გინდათ? კი, ბატონო! არ გინდათ დაჭერა? – კი, ბატონო, თქვენი ნებაა...

თქვენს თანაგუნდელს და თანამებრძოლს, ბაჩო თავდადებულს მაინც მიბაძეთ – კაცს უნდოდა, რომ დაეჭირათ, თავისი ფეხით მივიდა და ჩაჯდა.

**ლაქს მილიონობით ზარალი უჯდება.**

თუნდაც გმირთა მოედნის რეკონსტრუქცია გავიხსენოთ – რამდენი მილიონი ჩაიყარა წყალში, საბოლოოდ კი მივიდეთ აბსოლუტურად არაეფექტური, აბსოლუტურად იდიოტური რკინა-ბეტონის აბლაბუდა, რომელმაც ქალაქის ეს უნიკალური მონაკვეთი დაამახინჯა.

**თქვენ – საქმე იმისთვის გჭირდებოდათ, რომ ფული გაკეთებინათ – საქმე საბაბი და მიზეზი იყო ფულის საკეთებლად.**

ქალმა გაჯობათ – ხათუნა კალმახელიძემ გულწრფელად მოინანია, რაც მის დროს ციხეებში ხდებოდა. თქვენ კი, ვაჟკაცებს, არც კაცობა გყოფნით, არც სინდის-ნამუსი, რომ ქართველ ხალხს მოუბოდიშოთ, პატიება თხოვოთ და თუ საციხედ არ გემეტებათ თავი, აქედან მოკურცხლოთ.



# „ნაციონალებო“, თქვენ რომ სინდისი გქონდეთ, ბიძინა ივანიშვილს კი არ უნდა ლანძღავდეთ, მადლიერების ნიშნად სანთელს უნდა უნთებდეთ, რადგან სწორედ მან გიხსნათ ქართველი ხალხის რისხვისგან



**რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, თქვენ რომ ოდნავ მაინც გქონდეთ ჭკუა და გონიერება, ასეთი უსინდისოები და უმადურები რომ არ იყოთ, ბიძინა ივანიშვილს კი არ უნდა ლანძღავდეთ, სანთელს უნდა უნთებდეთ და მადლიერების ნიშნად თავს მდაბლად უნდა უხრიდეთ, რადგან სწორედ ბიძინა ივანიშვილმა გიხსნათ თქვენ თქვენს მიერ სულით ხორცამდე შეურაცხყოფილი ქართველი ხალხის რისხვისგან.**

ცოტა თავს კონტროლი გაუწიეთ და ძალიან ნუ გაუტევთ, თორემ ქლმერთმა ნუ ქნას და, ერთ სამწუხარო დღეს, შეიძლება, ბიძინა ივანიშვილმაც ვერ მოახერხოს თქვენი უტიფრობით და თავხედობით აღშფოთებული ხალხის შეჩერება და მაშინ ვნახავთ თქვენს „ბუმბულს“, გაშლილს-გაფანტულს ველადა...

**დავით ქავთარია**

თქვენსავით კი არ დაუწყია იწილობიწილო – ჩაჯდა და ზის წყნარად.

რას გადაეკიდეთ ამ პოლიტიკას – რა შუაშია პოლიტიკური ზეწოლა – მილიონებს რომ ისროდით აქეთ-იქით, მილიონებს რომ იჯიბავდით, ადამიანებს ქონებას რომ ართმევდით, უდანაშაულო ხალხს ციხეებში რომ ყრიდით, ამაზე გედავებიან, თქვენ კი პოლიტიკური დევნაო, აგიჩემებიათ.

ზოგს ბულემია აწუხებს, თქვენ ფულემია შეგეყარათ, ფულით ვერ ამოიყორეთ ხარბი მუცელი და რაც დაგემართათ, სწორედ ამის გამო დაგემართათ.

**გიგი უგულავა დაკითხვაზე დაიბარეს და... დადუმდა. ან რა აქვს სალაპარაკო უგულავას, „ატკატების“ სპეციალისტს, ცნობილ „ფინაჩს“, რომლის დაგებული ასფალტი ორ თვეში არ ვარგა, რომლის „რესატავრირებული“ სახლების კედლებიდან გიფსო-კარდონი ცვივა, რომლის არქიტექტურული ექსპერიმენტები ქა-**

ძალიან კი იქაჩებით და ძალიან კი ყოყოჩობთ, მაგრამ სინამდვილეში თქვენც გიფსო-კარდონით ხართ „გაკეთებული“ – ერთი შებერვა და არაფერი დარჩება თქვენი „შეუპოვრობის“ და „ვაჟკაცობისგან“ – ეგრევე მტვრად და ნაცრად იქცევით.

**– საქმეებს ვაკეთებდით, 24 საათი ვმუშაობდით და საქმეს ვაკეთებდითო, რომ გვაყვედრით, საქმე ფეხებზე გკიდიათ**

არავინ იფიქროს, რომ ხალხის ნების გარდა ვინმე ამ სისხლიან რეჟიმს შეცვლიდა.. კი, ბატონო, მშვიდობიანი გზით უნდოდათ და ჩვენც ერთი ფოთოლი არ ჩამოვაგდეთ ხიდან, ისე მივედით ბოლომდე.. ეხლა კი რას აკეთებენ?? ჩვენი თავისუფლება თურმე ჩიორას ბინძურ ცხვირამდე ყოფილა..

იმ ევროკავშირის და იმ ნატოს დედაც..., რომელიც დამიკანონებს მკვლელების და სადისტების გარეთ სიარულს!!! ალქაიდაში შევიდეთ აწი, რაღა განსხვავებაა. ისინი ჯიჰადს ეძახიან, რასაც ესენი კოჰაბიტაციას......თუ ანგელოზივით ბიჭების სიკვდილი ხიხი ხახაა და მახინჯი ჩიორას ცხვირი დემოკრატიაა, გავარტყი ეგეთ დემოკრატიას!!!

სწორედ იმიტომ გვაჩვენეს რობაქიძის კადრები, რომ გავბოროტდეთ და ესენი ქუჩაში დავნაყოთ! ჩახდილი აქვთ და გვეხვეწებიან, გვიხმარეთ, რომ მსოფლიოს წინაშე წუწუნის შანსი გაგვიჩნდეს, გვჟეჟეთ, რომ მთელი კვირა დასისხლიანებულ ზეწრებში ვიწვეთ, გვაფურთხეთ, რომ ჩვენი ფოტოები სასწრაფოდ კონგრესში გავაგზავნოთო! ხელი არავის ვახლოთ, თითოეული ეს მძლოკვი იმის ღირსი არაა, რომ მათზე ხელი გავისვაროთ! მალე საკუთარ შხამში დაიხრჩობიან... უბრალოდ, შევხედოთ ისე, როგორც ისინი იმსახურებენ - ზიზღით და სიბრალულით!

ვისაც ჩემი დაბალი პრემიერი არ მოსწონს.... მე იმის მაღალ პრეზიდენტს გავარტყი...




## xalxis azriT

ეხლა კიდევ ერთხელ ვუყურე, როგორ დახვდა ბაჩო ახალაიას "გმირობით" აღტაცებული ბრბო ამ ჯალათს – დარბაზის შიგნით და გარეთ... დამებადა შეკითხვა: სად არიან ბაჩო ახალაიას მიერ დამცირებული, მოკლული, მოსაკლავად გამეტებული, დაშინებული, დაფურთხებული, დაფსმული, გაუპატიურებული, გასაუპატიურებლად გამზადებული, ჩამარხული, ამოთხრილი, თავზენაქნარი ადამიანების, ან მეუღლეების წინ პატივაყრილი ოჯახების წევრები? რატომ არ მივიდნენ ისინი დღეს სასამართლოს შენობასთან?

მაიცათ, რა თქვა სააკაშვილმა, მე და ჩემმა მეგობრებმა გადავარჩინეთ საქართველოო? მომიტევეთ და, მე გავიქეცი აგვისტოს ომის დროს ამ ქვეყნიდან? მე ვათენებდი ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად აზერბაიჯანის ოლიმპიურ კომპლექსში ღამეებს? მე გამქონდა ტრაილერებით ქონება ქვეყნიდან? ჩემმა მეგობრებმა დააყენეს რიგი საზღვრებზე? როცა ბევრი ჩემი ახლობლის ცხედარი უპატრონოდ იხრწნებოდა ცხინვალის მისადგომებთან, თქვენ რუსთაველზე ტაშ-ფანდური გქონდათ გამართული.

აფერისტია ვანო, იმიტომ დააანონსა მიტინგი, უნდა მაგ დროს ხალხმა მისი ციხიდან გამოშვება მოითხოვოს.

ესენი 19 აპრილს, უეჭველი, რაღაც პროვოკაციას იჩალიჩებენ, ვიღაც ნასედკებს მოათრევენ, „თავზე რო დაეცეთ", სისხლებს იდენენ და თავყბას თვითონ დაინგრევენ. ეგ უნდა ვიცოდეთ, უეჭველი. ჯერ ისაა საინტერესო, ვანოს მოწოდებაზე ვინ გავა ქუჩაში.

აბა, გვითხარი, გულწრფელად, ვანო...
ჩვენმა "ლოცვებმა" გარგო თუ გავნო?

დაურეკეთ ყველას, ვისთანაც ხმა მიგიწვდებათ, მთელი საქართველოს მასშტაბით... აუხსენით და თხოვეთ მათ, არ წამოეგონ ვანოს და მიშას, ამ ორი ლაჩარის პროვოკაციას! ძალიან საცოდავები არიან. ეს მათი ბოლო გაფართხალებაა. დაიმახსოვრეთ, ფეხი არ გაადგათ გარეთ... დე ეგდონ იქ, თავიანთ ერთ მუჭა, სამარცხვინო მეხოტბეებთან ერთად... მიმიფურთხებია იმ ადამიანისთვის, ვინც 19 აპრილს მიშას, თემურა ალასანიას, გლუქსმანების და ამგვარი სუბიექტების მიერ დაგეგმილ აქციაზე მივა და, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელს შეუწყობს პროვოკაციის მოწყობას. ღარიბაშვილო, ეხლა ყველაფერი შენს მარიფათზეა!!!

ყველაფერი ამის ფონზე ძალიან მძიმე საცქერია ფსევდოდებატები, სადაც ერთმანეთის პირისპირ სხედან ყოფილი კანიბალები და მათი ინტელექტუალური „გამპრავებლები", ხოლო მეორე მხარეს მათგან შეჭმას გადარჩენილები და არის დედის გინება და ნაძირალას ძახილი. შუაში კი ობიექტურად ყელმოღერებული ჟურნალისტი ისეთი იერის მიღებას ცდილობს, ვითომ არ იცოდეს, რომ თავადაც წკიპზეა შეჭმას გადარჩენილი.

ამდენი ლაჩარი, ცრუპენტელა, უთავმოყვარეო უსამართლო სამართალდამცველი, რამდენიც რობაქიძის საქმეშია თავმოყრილი, ერთი საქმისათვის კი არა მთელი სისტემისთვისაც კი ძალიან ბევრია. ამ მახინჯ სამართალდამცავ სისტემას გვამადლის მიშა. ეს ერთი საქმეა სარკე სააკაშვილის მიერ აშენებული მახინჯი სახელმწიფოსი. რკინის ნერვებს და არაადამიანურ მოთმინებას ვუსურვებ ბუტას ოჯახს. სხვანაირად ამ ვაკხანალიის გაძლება ძალიან ძნელია.

# ბატონო პრემიერო, ჩემი დამჭერი სალია „ნაცების" დამჭერი არაა!



წლების განმავლობაში, ადეიშვილების, კობერიძეების, ღვინიაშვილების, ლაცაბიძეების და კეზერაშვილების დავალებების მორჩილად შემსრულებელი „ნაცების" სახე, ბრალმდებელი ნუგზარ სალია გაოცებას იწვევს. იგი პირწავარდნილი ნაციონალის გიგი უგულავას პროკურორია. ამიტომ ეს საერთო-სახალხო აზრია: სალია კორუმპირებულ მერს არ დაიჭერს! წლების მანძილზე დაუცველ ადამიანებს აძრობდა ტყავს, დღეს კი, ექვსი წლის შემდეგ, ტელეეკრანზე რომ დავინახე სალია, „ფუი ეშმაკს-მეთქი", ვთქვი. არ ვიცი, ვინ მოაბრუნა ეს „ჯალათი", რომელმაც არა ერთი უდანაშაულო ადამიანი გასწირა და წლობით ციხეში გამოამწყვდია. სალიამ და მისნაირებმა სული ამოგვხადეს, ჯანმრთელობა და ცხოვრება წაგვართვეს და მათი რეანიმაცია მიშას ციხეგამოვლილი ადამიანებისთვის საფლავის ხელმეორედ გათხრას ნიშნავს. არ მესმის, სალიასნაირ ბრალმდებლებს და მოსამართლეებს უამრავი ადამიანის გაუბედურება რატომ უნდა შერჩეთ. ბოლოს და ბოლოს, მომავალმა თაობამ ხომ უნდა იცოდეს, ვინ ვინ იყო და მათ მიეზღოთ თუ არა „კეისრისა"?!

იმ დღეს ნუგზარ სალიას ისევ ახალ ამპლუაში, ისევ ტელეეკრანზე გამოჩენის შემდეგ, უამრავმა ციხეგამოვლილმა ქალმა დამირეკა, ერთ-ერთი საწოლს მიჯაჭვული, სტრასბურგის ჩარევის შემდეგ, სასჯელის გადავადებით, უფრო სწორად, სიცოცხლის გადავადებით ციხიდან გათავისუფლებულმა სალიასგან გამეტებულმა ქალმა მითხრა: „იქნებ მეყოს ძალა და მთავარი პროკურატურის შენობამდე მივაღწიო, რომ შიმშილობის აქცია დავიწყო. დამძიმებულ ჯანმრთელობაზე მეტად უსამართლობის განცდა მკლავსო".

ფიქრობს კი სალია, რომ მისგან გაუკუღმართებული სამართლის მსხვერპლნი, იმ ქალის მსგავსად, შესაძლოა, თავიანთი საწოლებით მივიდნენ?" და მეც შევუერთდე აქციას, სალიასგან წლობით კალამწართმეული ჟურნალისტი, რომელიც უცხო ქვეყნის ვერდიქტს ველოდები.

სალია-პროკურორო, კაცმა როგორ უნდა იცხოვრო ისე ამ წუთისოფელში, რომ ამდენი ქალი გაამწარო.

თუ სულ ერთია შენთვის, ახალი ხელისუფლების პირობებში უკმაყოფილო ადამიანთა კიდევ ერთი ტალღა თუ აგორდება. „ნაცების" წისქვილზე აპირებ წყლის მიმატებას?!

მინდა გითხრა, ფრთხილად, „ნაცების" „პიტალო", „ფრიალო", „მაღალო" კლდევ, სიტყვა „სალი" ასეა განმარტებული განმარტებით ლექსიკონში, მართლა „მაღალი", „შეუდრეკელი" და „მაგარი" არ გეგონოს თავი, შენ მხოლოდ „ნაცების" "შენადნობი", დამნაშავე სახე ხარ და მეტი არაფერი!

სალია-პროკურორო, „ქართული ოცნების" და ახალი ხელისუფლების სტრუქტურებს მაინც ნუღარ დააბინძურებ შენ შენი ღვიძლი პროკურორი ძმის მსგავსად ერთი-ორი წლით კი არ უნდა ჩაჯდე ციხეში, ძვირფასო, არამედ ციხე შიგნიდან თუ არ გატყდა, იქიდან ღრმად მოხუცებული უნდა გამოხვიდე, რომ„ბებერ მგელს" არამი ხორცის საჭმელად ვარგისი „კბილები" არ შეგრჩეს და კანონის უზენაესობა დაინახო, რამაც პასუხი უნდა გასცეს უგულავას დაჭერამდე ამ კითხვას: მაინც ვინ არის შენი ლობი?

ეჰ, დონ კიხოტივით ქარის წისქვილებს ვებრძვი, თორემ კარგად ვიცი, არც უგულავას დამჭერია ვინმე და არც შენი ციხეში ჩამსმელი!.. რადგან დღეს თემიდა მკაცრი არ არის, ამიტომ თქვენნაირებისთვის განაჩენი საზოგადოებამ გამოიტანა: დააშავეთ და წადით ციხეებში!

**ნანა სულავა**

# სევდია უგრეხელიძე „ზვიადისტი" – სკამისტი!

22 თებერვალს ღამის 10 სთ-ზე გიგი უგულავამ თბილისის ვიცე-მერად დანიშნა ქ-ნი სევდია უგრეხელიძე. ბ-ნმა გიგიმ აღნიშნა, რომ სევდია უგრეხელიძე იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტის მთავრობის წევრი და მისი მხარდამჭერი. მინდა მკითხველს განვუმარტო, რომ ქ-ნი სევდია არასოდეს არ ყოფილა გამსახურდიას მთავრობაში. მისი ქმარი – თენგიზ ჩაჩავა იყო უზენაესი საბჭოს დეპუტატი. მოგვიანებით, ქ-ნი სევდია აქტიური მხარდამჭერი გახდა ნაციონალებისა, მოხვდა რა საკრებულოში, ქ-ნმა სევდიამ დაივიწყა „ზვიადისტობა" და ნაცების გუნდში გადაბარგდა – ასე გააგრძელა მან მუშაობა საკრებულოში – 2006 წ. და 2010 წლის მაისიდან. ქ-ნი სევდია იყო საკრებულოში იურიდიული კომისიის თავ-რე. 22 თებერვალს გიგიმ ქ-ნი სევდია „გაადიდქალა".

ქ-ნი სევდია იყო ადვოკატი 1998 წლის 9 თებერვალს შევარდნაძეზე მომხდარი ტერაქტის მონაწილის საშა ზაქარაიას და მისი ადვოკატობაც იმით დამთავრდა, რომ ბრალდებულს მიუსაჯეს 14 წელი (აღნიშნული პატიმარი ახალმა ხელისუფლებამ მიმდინარე წლის 29 იანვარს 12-წლიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლა).

ქ-ნ სევდია, ნუგზარ წიკლაურო, ეკა ხერხეულიძევ, გოგი ოჩიაურო და სხვა ვითომ „ზვიადისტებო" – თქვენ სინამდვილეში „სკამისტები" ხართ.

გეკითხებით თქვენ – შადიმანებო, თქვენა ხართ ზვიადის იდეის გამგრძელებლები? თქვენი ქცევით თქვენ ჩირქს სცხებთ ბ-ნი ზვიადის სულს. განა ზვიადის იდეა ის იყო, რომ მართლმადიდებლობა გაენადგურებინათ? განა მისი იდეა მართლმადიდებლობის დევნა იყო? ან საქართველოს ტერიტორიების დაკარგვა, ადამიანის უფლე-



ბების ფეხქვეშ გათელვა? როგორ აძლევთ თქვენს თავს უფლებას, რომ თქვენ თავს უწოდოთ „ზვიადისტი"? ვინა ხართ თქვენ? ასე რომ, ყველას თავი შეაძულეთ და ცდილობთ ლაფში ამოსვაროთ ის, რასაც ზვიადის იდეა ჰქვია – რასაც საქართველოს თავისუფლება ჰქვია. ამ იდეას შეეწირა ასობით გულანთებული პატრიოტის სიცოცხლე, მისულხართ ოდესმე მიტინგზე მოკლულების ოჯახებში? – არა! მისულხართ 2 თებერვალს ცირკთან მოკლული მედროშე ბიჭის მამუკა ტერაშვილის სახლში ნორიოს ქუჩაზე? ან ასევე იური ტალახაძის, გურამ დოლიძის, გივი რეხვიაშვილის და სხვათა სახლებში. თქვენგან განსხვავებით, მე მათ სახლებში ვყოფილვარ, შემიგროვებია მათი სურათები, გარდაცვალების მოწმობები, მიმიწოდებია მოსკოვის დეპუტატებისა და ქართული სათვისტომოსთვის იმავე წლის ზაფხულში.

ნუგზარ წიკლაურო, შენი „ზვიადისტობა" მხედრიონელი რურუების და „ზვიადისტების" მხოცავ მამა-შვილ გაბაშვილების გვერდით დგომა და მათი დაცვაა?

ჰეი, თქვენ, ვითომ „ზვიადისტებო", სინამდვილეში „სკამისტებო", ჩამობრძანდით მანქანებიდან, გაიარეთ ქუჩაში და ნახავთ, ხალხი როგორ შეგხვდებათ. გრცხვენოდეთ! უმჯობესია, შექმნათ რაიმე სექტა და რაც გინდათ, ის დაირქვით... დაანებეთ ზვიადის სახელის ხსენებას თავი. მოასვენეთ მისი სული სასუფეველში! განა ბ-ნმა ზვიადმა თავისი თავი სამსხვერპლოზე იმიტომ მიიტანა, რომ თქვენ მერე მისი სახელით გევაჭრათ? შექმენით პარტია და მას დაარქვით „შადიმანი". ეს სახელი ზუსტად შეეფერება თქვენს საქმიანობას.

გრცხვენოდეთ!

**რუსუდან პატარაია**

**ყველა მიტინგის მონაწილე 1992 წლიდან, კიბერნეტიკის ინსტიტუტის რეპრესირებული ყოფილი მეცნიერ-თანამშრომელი**

**ირაკლი მელაშვილი:** ვფიქრობ, ძალიან ბევრი საინტერესო რამ მოხდება ამ ორ თვეში, ბევრი რეფორმა იწყება, ბევრი რამ გაკეთდება. რაც შეეხება „ბრალდებას“, რომ თემებით ჟონგლიორობა არ გამოგვდის, ჟონგლიორობას არავინ ცდილობს. განსხვავება სწორედ ესაა ამ და წინ ხელისუფლებას შორის. საზოგადოება შეჩვეულია წინა ხელისუფლებისა და პოლიტიკოსებსიაგან პიარს და ჟონგლიორობას და ცოტა უკვირთ, რატომ ხმას არ ვიღებთ ჩვენ. თუ იგივე გზით ვიარეთ, მაშინ რა



შეიცვალა სათავეში მოსული პარტიების სახელების გარდა?

თუმცა ამავდროულად კარგად მესმის ხალხის უკმაყოფილება, ვთქვათ, რატომ არ იძიებს პროკურატურა სწრაფად საქმეებს. ჩვენ ამასაც შეჩვეული ვართ, გვქონდა ძალიან სწრაფი და ძალიან უსამართლო მართლმსაჯულება, რომელსაც მტკიცებულებები არ სჭირდებოდა. ცდუნება დიდია იმისა, რომ შენც ისევე გააკეთო, როგორც წინა ხელისუფლებამ, მაგრამ ვერ ააშენებ ნორმალურ სახელმწიფოს. ჩვენ რთული გზა გვაქვს გასავლელი. დემოკრატია ბევრად უფრო რთული სამართავი სისტემაა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვაქვს, მოგვიწევს, ნაციონალურ მოძრაობას დავუმტკიცოთ თავისი დანაშაული. ხოლო დანაშაული არის ძალიან დიდი. ათასობით განცხადება შედის პროკურატურაში, უკევ ფიზიკურად შეუძლებელია, ამდენი საქმის გამოძიება იმ რესურსით, რაც არსებობს. მაგრამ მთავარი, რის გამოც ანონსდება 19 აპრილი თუ ვრცელდება რობაქიძის კადრები, არის ის, რომ სააკაშვილმა შესანიშნავად იცის, მას, ადრე თუ გვიან, მოუწევს დანაშაულისათვის პასუხისგება. ერთადერთი მისი დაცვა არის ის, რომ, როგორმე დასავლეთში დაარწმუნოს ვინმე, რომ მას სჯიან მისი პროდასავლური კურსისთვის. ამიტომ მას უნდა წყალგამყოფი გაავლოს აქ, პროდასავლელსა და პრორუსს შორის და არა დამნაშავესა და უდანაშაულოს შორის. ამიტომ მათ სჭირდებათ გადაფარვა. სააკაშვილი ვერ იკამათებს ვერც დასავლეთში და ვერც ქვეყნის შიგნით, რომ მისი ხელისუფლება უდანაშაულოა, ფაქტები სხვაზე მეტყველებს. მაგრამ მისი ერთადერთი თავდაცვა არის ის, რომ დაუმტკიცოს ამერიკელებს, ევროპელებს, თითქოს ნაციონალური მოძრაობა და თავად ის ისჯება პროდასავლურობისათვის. აქედან მოდის მათი აჩირებაც კონსტიტუციაში დასავლური კურსის ჩაწერის შესახებ. ეს სასპეკულაციო თემაა და მეტი არაფერი. აბა, 19 აპრილს ხალხს იმისთვის ხომ ვერ დაუძახებდნენ — მოდით, ხალხო, ამ მთავრობას უთხარით, არ დაგვიჭირონ ჩადენილი დანაშაულის გამოო. რომელი ხელისუფლება ლაპარაკობს დასავლურ ორიენტაციაზე?! რომელმაც რუსებს ისიც კი შეუსრულა, რაც არასოდეს დაესიზმრებოდა. მოახერხა და დღეს დაკარგულია შიდა ქართლის ტერიტორია, რომელიც არასოდეს არავის მოსვლია თავში აზრად, საქართველოსაგან დამოუკიდებლად ეცნო. ეს არის დანაშაული ისტორიის წინაშე, რაც ძალიან ძვირი გვიჯდება. სამწუხაროდ, ისტორიაში არის ხდომილებები, რომელსაც უკან ვერ დააბრუნებ. 98 წლის სატამბოლის ხელშეკრულების ძალით გაყვანილი რუსის ჯარი მან, ფაქტობრივად, უკან შემოაყვანინა.




**ლადო პაპავა:** ნაცონალური მოძრაობა იბრძვის თვითგადარჩენისთვის და თუ მეტიც გამოუვათ, რატომაც არა. არ მინდა უდანაშაულობის პრეზუმპცია დავარღვიო, მაგრამ თუკი



არსებობს რაიმე ეჭვი თბილისის მერთან დაკავშირებით, სასამართლო დაადგენს. ის, რომ ქუთაისიდან დაიძრა ნაციონალური მოძრაობა, ბევრს არაფერს ნიშნავს. ისინი ცდილობენ, მაქსიმალურად შეიკრან ერთ მუშტად, საზოგადოება და უცხოელებს ის მაინც უჩვენონ, რომ დიდ ძალას წარმოადგენენ. ტყუილად ხომ არ დაპირდა ვანო მერაბიშვილი, 19 აპრილის აქციას და ახლა თურმე ვიცე-მერადაც მოგვევლინა. ეს არის მცდელობა, როგორმე შეინარჩუნონ სახე, პარტია, წარმოაჩინონ, რომ არიან თითქოს დევნილები. ამასწინათ ბატონმა მარგველაშვილმა თქვა, წარმოიდგინეთ, ნაციონალებს რომ გაემარჯვათ, რა დევნა ელოდათ „ქართულ ოცნებას“ და მის მხარდამჭერებსო. ასე რომ, ნუ დავარქმევთ დევნას დღევანდელ სიტუაციას, თუ არის დანაშაული, უნდა პასუხიც აგონ.

რაც შეეხება ახალი მთავრობის მუშაობას. მე საჯაროდ ნეგატივზე საუბარს არ ვაპირებ, ვიდრე ნაციონალური მოძრაობის ეს კრიმინალური ბანდა არ იქნება დასრულებული, როგორც ფენომენი. არ მინდა სააკაშვილის სამსახურში ჩადგომა. ყველას გვაქვს ის განცდა, რომ, შეიძლება, ის საშინელი რეჟიმი დაბრუნდეს. ამიტომ კრიტიკა სამომავლოდ შემოვინახოთ.

მთელი მთავრობის ერთი კრიტერიუმით შეფასება შეუძლებელია. არის სფეროები, სადაც აშკარად გამოიკვეთა გარკვეული წარმატება. 100 დღე, ერთის მხრივ, ძალიან ცოტაა, თუმცა საკმაო დროა იმისთვის, რომ ტენდენცია გამოჩნდეს. მაგალითად, პოზიტივია ის, რომ 2013 წლისთვის მოხერხდა და გამჭვირვალე ბიუჯეტია მიღებული. ეს მეტყველებს ფინანსთა სამინისტროს მუშაობაზე. ამ სამინისტროს გახსნილობა საზოგადოებასთან. მიღებული იქნა მთელი რიგი ინიციატივები, მაგალითად, დაუბეგრავი მინიმუმი, პენსიის ზრდა და ა.შ. რაც შეეხება ინფრასტრუქტურის სამინისტროს, გარკვეული პროექტები გრძელდება. ამის შესახებ საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდა. საინტერესო ინიციატივა მოვისმინეთ გუბერნატორების თემასთან დაკავშირებით, მართალია, მას ჯერ დახვეწა სჭირდება, მაგრამ მაინც მისასალმებელია. ვისურვებდი, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრო უფრო ღია იყოს. მეტი ურთიერთობა ჰქონდეს საექსპერტო საზოგადოებასთან, მედიისათან.

**თია გოგიტიძე:** საინტერესოა, რატომ იკიდებს ფეხს მოუთმენლობის სინდრომი საზოგადოებაში. ფსიქოლოგიური



თვალსაზრისით, ადამიანის ცნობიერებაზე უდიდესი გავლენა აქვს მედიას, მით უფრო, ელექტრონულ მედიას. როგორ იქნება მიწოდებული და გაშუქებული ინფორმაცია, ამას პირდაპირი გავლენა აქვს ადამიანის აღქმაზე. ამიტომ პიარი, საზოგადოებასთან ურთიერთობა კეკლუცობასთან და ამპარტავნებასთან არ არის გაიგივებული. ვგულისხმობ, საზოგადოებასთან ურთიერობას, მის ინფორმირებულობას იმ საკითხებთან დაკავშირებით, თუ რას აკეთებს, რა ნაბიჯებს დგამს ხელისუფლება თავის დაპირებებთან დაკავშირებით. და ტრაგედი, იცით, რა არის? თქვენ, მაგალითად, იცოდით, რომ ხელისუფლებამ 900 ტრაქტორი შემოიტანა საქართველოში? სრულიად შემთხვევით გავიგე ამის შესახებ, რომ თურმე ვიღაცას წამოსცდა ამის შესახებ, რატომ არ უნდა იცოდეს ამის შესახებ საზოგადოებამ? რატომ არ უნდა იცოდეს იმ საკითხების შესახებ, რომელთაც ხელისუფლება პოზიტიური მიმართულებით დგამს. ჯერ ერთი, სრულიად საომარ მდგომარეობაში მიდის ეს საქმიანობა და რასაც გააკეთებს ხელისუფლება, ათი იმდენი ნეგატიური მხრიდან დანახვაზე არის მომართული მთელი რიგი ჟურნალისტების და ტელეკომპანიების, რომელთა მიზანს წარმოადგენს, რომ ნეგატიურზე მოხდეს ფოკუსირება. ფსიქოლოგიაში ეს კარგად ნაკვლევი თემაა, როდესაც ნეგატიურზე აკეთებ აქცენტირებას, ბუნებრივია, კლიშეების, იარლიყების მიწებებას ახდენ ამ შემთხვევაში და აღქმაშიც ფოკუსირდება ასე.

არსებობს თანამედროვე ტერმინი კონსტრუქციული კრიტიკა, რომელიც პოზიტიური კრიტიკის სახით განიხილება და არის დესტრუქციული კრიტიკა. კრიტიკის დანიშნულება ის უნდა იყოს, რომ ადამიანს მისცეს საშუალება, დაინახოს თავისი სისუსტე, ნაკლი. უხამსი და ხეპრე გამონათქვამებით აპელირება პირადი უკულტურობის ნიშანია და პიროვნული განვითარების პრობლემებზე მიგვანიშნებს. უარყოფითი, დესტრუქციული კრიტიკა, რომელიც ფრონტის ხაზის მსგავს სურათს ქმნის დღევანდელ დღეს და ნამდვილად უშლის ბევრ რამეში ხელს, თუნდაც მრავალი პოზიუტიური ნაბიჯის გადადგმაში. ადამიანს არ შეუძლია ორ რამეზე იფიქროს ერთდროულად, როდესაც ბორბლებში ჯოხებს გიწყობენ, ხელი გეშლება წინსვლაში. როცა კონსტრუქციულად გაკრიტიკებენ და რეკომენდაციებს გაძლევენ, ეს სულ სხვა თემაა.

**გია ხუხაშვილი:** ხელისუფლება წლების განმავლობაში არათუ აკონტროლებდა „იმედს“, არამედ ფლობდა. ეს ყველამ იცოდა. ეს იყო ორსერიანი მოქმედება, მათ პირველ ეტაპზე გამოიყენეს ჯოზეფ ქეი, პატარკაციშვილის ოჯახისთვის რომ წაერთმიათ ტელევიზია და კონტროლქვეშ დაეყენებინათ და მეორე ეტაპზე, პრქტიკულად, მოახდინეს ლეგიტიმაცია.

რაც ყველაზე თავხედურია მთელ ამ ოპერაციაში - სახელმწიფო ბიუჯეტიდან ტრანსფერი კეთდება ქალაქის მერიაზე განვითარების ფონდზე 25 მლნ-ის ოდენობით წლის ბოლოს. ეს ფული ხვდება შემდგომ ახალი რიყის ანგარიშზე და აქედან 10 მლნ ირიცხება ჯოზეფ ქეის ანგარიშზე. რამდენადაც ვიცი, ქეი ადასტურებს ამას. საქმე არის უნაკლო და კითხვის ნიშნები არ არის. ანუ რა გააკეთა ქალაქის მერმა: სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე პირველ სერიაში წართმეული ტელევიზია გადაიფორმეს პირდაპირ თავის თავზე და საოპერაციო ხარჯები გაუსტუმრეს ამ ფორმით, პირველ სერიაში, მათივე თანამონაწილე ქეის. ეს მოხდა ჩვენს ხარჯზე, ეს იყო ხალხის ტელევიზია. ჩვენ წაგვართვეს ტელევიზია და ჩვენს მიერ გადახდილი გადასახადებით გაიფორმეს მეორე სერიაში. ამის შემდეგ ამ ადამიანს ყოფნის



თავხედობა, ისაუბროს იმაზე, რომ სწორედ მან გასცა განკარგულება ასეულობით ადამიანი გაეფორმებინა დასუფთავების სამსახურში, სადაც ისინი სინამდვილეში არ მუშაობდნენ. თან ამბობს, ბიძინა ივანიშვილს ასევე ძალიან ბევრი ვინმე ჰყავდა გაფორმებული ფიქტიურად თავის კომპანიებშიო. ჯერ ერთი ეს არის აბსურდი. მოგელაძის ხელში რანაირად უნდა მოეხერხებინა ეს ივანიშვილს, მაგრამ თუნდაც ასე ყოფილიყო, ნახეთ, თბილისის მერის ლოგიკა, ის უთანაბრებს კერძო კომპანიაში თავის ჯიბიდან გადახდილ ფულს ქალაქის ბიუჯეტს. ის, ალბათ, თვლის, რომ ქალაქის ბიუჯეტი მისი პირადი შპს-ა. წარმოუდგენელი უტიფრობა და თავხედობაა. 9 წელია ხალხს შეურაცხყოფას აყენებნ და ძარცვავენ. დღეს მოხდა ქალაქის მერის და მისი გუნდის ლუსტრაცია. იქ არ არის მხოლოდ უგულავა. ვისთანაც მიდის ეს ყველაფერი, ყველამ კარგად ვიცით. ესაა მიხეილ სააკაშვილი. ერთ სალაროზე მუშაობდა, ერთ თავხედურ, განუკითხავ ინტერესზე მუშაობდა ყველაფერი. კეზერაშვილიც ამ სისტემის ნაწილი იყო და ძალიან ბევრი სხვაც.

კიდევ ბევრი ინფორმაცია გახდება ცნობილი იმის დასტურად, რომ რეჟიმი იყო მთლიანად გარყვნილი და მაფიის პრინციპებზე აწყობილი. კიდევ ბევრ საინტერსო რამეს გავიგებთ უახლოეს მომავალში.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# რატი ნინუა - 35

* * *

რატი ნინუას ლექსებმა ცრემლი მომგვარა...

უზომოდ მტკივნეულია აზრი, რომ ამ საოცარი პოეზიის შემქმნელი საწუთროს ასე ადრე გაშორდა... საწუთროს, — თორემ მარადისობაში მას ადგილი უკვე დამკვიდრებული აქვს — რატი ნინუას შემოქმედება დიდი ქართული პოეზიის ერთი მშვენიერი ფურცელია.



პროზაც ხელეწიფებოდა. რატის მინიატურები დამუხტულია დიდი ენერგიით. რატი მომავალში უეჭველად მნიშვნელოვან ტილოებს შექმნიდა, — ის ლამაზი სული, უკიდეგანო ფანტაზია, ყოვლისმომცველი სიყვარული, ჭეშმარიტი ღვთისმოსაობა მას მშვენიერ წიგნებს დააწერინებდა (როგორი მძაფრი და ზუსტია თუნდაც მისი — „განაჩენის გამოტანის შემდეგ“).

სხვა კაცი იყო. „საკუთარ ალში დაიფერფლა“ და ადრე წასულ გენიალურ ჭაბუკთა გუნდს შეუერთდა.

ვაგლახ, რომ დროის მსხვერპლია — ჩვენი დღრეული და მრისხანე დროისა — როცა ბრწყინვალე ახალგაზრდები ან მტრის, ან საკუთარი ტყვიის წერანი ხდებიან.

მაღალმა ღმერთმა დაუმკვიდროს საუკუნო სასუფეველი.

**ჯაბუა ამირეჯიბი**
**მარტი, 2005**

## „საერთო გაზეთის“ მთავარ რედაქტორს

**მოგეხსენებათ, 2000 წლის 10 მაისს, დედაუნივერსიტეტში მომხდარმა უბედურებამ შეძრა არამარტო ფილოლოგები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, პოეტები, მწერლები, ჟურნალისტები, არამედ ერი და ბერი, პროტესტის ნიშნად თავი დადო ზვარაკად რატი (ტატო) ნინუამ...**

**მინდა გთხოვოთ, როგორც გამწარებულმა მშობელმა მამამ, იქნებ დაგვდოთ პატივი და რატის დაბადების დღესთან (27 თებერვალი) დაკავშირებით, უნივერსიტეტელი მეგობრების წერილი გამოაქვეყნოთ.**

**ვისარგებლებ თქვენი კეთილშობილებით და გავკადნიერდები — თუ შეიძლება სოფელ რუისში (დედულეთში) შექმნილი სახლ-მუზეუმის საბანკო ანგარიში მიუთითოთ, რათა თითო ლარობით, მსურველებმა ჩარიცხონ, რომელიც მუზეუმთან არსებულ „მოყმეებს“ უსათუოდ წაადგება.**

**პატივისცემით მეხდაკრული ზურაბ ნინუა**
**2013 წელი, თებერვალი**
**№E49TP0036080020001147, სს „პრივატბანკი“**

## პოეტი და უკვდავება

### (რატი (ტატო) ნინუას შესახებ)

ხშირად საუბრობენ პოეზიის რეფორმის შესახებ. დიახ, რუსთაველმა, გურამიშვილმა, მართლაც მოახდინეს ეს რეფორმა. მერე იყო „ტრიუმვირატი“ — ილია, აკაკი, ვაჟა და ბოლოს — გალაკტიონი, ცისფერყანწელები (პაოლოსა და ტიციანის ლიდერობით), გრანელი.

აქ დასრულდა ნუსხა ძველი მეფეების.

1959 წლის გაზაფხულზე, მარტში, გალაკტიონმა თავი მოიკლა და ამით თითქოს თვით ქართული პოეზიაც მოკლა.

ეს იყო და ეს.

არა, შემდეგ ისევ გამოჩნდნენ ახალი თაობები, პოეზიის ახალი ვარსკვლავებით, თუმცაღა ოთხმოცდაათიან წლებამდე ლექსის რეფორმა აღარ მომხდარა. ყოველ შემთხვევაში, მე, პირადად, ასე ვფიქრობ, რომ ქართული ხელოვნების რენესანსი ოთხმოცდაათიანი წლებიდან დაიწყო და ეს მით უფრო გასაოცარია, რომ 1992 წელიდან მოყოლებული, ჩვენს ქვეყანას ნგრევა-განადგურება, ღალატი და სიძულვილი გაცილებით მეტი უნახავს, ვიდრე შენება-აღმავლობა. ბოლო ოც წელიწადში ქვეყნის გაქრობას წინ მხოლოდ ხელოვნებაღა გადაელობა.




ოთხმოციანი წლების ბოლოს თბილისში ყველა ლაპარაკობდა ძმადშეფიცულების შესახებ, — მერაბი, ზვიადი, ხშირად გაიგონებდით გურამ პეტრიაშვილის სახელსაც...

მერე დაიწყო წითელი იმპერიის ნგრევა (რატი ბავშვობიდანვე „პატარა დისიდენტიც“ ყოფილა. გაეცანით თბილისის პირველი საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორის ქ-ნი ლიანა შეწირულის წერილს და დარწმუნდებით).

მერე კი უკვე ეროვნული ხელისუფლება დაემხო და საქართველოს ნგრევა დაიწყო.

ამას ყველაფერს უყურებდა გენიალობით აღჭურვილი რატი (ტატო) ნინუა. იგი სულიერ სიმშვიდეს ლექსების წერაში პოულობდა. თითქოს სულ წერდა, დაბადებიდან მოყოლებული, და მას არასოდეს დაუწერია სუსტი ლექსი, არასოდეს დამარცხებულა პოეზიასთან პირისპირ მდგარი.



თავიდან იყო ყველაზე აღმატებული ვუნდერკინდი, ხოლო შემდეგ — ყველაზე აღმატებული ფენომენი (6 წიგნის ავტორი).

რატი იყო ნამდვილი თბილისელი. დაიბადა იგი 1977 წლის 27 თებერვალს და თვითონვე შეწყვიტა საკუთარი სიცოცხლის სვლა 2000 წელს. თბილისში დაიბადა, ამავე ქალაქში დაუსვა წერტილი საკუთარ გზას. ის იყო სულით-ხორცამდე ქართველი, დიდოსტატი ქართული სიტყვისა.

გასაკვირია, რომ პოეტის სიცოცხლეში მისი პოპულარობა საშუალო დონეს თითქოს არც გასცდენია. მაგალითად, საერთოდ, ლექსებს რომ წერდა, უნივერსიტეტში მხოლოდ მაშინ გახმიანდა, როცა იგი ჩემი მაშინდელი პოეტური ჯგუფის (გაერთიანებას ჯერ „დემონი“ ერქვა, მაგრამ შემდეგ ამ სახელის სიმძიმეს ვერ გავუძელით და სახელწოდებად „მირაჟი“ ვამჯობინეთ) წევრი გახდა. ჯგუფის სხვა წევრთაგან განსხვავებით, იგი არ გამოირჩეოდა ხმაურიანი, იაფფასიანი სკანდალებით. ამიტომ გაერთიანების ბირთვს (მე, კახა ბაციკაძე, გიორგი ზუხბაია და ჩემი ძმა — ვასო ლომაძე) სუფთა პოპულარობის თვალსაზრისით ჩამოგვრჩებოდა. სამაგიეროდ, ის და გოგი არაბული ჩვენი ჯგუფის ყველაზე უფრო პოეტური წევრები იყვნენ, პრინციპულნი, კრისტალურნი, შეუპოვარნი... ყველაზე მყარი პიროვნებები.

ახლა ზუსტად არ მახსოვს, რამდენ წევრს მოიცავდა ჯგუფი. ყველაზე მეტად კი გამოირჩეოდნენ ესენი: კახა და ზუხბა ერთის მხრივ, რატი და გოგი, მეორეს მხრივ. მე თითქოს ვაბალანსებდი ამ ყველაფერს.

რატი იყო საშუალო სიმაღლის, შავგვრემანი, ჩაფსკვნილი, ძლიერი აგებულების. უყვარდა სპორტი. ერთხანს ვარჯიშობდა კიდეც. თითქმის ზუსტად ასეთივე იყო გოგაც, ოღონდაც უცნაურად მომწვანო ფერის მზერა ჰქონდა და მასზე შავგვრემანს ვერ იტყოდით.

სხვა მხრივ კი...

სხვა მხრივ, ესენი უფრო დინჯები იყვნენ, უფრო სერიოზულნი, ასე ვთქვათ, უფრო დარბაისელნიც და უფრო „ნაღდებიც“, ნამდვილნიც; ესენი — რატი და გოგა... და პირველებმაც დატოვეს ცისქვეშეთი, ცაში ცხოვრება არჩიეს ცის ქვეშ ცხოვრებას...

მიუხედავად ყველაფრისა, არავის ეგონოს, რომ რატი მოკლებული იყო იუმორის გრძნობას ან თავგადასავალთა სიყვარულს. პირიქით, მას თავისებური, მახვილი იუმორი ჰქონდა და ენამოსწრებული იყო, როცა აენთებოდა ხოლმე. უყვარდა აგრეთვე ხეტიალი თბილისსა და მის შემოგარენში. უყვარდა მთები და ზღვა (თუნდაც იგი თბილისის ზღვა ყოფილიყო);

და ფილმები, —

იგი თითქოს პირდაპირ ამ ფილმებში ცხოვრობდა, — სათავგადასავლო ფილმებში (განსაკუთრებით მოსწონდა სერიები კონან ბარბაროსის შესახებ)...

ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, პოეტები და პოეტური ჯგუფები მოედო თბილისს. ომების, ამბოხებების, მიტინგების, შიმშილის ქვეყანა ხსნას ხელოვნებაში ხედავდა. ესღა იყო თავშესაფარი.

აქ ისვენებდა რატიც, — პოეზია, მუსიკა, ფილოსოფია (ანუ — ნაზავი მეცნიერებისა და ხელოვნების, ანუ — ყველაზე პოეტური მეცნიერება)... აი, ამ სფეროში თუ პოულობდა შვებას.

და მართლაც გენიალური პოეტი იყო, მაგრამ ამას იშვიათად ამბობდა.

— მე არც გმირი ვარ, და არც ბერის მორალური კატეგორიის ადამიანი, — მითხრა ერთხელ, — მე ვარ ცოდვილი პოეტი და ვებრძვი საკუთარ თავს, საკუთარ ცოდვებსო. არც კი ვიცი, რატომ მითხრა.

— ეგეც გმირობაა-მეთქი, — ვუთხარი.

გაეღიმა.

მერე ის გავახსენე, წინა დღეებში რომ თქვა, — პოეტი კი არა, მთარგმნელი ვარო (რატიმ რამდენიმე უცხო ენა იცოდა. საერთოდ, ყოველმხრივ ძალიან განათლებული იყო).

— ვიხუმრე, — მითხრა სწრაფად, — ვიხუმრე!.. — და მერე უკვე ნელა დასძინა, — პოეზიის გარეშე რა აზრი ექნებოდა სამყაროს?! არაფერი!..

აი, ასეთი იყო რატი: მებრძოლი ხასიათისა, ვაჟკაცური, მაგრამ ზეცაში მცხოვრები, — სხვა სიმაღლეზე მცხოვრები, ალბათ, უკვე თავიდანვეც. და ეს უხდებოდა მას...

2004 წელს (პოეტის გარდაცვალების შემდეგ) რატის ოჯახმა, რამდენიმე სხვა ადამიანის დახმარებით, გამოსცა პოეტ რატი (ტატო) ნინუას ყველაზე უფრო გენიალური ნაშრომი, წიგნი „სინდბად მეზღვაური“. ახალ დროში, ახალ ეპოქაში, ახალ საუკუნეში ძნელად რომ რომელიმე ლირიკული წიგნი შეედაროს ამ უკვე ლეგენდარულ ქმნილებას. მისი სათაური უცხოური მითოსიდან თუ ლიტერატურიდანაა ნასესხები, მაგრამ წიგნის ლირიკა, რატისეული ლირიკა სუფთა ქართულია, თუმცაღა მთელ დასავლურ-აღმოსავლურ კულტურას ნაზიარები. ეს პატარა წიგნი ვრცელ ტომებს გადაწონის. მის გვერდით ახალი ეპოქის ლირიკულ ნაშრომთაგან გოგა არაბულის — „მკვდართა დარდის მზებუდობას“ და ჩემი საუკეთესო შემოქმედებითი ჯგუფის “ზღვარის“ წიგნს — „ლურჯ ლირიკას“ დავაყენებდი. ეს სამი ქმნილება ყველაზე უფრო პოეტური ფერის — ლურჯი სამყაროს სივრცეში უნდა მოვიაზროთ. დიახ, პოეზიას აქვს თავისი ფერი, თავისი სამყარო.

თუკი „დარდის მზებუდობაში“ ლექსმა „სინათლის ფერფლმა“ ჩამაფიქრა ყველაზე მეტად („ჯვარ-ცანი, თვითონ არ არის კაცში“...), რატის წიგნში უფრო „ნიცშეს მონოლოგმა“ და პოეტის უკანასკნელმა ლექსმა — „დასასრულმა“ ამაღელვა:

„ცა დასცქერის გმირი-ბავშვის ცხედარს,
ცა დღეს მის სულს აიტაცებს ნეტარს,
მიწა სამჯერ იუცხოვებს,
და მეოთხედ ძლივს იგუებს
მხოლოდ ტყვიით შეჩერებულ მხედარს“...

სათაური პირობითია: „დასასრულს“ მე ვუწოდებ ამ სულით-ხორცამდე შემძვრელ ქმნილებას. “მხოლოდ ტყვიით შეჩერებულმა მხედარმა“ კი იგი უსათაუროდ დაგვიტოვა. ასევე დატოვა მან საკუთარი ცხოვრებაც, რომელსაც მე ამგვარად დავასათაურებდი — „პოეტი და უკვდავება“...

დღეს 27 თებერვალია, რატი 35 წლისაა დაბადებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წელი...

**სერგი ლომაძე**
**პოეტი, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი**
**თბილისი, 2013 წელი**

## უცხოური პრესის მიხედვით

# რუსეთი კავკასიაში: განსხვავებული პოლიტიკა ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის მიმართ

**დასავლეთის დიდი სახელმწიფოები ცდილობენ, შეაღწიონ კავკასიაში, მაგრამ რუსეთი ამ რეგიონში უკონკურენტოა, მას ბადალი არ ჰყავს და უპირობო გავლენით სარგებლობს. შვეიცარიული გამოცემა ISN, უსაფრთხოების საკითხების ექსპერტებთან ერთად, მსჯელობს იმის შესახებ, თუ რა მიზნები გააჩნია რუსეთს უსაფრთხოების საკითხებში ამ რეგიონის მიმართ და რით განსხვავდება მოსკოვის პოლიტიკა ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში.**



ჩრდილოეთ კავკასიაში უსაფრთხოების საკითხები უკავშირდება ჩეჩნეთის პირველ ომს (1994-1995), აგრეთვე 1999 წლის ფართომასშტაბიან სამხედრო კამპანიას ჩეჩნეთის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ვითარება ჩრდილოეთ კავკასიაში არასტაბილურია. ჩეჩნეთში კადიროვის „რკინის ხელის“ წყალობით სიტუაცია თითქოს დასტაბილურდა, მაგრამ მთლიანად რეგიონში დაძაბულობაა. კავკასიის ემირატი კვლავ აქტიურობს. მდგომარეობას ამძიმებს ეკონომიკური და სოციალური პირობები, ვითარებას კიდევ უფრო ძაბავს ფედერალური და ადგილობრივი სტრუქტურების ძალადობრივი პოლიტიკა.

რუსეთში დიდი ტერაქტები რეგულარულად ხდება და ამით განსაკუთრებულად ჩრდილოეთ კავკასია გამოირჩევა. 2011 წელს ტერორიზმს მიკუთვნებული 365 დანაშაული მოხდა. ამ რეგიონში ბევრია გახმაურებული მკვლელობა და პოლიტიკოსებზე, მუსულმანურ სასულიერო პირებსა და ჟურნალისტებზე თავდასხმები. ხელისუფლება და ანალიტიკოსები უაღრესად შეშფოთებული არიან სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის მიმდინარეობისას შესაძლო ტერაქტების გამო.

შესაბამისად, რუსეთს გადასაჭრელი აქვს დიდი პრობლემა – როგორ გაართვას თავი ტერორისტულ გამოწვევებსა და რეგიონის უსაფრთხოების პრობლემებს, რომლებსაც ბოლო არ უჩანს.

რაც შეეხება რუსეთის საგარეოპოლიტიკურ მიზნებს სამხრეთ კავკასიაში.

რუსეთმა ამ რეგიონში დიდი ხანია, ფეხი მოიკიდა და იგი ცდილობს თავისი გავლენის შენარჩუნებას მთლიანად სამხრეთ კავკასიაზე, მაგრამ მისი მისწრაფებები და დამოკიდებულება თითოეული სამხრეთკავკასიური სახელმწიფოს მიმართ განსხვავებულია.

1990-იანი წლებიდან, რეგიონში მისი მოკავშირე სომხეთია – სამხრეთ კავკასიის ყველაზე ღარიბი ქვეყანა. მართალია, ერევანი ცდილობს დააბალანსოს თავისი პროდასავლური და პრორუსული პოზიციები, მაგრამ რუსეთი დღემდე მისი მთავარი სავაჭრო პარტნიორი და ეკონომიკური და სამხედრო დახმარების წყაროა.

სომხეთისგან განსხვავებით, რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობას ბოლო პერიოდში მიქცევა და მოქცევა გამოარჩევს. 90-იან წლებში ურთიერთობა განსაკუთრებით დაიძაბა, რადგან ყარაბაღის კონფლიქტში რუსეთი მხარს სომხეთს უჭერდა, აგრეთვე ენერგეტიკის საკითხების გამო. ბოლო ხანს ურთიერთობა თუ არ დატკბა, დაძაბული მაინც აღარ არის.

რუსეთს ყველაზე პრობლემატური ურთიერთობა საქართველოსთან აქვს. ძირითადად, რუსეთი ხელმძღვანელობს რეალური პრაგმატიზმის პოლიტიკური ინტერესებით და საქართველოსთან დაკავშირებით თავის მიზნებს აღწევს. მას სურს, შეინარჩუნოს გავლენა საქართველოზე და შეზღუდოს მისი პროდასავლური ამბიციები, აგრეთვე გავლენას ახდენს საშინაო პოლიტიკაზე: საქართველოს ორ სეპარატისტულ ანკლავში – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მხარს უჭერს დამოუკიდებლობისათვის მოძრაობას. მოსკოვი აგრეთვე ცდილობს, არ დაუშვას ნატო-ს გაფართოება ალიანსში საქართველოს გაწევრიანებით. რეალური და ძალზედ სერიოზული გეოპოლიტიკური აზრთა სხვადასხვაობის გარდა, ურთიერთობას წვრილმანებიც აფუჭებს. ეს არის პირადი მტრობა ვლადიმირ პუტინსა და მიხეილ სააკაშვილს შორის, პროვოკაციული ქმედებები და პოზები, რომლებიც ისედაც დაძაბულ ურთიერთობას მეტისმეტად ამძაფრებს.

თუმცა ბოლო პერიოდში, იმედისმომცემი ნიშნები და შესაძლებლობები გაჩნდა – 2012 წლის ოქტომბერში საქართველოს პრემიერ-მინისტრად შემლებული ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი დანიშნეს, რომელსაც მყარი და კარგი ურთიერთობა გააჩნია რუსეთთან. დანიშვნისთანავე, ივანიშვილმა რუსეთს ზეთისხილის მშვიდობიანი რტო გაუწოდა. არ არის გამორიცხული, ორმხრივ ურთიერთობაში პოზიტიური ცვლილებები მოხდეს.

ჩნდება შეკითხვა – როგორ უნდა მიაღწიოს თავის მიზნებს რუსეთმა?

ისეთი პირი უჩანს, რომ რუსეთის ფედერალური პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიაში ჩიხში მოექცა – ხელისუფლება ხან ერთ ინიციატივას წამოაყენებს, ხან მეორეს და ყველა მარცხით სრულდება.

ჩეჩნეთში სტაბილურობისა და რესპუბლიკის ფართომასშტაბიანი აღდგენითი სამუშაოების მიუხედავად, კადიროვის რეჟიმი ეჭვებისა და განგაშის საფუძველს აჩენს. მის ხელში მოქცეული ძალაუფლება, მისი ხასიათი, დესპოტური ძალადობა, ჩეჩნეთის კულტურული და რელიგიური „ტრადიციების“ აღორძინების პროგრამა შეშფოთებას იწვევს. ფაქტობრივად, კადიროვის მმართველობისას, ჩეჩნეთი სულ უფრო და უფრო სცილდება რუსეთის სამართლებრივ და კულტურულ ველს. ეს განსაკუთრებით ეხება ქალის როლსა და ადგილს საზოგადოებაში – ამ მხრივ მათი თავისუფლება სულ უფრო იზღუდება.

რუსეთს შეუძლია, მოაგვაროს არასტაბილურობის მიმდინარე პრობლემები ჩრდილოეთ კავკასიაში, თუკი ის გადალახავს თავისსავე სტრუქტურულ, აგრეთვე ხელმძღვანელობის პრობლემებს, რომლებიც მას ასუსტებს. იმავდროულად, იზრდება ტერორისტული საფრთხეები რუსეთის ტერიტორიაზე. თუ რუსეთი ამ ბარიერებს არ გადალახავს, უპასუხოდ დარჩება კითხვა, რამდენ ხანს შეძლებს იგი, ეფექტიანად მართოს ეს რეგიონი.

სამხრეთ კავკასიაში კი, პირიქით, მათრახისა და თაფლაკვერის პოლიტიკას ატარებს. მათრახს წესისამებრ საქართველოს მიმართ იყენებს, ხოლო თაფლაკვერი სომხეთისთვის ემეტება. 2008 წლის აგვისტოს ომში (სამართლიანი იყო თუ არა – ამის მიუხედავად) რუსეთმა საქართველოსთვის ჭკუის სწავლება განიზრახა. 2011 წელს მედვედევმა ხომ აღიარა, რომ 2008 წელს რუსეთმა თავისი მოქმედებებით ნატოს ამბიციების (სამხრეთ კავკასიაში ალიანსის გაფართოება) მოთოკვა სცადა. რუსეთის გეგმამ გაამართლა, ყოველ შემთხვევაში, დღემდე. თუმცალა, 2008 წლის სამხედრო კამპანიამ რუსეთის არმიის სისუსტე და არაეფექტიანობაც გამოავლინა. რუსეთსა და საქართველოს შორის ფართომასშტაბიან კონფრონტაციას არ უნდა ველოდოთ უახლოეს პერიოდში, მით უმეტეს, თუ ივანიშვილი შეძლებს რუსეთთან დაახლოებას და ორ ქვეყანას შორის დაძაბულობა შენელდება.

**inosmi.ru**

# ივანიშვილსა და სააკაშვილს პიარის ამერიკელი სპეციალისტები განსჯიან

**„ქართული ოცნება“ ამერიკელ ლობისტებს ქირაობს, რომლებიც უცხოეთში მის იმიჯზე იზრუნებენ**

**ძალაუფლებისთვის ბრძოლამ პრეზიდენტ სააკაშვილსა და პრემიერ-მინისტრ ივანიშვილს შორის კვლავ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე გადაინაცვლა. „ქართული ოცნების“ მთავრობის განცხადებით, მათ განაახლეს ამერიკულ ლობისტურ კომპანიებთან თანამშრომლობა, რომელიც შარშან ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ შეწყვიტეს. „მეოცნებეებმა“ პიარის ამერიკელი სპეციალისტების მხარდაჭერის გარეშე უცხოეთში თავიანთი დადებითი იმიჯის შექმნა ვერ შეძლეს.**

„აუცილებელია სრულფასოვნად და დროულად მივაწოდოთ ინფორმაცია საერთაშორისო თანამეგობრობას საქართველოში მიმდინარე პროცესების, მათ შორის ახლანდელი და ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების შესახებ“, – აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილი. მისივე თქმით, „საერთაშორისო ასპარეზი აღარ იქნება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ექსკლუზივი – მთავრობის წევრებიც, დეპუტატებიც (კოალიცია „ქართული ოცნების“) ამ ფრონტზე გადაინაცვლებენ“.

კოალიციაში მიაჩნიათ, რომ „ნაციონალები“ უცხოეთს დამახინჯებულ ინფორმაციას აწვდიან, ამიტომაც გააქტიურება აუცილებლობით არის გამოწვეული და იგი კონკრეტულად სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლას არ გულისხმობს. უნდა იცოდეს დასავლეთმა, რა ხდება სინამდვილეში საქართველოში, როგორ მიიწევს წინ ქვეყანა და როგორ მყარდება დემოკრატიული ინსტიტუტები.

მიხეილ სააკაშვილი მეტისმეტ აქტიურად ემუშავებოდა პიარის სპეციალისტებს, რისი შედეგებიც პრემიერმა თავად იწვნია: დასავლეთელმა პოლიტიკოსებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა ახალი ხელისუფლება ოპოზიციის პოლიტიკურ დევნაში დაადანაშაულეს. მსგავსი კრიტიკის ერთ-ერთი ბოლო შემთხვევა მეტისმეტად მტკივნეული აღმოჩნდა: ევროპის სახალხო პარტიამ – ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წამყვანმა პარტიამ, განაცხადა, რომ „ოპოზიციის შევიწროებამ საქართველოს შესაძლოა, ევროსტრუქტურებისკენ მიმავალი გზა გადაუკეტოს“.

ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ ოთხი ამერიკელი სენატორის წერილი, რომლითაც მათ ამერიკის სახელმწიფო მდივან ჯონ კერის მიმართეს: „დიპლომატიური ზეგავლენა“ მოახდინონ საქართველოს მთავრობაზე სააკაშვილის თანამებრძოლების წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების გამო. მოგეხსენებათ, საქართველოს ნებისმიერი ხელმძღვანელობისთვის ვაშინგტონის დამოკიდებულება, ტრადიციულად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.



„ქართული ოცნება“ თავისი ახალი კამპანიის დეტალებს არ ამხელს. უცნობია, აგრეთვე, ვინ წარმართავს ამ კამპანიას. გამოცემისთვის ცნობილი გახდა, რომ პიარ-აქციების გარდა, „ქართული ოცნება“ აპირებს, მოიწვიოს ავტორიტეტული საერთაშორისო ექსპერტები, რომლებმაც უნდა გააქარწყლონ ეჭვები, თითქოს სააკაშვილის თანამებრძოლების წინააღმდეგ სამართლებრივ დევნას პოლიტიკური სარჩული გააჩნია. ერთ-ერთ ასეთ ექსპერტად სახელდება ტომას ჰამერბერგი, რომელიც დააკვირდება, რამდენად სამართლიანია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების მიმართ გამოთქმული პრეტენზიები.

გარდა ამისა, საგამოძიებო ორგანოები საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებს გამუდმებით მიაწვდიან ინფორმაციას რეზონანსული საქმეების გამოძიების შესახებ.

ქართულ მედიაში გავრცელებული ცნობებით, გასული წლის მიწურულს, სააკაშვილმა, თავისი ინტერესების ლობირებისთვის, Prime Policy Group-ს 860 ათასი დოლარი გადაუხადა. ეს უცხოური ფირმა ინფორმაციას სააკაშვილთან შეთანხმების შესახებ არც ადასტურებს და არც უარყოფს. სააკაშვილის გარემოცვაში გამოცემას განუცხადეს, რომ „ახალმა ხელისუფლებამ პრეზიდენტს ბიუჯეტი შეუკვეცა და ლობისტებისთვის თანხა არ გააჩნიათ“.

შარშან ვაშინგტონელ ლობისტთა რამდენიმე კომპანიამ სააკაშვილისა და მისი პარტიის მხარდამჭერი საქმიანობისთვის საქართველოს ბიუჯეტიდან 1,8 მილიონი დოლარი მიიღო.

მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი წინასაარჩევნო მომსახურების ხარჯებს საკუთარი სახსრებით ფარავდა. მის საარჩევნო პიარზე ზრუნავდნენ ისეთი კომპანიების პოლიტექნოლოგები, როგორებიც არის National Strategies, Patton Boggs. ამათგან პირველს მაშინდელი ოპოზიციის ლიდერმა იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით თვეში 105 ათასი, ხოლო მეორეს – 160 ათასი დოლარი გადაუხადა.

**i**

**მიმოხილვა მოამზადა**
**გ. ჭავჭავაძემ.**

# ნაციონალები სპორტზე ზრუნვის საბაბით ჩინელების მასიურ ჩამოსახლებას უწყობდნენ ხელს

ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე თავად გიგი უგულავა გახლავთ, როგორც დედაქალაქის მესვეურები ამბობენ. თბილისის ზღვაზე ოლიმპიური სოფელი (?!) შენდებაო. მშენებლობის ინვესტირების სურვილი კი ჩინურ კომპანიას გამოუთქვამს. იმასაც უტიფრად გვეუბნებიან, რომ თბილისის ზღვაზე სავაჭრო და გასართობი ცენტრი იქნება, მანამდე კი ოლიმპიური ფესტივალისთვის ორი-სამი თვით დაგვითმობენ ობიექტებსო. ინვესტიციის თანხას ზუსტად არავინ ასახელებს. თუმცა, როგორც შევიტყვეთ, თავდაპირველად ორ ასეულ მილიონ დოლარზე იყო საუბარი, მაგრამ ახლა 50 მილიონს ასახელებენ.

მოდით, განვიხილოთ ფესტივალის ჩატარების ავკარგიანობა. დავიწყოთ იმით, რომ მსგავსი ასპარეზობა დღემდე ბევრ ქვეყანაში ჩაუტარებიათ, მაგრამ „ოლიმპიური სოფელი" ყველგან როდი აუშენებიათ. ავიღოთ თუნდაც ჰოლანდია, სადაც სპორტსმენები და დელეგაციის წევრები კერძო ოჯახებში განათავსეს. ხალხთა დამეგობრების გარდა ამას ეკონომიკური დატვირთვაც ჰქონდა. საქართველოს და ნიდერლანდების ცხოვრების დონის შედარებას კი ირონიულ ღიმილს იწვევს ჩვენში. კარგით, თუ „ნაცმოძრაობას" ესოდენ სურდა თავის გამოდება, განა არ შეიძლებოდა ქართული კომპანიებისთვის მიგვენდო ოლიმპიური სოფლის აშენება? გასართობი და სავაჭრო ცენტრის მაგიერ ხომ არ აჯობებდა, ისეთი სახლები აშენებულიყო, სცადა შემდეგ ხალხი იცხოვრებდა. რამდენია ჩვენში სოციალურად დაუცველი, უბინაო. იცოცხლეთ, კარგი იყო, მაგრამ „ნაცმოძი" ხალხისთვის კი არა, საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობდა და ფიქრობს. დიახ, შესაძლებელი იყო შექმნილიყო თავისუფალი ეკონომიკური ზონა, საიდანაც ყოფილი ხელისუფლების ერთი მცირე ჯგუფი მილიონობით მოგებას ნახავდა, ხალხი კვლავ თოვლის პაპის მოსვლას დაელოდებოდა.

ერთი წუთით დავუშვათ, რომ ყველაფერი იდეალურად აეწყო. განა თბილისში ცოტაა გასართობი ცენტრი? პირიქით, საკმარისზე მეტიცაა. გასართობ ცენტრებზე საკუთარი შეხედულება მაქვს. ქუჩაში შემთხვევით მოვისმინე 18-19 წლის ორი ჭაბუკის საუბარი, ხმამაღლა საუბრობდნენ, რომელ გასართობ ცენტრზე იყო საუბარი, ვერ გეტყვით, მაგრამ, აი, რა უთხრა ერთმა მეორეს: „... ვიყავით, „ექსტაზი" ჩავარტყით და ლუდიც ჩავუფინეთ... მაგრა ვიყავით". კი, მაგრამ მაგდენი ფული სად გქონდათო, — გაუკვირდა თანამოსაუბრეს. „არა, ექსტაზი იქ უფასოდ არისო", — უპასუხა. რა ხდება იმ დროს, როდესაც ნაცმოძელები გაიძახოდნენ, კრიმინალი და ნარკომანია ამოვძირკვეთო! მართალია, „ექსტაზი" ნარკოტიკების კატეგორიას არ მიეკუთვნება, მაგრამ მისი ორგანიზმის დამანგრეველი ძალა, მით უფრო ალკოჰოლთან, ყველამ იცის. აი, ასეთი საწამლავი სატყუარებით იმადლიერებდნენ ნაცმოძელები ახალგაზრდებს. ამის გახსენების შემდეგ გამაჟრჟოლა გართობის ცენტრის გაგონებაზე. რუსეთის პრესამ განგაში ატეხა იმის გამო, რომ ჩინეთიდან რაღაც ახალი სინთეტიკური ნარკოტიკი შეიტანეს, რომლის მიღებაც სავალალო შედეგებით მთავრდება. წარმომიდგენია, რა შეიძლება მოხდეს აქ, თუ ასეთი დახურული ეკონომიკური ზონები იქნება უცხოელებისთვის! ნაცმოძელები აქედანაც, სავარაუდოდ, ხეირს ელოდებოდნენ, რადგან ნარკომანიაში კარგად ჩახედული ხალხის მტკიცებით, ვანო მერაბიშვილის მინისტრობის დროს კუდ-ის და სოდ-ის გარეშე ვერავინ გაყიდის და იყიდის წამალსო, ამბობდნენ.

დემოგრაფიულ საფრთხეზე ლაპარაკი, ალბათ, არც ღირს, რადგან 100 000 ჩინელი ხუთ წელში მილიონი იქნება. სად წავიდეს ქართველი ადამიანი? ამაზე არც არავინ ფიქრობს. საკუთარ ქვეყანაში გადამთიელთა ხიზნებად ქცევის საშიშროების წინაშეა ჩვენი ერი, — ამაზე, ალბათ, ღირს დაფიქრება. კატასტროფა არ იქნება, თუ ახლანდელი ხელისუფლება ქვეყნისთვის საზიანო ინვესტიციებს.

საუბედუროდ, ნაცმოძრაობამ კიდევ ერთხელ გამოიყენა სპორტი თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნებისთვის. ახალი „მოქალაქე" ჩინელებისგან არჩევნებში ხმებსაც მიიღებდნენ და ფულსაც. საქართველო და ქართველები კი... კარგით, რა, ნაცმოძრაობის გაგებით, ქართველობა ხომ „გოიმობაა". ამიტომაც გამოუტანა ერმა შარშან მათ განაჩენი, მაგრამ იმდენი გაფუჭებული საქმე დატოვეს, მის გამოსწორებას, ვგონებ, კარგა დიდი დრო დასჭირდება.

ერთიც სათქმელია: დიდ სპორტულ ღონისძიებებს ყოველთვის არ მოაქვს სახელმწიფოსთვის ფინანსური სარგებელი. გავიხსენოთ თუნდაც მოსკოვის ოლიმპიური თამაშები, რომელმაც საბჭოეთი კარგა გვარიანად აზარალა. ვერც ეს გარემოება გაითვალისწინეს ჩვენმა ყოფილმა ჩინოვნიკებმა.

დაბოლოს, ჩვენი კატეგორიული ტონი, ვიღაცამ, შესაძლოა, „ფობიობაში" ჩაგვითვალოს, მაგრამ სულაც არ ვნაღვლობთ, რადგან „ფობიობასა" და პატრიოტიზმში დიდი სხვაობაა. ჩვენც მხოლოდ სიყვარული გვალაპარაკებს.

**გია ბურდული**
**551 71 27 07**

# შეირაცხებიან თუ არა წმინდანებად აფხაზი მამულიშვილები?!



აფხაზეთის ერონულ აკადემიას არაერთხელ ჰქონდა მცდელობა სახალხო დიპლომატიის გზით „დაეთბოთ" ურთიერთობები აფხაზებთან. ამ მიზნით 2010 წლის დეკემბერს ბათუმში წარმატებით ჩაატარეს „აფხაზ და ქართველ ხალხთა ფორუმი", რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ აჭარის ინტელიგენციის წარმომადგენლები, მათ შორის ეთნიკური აფხაზები. ამ მიმართულებით აკადემიის საქმიანობა გრძელდება. არაერთი ღირსეული, ცნობილი საზოგადო მოღვაწის ღვაწლი აღნიშნულა სათანადოდ მომზადებულ კონფერენციებზე.

სამშობლოსთვის თავდადებული აფხაზი ჩვენი მამულიშვილების: **ელიზბარ ანჩაბაძის, იოვანე გეგიას, ევსტათი ევერიელის, გიორგი შერვაშიძის, არშბას, არზაყან ემხვარის, სოლომონ ზვამბას, დავით ჩქოტუას, იური ანუას** დამსახურებისა და ღვაწლის პირუთვნელად აღსანუსხად და კანონიზაციისთვის საქართველოს პატრიარქის უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით აფხაზეთის ეროვნულმა აკადემიამ მორიგი ღონისძიება გამართა. აფხაზეთის უნივერსიტეტში **ჩატარებულ ღონისძიებას ესწრებოდნენ მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტი ანანია** (ჯაფარიძე), ზუგდიდისა და ცაიშის **მიტროპოლიტი გერასიმე, სამთავისისა და გორის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა).** რათა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად და კანონიზაციისთვის - წმინდანად შესარაცხად წარედგინოს საქართველოს საპატრიარქოს — სრულიად საქართველოს, ცხუმ-აფხაზეთის კათოლიკოსს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს.

აფხაზეთის უნივერსიტეტში შეკრებილმა აკადემიკოსებმა, საზოგადოების წარმომადგენლებმა, მასწავლებლებმა და სტუდენტებმა ამ შეხვედრაზე იმსჯელეს საკითხზე, რომელიც კარგა ხანია ითხოვს განიხილვას და სათანადო რეაგირებას.

აფხაზეთის ეროვნული აკადემიის პრეიზიდენტმა **ზურაბ ლომთათიძემ** განაცხადა:

„ჩვენი აფხაზი მამულიშვილები საქართველოს მოქალაქეები იყვნენ, ამიტომ შემთხვევით არ შეგვიჩერებია არჩევანი მათი ღვაწლის დაფასებაზე. დღეიდან საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს აქვს უფლება იმსჯელოს მათი ღვაწლისა და დამსახურების შესახებ. სამოქალაქო საზოგადოებას გვეძლევა საშუალება, მივიღოთ მონაწილეობა განხილვაში, რათა საბოლოოდ საშუალება მიეცეს ჩვენს საპატრიარქოს და წმინდა სინოდს მიიღოს გადაწყვეტილება მათ შორის თუ რომელი შეირაცხოს წმინდანად.

აფხაზები და ქართველები ერთმორწმუნე მართლმადიდებლები ვართ. საერთო რელიგია გვიბიძგებს პატივი მივაგოთ ჩვენს საერთო ღირსეულ მამულიშვილებს, რომელთაც თავი გაწირეს სამშობლო — საქართველოსთვის და დავუფასოთ ამაგი, რომელიც საქართველოსთვის გასწიეს. დღეს პირველად გაჟღერებული ეს საკითხი დაუდებს სათავეს შემდგომში გაგრძელდეს მსჯელობა, რომელსაც ექნება ჯეროვანი დასასრული. ამით კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი იმას, რომ ერთმორწმუნე აფხაზები რელიგიის გახლეჩას არ დაუშვებენ.

**აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საინიციატივო ჯგუფი**

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
***მთვარისა კევლიშვილი.***
**ტელ.:** 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**- რას ნიშნავს ამსულებლის ექსცესი?**

-ამსრულებლის ექსცესი ნიშნავს ამსრულებლის მიერ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, რომელსაც არ მოიცავს სხვა თანაამსრულებლის ან თანამონაწილის განზრახვა.

ამსრულებლის ექსცესისათვის სხვა თანაამსრულებელს ან თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება (სს კოდექსისი 26-ე მუხლი).

* * *

**-გთხოვთ, მოგვითხროთ ნასამართლობისა და მისი მოხნა-გაქარწყლების პირობების შესახებ.**

-სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.



სასჯელისაგან გათავისუფლებული ითვლება ნასამართლობის არმქონედ.

ნასამართლობა გაქარწყლდება:

ა). პირობით მსჯავრდებულისა - გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ;

ბ). თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულისა- სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ;

გ). ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა - სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ;

დ). მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა - სასჯელის მოხდიდან ექვსი წლის შემდეგ;

ე). განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა - სასჯელის მოხდიდან რვა წლის შემდეგ.

თუ მსჯავრდებული კანონით დადგენილი წესით სასჯელის მოხდისაგან ვადამდე იქნა გათავისუფლებული ან თუ მას სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, ნასამართლობის გაქარწყლების ვადა შესაბამისად გამოითვლება სასჯელის ფაქტობრივად მოხდილი ვადიდან ან უფრო მსუბუქი სახის სასჯელის (ძირითადი და დამატებითი) მოხდის მომენტიდან.

თუ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული უმწიკვლოდ იქცეოდა, მაშინ მისი თხოვნით სასამართლოს შეუძლია, მოუხსნას მას ნასამართლობა ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე.

გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

* * *

**-არის თუ არა ვალდებული გერი, არჩინოს მამინაცვალი და დედინაცვალი?**

-გერი ვალდებულია, არჩინოს მამინაცვალ-დედინაცვალი, თუ ისინი ადრე ზრდიდნენ ან არჩენდნენ მას.

* * *

**- შემიძლია თუ არა, ალიმენტის გადახდა მოვითხოვო ნებისმიერ დროს?**

-ალიმენტის გადახდა შეიძლება ნებისმიერ დროს, სანამ ალიმენტის მოთხოვნის უფლება არსებობს, მაგრამ მისი გადახდის დაკისრება მხოლოდ მომავალი დროსათვის ხდება.მაგალითად, თუ თქვენი შვილის სასარგებლოდ მისი მამისაგან ითხოვთ ალიმენტს, მაშინ როცა ბავშვი უკვე 9 წლისაა, მამას კი ალიმენტი ამ დრომდე არ გადაუხდია, თქვენ არ გაქვთ უფლება, ალიმენტის გადახდა მოითხოვოთ გასული 9 წლისთვის. შეგიძლიათ, ალიმენტი მოითხოვოთ მხოლოდ მომავალი დროისათვის, რაც გულისხმობს ალიმენტის გადახდის დაკისრებას სარჩელის აღძვრის მომენტიდან მანამდე, სანამ ბავშვს 18 წელი არ შეუსრულდება.

მაგრამ ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი: წარსული დროის ალიმენტი შეიძლება გადახდევინებული იქნეს 3 წლის ფარგლებში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელის წარდგენამდე მიღებული იყო ზომები სარჩოს მისარებად/ მაგალითად, ალიმენტის მიმღები სისტემატურად ითხოვდა ალიმენტს/, მააგრამ ვალდებული პირი თავს არიდებდა მის გადახდას.

* * *

**-ალიმენტის გადახდის თაობაზე შემაქვს სარჩელი სასამართლოში. ვიხდი თუ არა სახელმწიფო ბაჟს?**

-ასეთ შემთხვევაში კანონი თქვენ გათავისუფლებთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

ჯემალ დავლიანიძე

## გეგმიური „ვარდების რევოლუცია“

გახსოვდეთ ეს, ბატონო პრეზიდენტო! პირველი კანონიერი, დემოკრატიული რეფორმები საბჭოთა კავშირში გატარდა საქართველოს რესპუბლიკაში, რომელსაც სათავეში უდგას ზვიად გამსახურდია.

თქვენ ბრძანეთ: „მან (ზ. გამსახურდიამ) უნდა გაითვალისწინოს, თუ რა ხდება მსოფლიოში“.

მან ყველაფერი კარგად უწყის, ბატონო პრეზიდენტო, ხოლო პირადად თქვენ, თქვენმა ადმინისტრაციამ და სახელმწიფო დეპარტამენტმა უნდა გაიგოს, თუ რა მოხდა საქართველოში და მისცეს ამ ხალხს თავისუფლება და დემოკრატია.

დიახ, ბატონო პრეზიდენტო, სამწუხაროდ თქვენ განზე გადექით“.

უპირველესად უნდა ვთქვა, რომ ამ ევროამერიკელ ჯენ სტრეიქერის მსგავსი ადამიანების გამოა, რომ მამა ღმერთი კიდევ გულმოწყალეა კაცობრიობისადმი. ამ ადამიანმა კარგად იცის, რომ ამერიკაა ერთერთი მთავარი ქვეყანა, სუპერსახელმწიფო, რომელიც „დემოკრატიას“ და „თავისუფლებას“ სურვილისამებრ იძლევა, კიდეც არიგებს, კიდეც ანიჭებს! ამაზე მიუთითებს ჯენ სტრეიქერის სიტყვები, ამერიკის „ადმინისტრაციამ და სახელმწიფო დეპარტამენტმა უნდა გაიგოს, თუ რა მოხდა საქართველოში და მისცეს ამ ხალხს თავისუფლება და დემოკრატია“.

სამწუხაროდ, მაშინდელი აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა იმის მაგიერ, მოეცა ქართველებისათვის „თავისუფლება და დემოკრატია“, წართმევა განიზრახა. საამისოდ შევარდნაძე არჩია, რაც გვიჩვენებს, რომ თვით ჯორჯ ბუშიც (და სხვა პრეზიდენტებიც!) ჩრდილში მდგომ ზეხელისუფალთა დავალებებს ასრულებენ და მაშინდელ საქართველოსათვის კი არ უნდა „მიეცათ თავისუფლება და დემოკრატია“, არამედ მოპოვებულიც უნდა წაერთმიათ, რაც იყო, ისიც დაენგრიათ.

შევარდნაძე რომ საქართველოს „ჰყიდიდა“, იცოდა ნიდერლანდელმა ადამიანის უფლებათა დამცველმა ბას ვან დერ პლასმა.

საქართველოს რომ „თავისუფლებას და დემოკრატიას“ არ აძლევდნენ, იცოდა ამერიკელმა, არლინგტონის სასწავლო და კულტურული გაცვლის ორგანიზაციის პრეზიდენტმა ჯენ სტრეიქერმა.

მე რა მეთქმის, გარდა მადლობისა, რომ მსოფლიოში, თუნდაც ევროამერიკაში, არსებობენ ამგვარი პირმართალი ადამიანები და ისინი სულაც არ არიან დიდ უმცირესობაში!

აბა, ჩემს მტრებს რა ჰგონიათ, - ყველა ევროამერიკელს კი არა ვლანძღავ. მე, როცა მათ ვესაუბრები, ვეკამათები და ხანდახან ვუბრაზდები, ევროამერიკელ პოლიტიკოსებს აყოლილ პიროვნებებთან მაქვს საქმე, თორემ რიგითმა, უბრალო ხალხმა რა დაუშავა ან საქართველოს, ანდა პირადად მე...

ჩემი და ჩვენი სადარდელი სწორედ ის გახლავთ, რომ გადამწყვეტ მომენტში ევროამერიკელთა სამმართველომ ღრმად „ჩაიძინა“, მთლად „მიიყურძირა“ საქართველოში 1991-1992 წლებში დატრიალებულ უბედურებათა დროს. არც სამხედრო გადატრიალება, არც შევარდნაძის რეჟიმის სისასტიკე, არც ქვეყნის აოხრება-გაჩანაგება, არც

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #02

# mware gakveTilebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvelo

## ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

სისხლისღვრა, მსოფლიოს ახალი წესრიგის მესვეურთა — ბუშის, ბეიკერის, გენშერის და სხვათა ულმობლობა, შემთხვევითი არ ყოფილა. ყოველივე გეგმაზომიერი, განსახორციელებელი იყო, რათა კავკასიაში მზაკვრული, დემონური საქმეები აღსრულებულიყო.

მაგრამ!...

აჰა, მივედით „მაგრამამდე“...

მაგრამ, შევარდნაძეც ბერდება და საქართველოს ძველებურად ვეღარ აოხრებს. ამავ დროს, იგი უკვე ხვალინდელ დღეზე ფიქრობს.



არის სიბოროტე, რომლის განხორციელების სურვილი მუდამ გააჩნია, მაგრამ ფიზიკური ძალა აღარ ჰყოფნის.

ეს ამბავი მხოლოდ ეძიკა შევარდნაძემ კი არ იცის, არამედ ევროამერიკაშიც იციან! უფრო მართალი იქნება თუ ვიტყვი: იქ უფრო იციან, რადგან შევარდნაძის მემკვიდრეს უკვე კარგა ხანია ეძებენ.

ეს რომ ასეა, ნათლად დავინახავთ ამერიკის სენატში (1997 წელს) გამოსული მომხსენებლების პირიდან:

„ამერიკის სენატში 9 აპრილს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების 6 წლისთავის აღსანიშნავად გამოვიდნენ სენატორები გილმანი და მაკონელი. გთავაზობთ გილმანის სიტყვას:

-საქართველო არის მსოფლიოში უძველესი ქვეყანა, რომელიც კავკასიის რეგიონში ევრაზიის გზაჯვარედინზე მდებარეობს... მას შემდეგ, რაც საქართველო 1801 წელს ანექსირებულ იქნა რუსეთის იმპერიის მიერ, მას არასოდეს შეუწყვეტია ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. 1918 წელს ეს ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდა და ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა (მცირეოდენს ცრუობს ამერიკელი სენატორი გილმანი, რადგან 1918 წელს დამოუკიდებლობა ქართველებს „ბრძოლით“ არ მოგვიპოვებია. — ჯ.დ.), მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დამოუკიდებლობა ხანმოკლე აღმოჩნდა. 1921 წელს კომუნისტური რკინის ფარდა კვლავ ჩამოეფარა ამ პატარა, მაგრამ ამაყ ერს (სინამდვილეში, რუსეთი მაშინ, როგორც იქნა მიხვდა, რომ საქართველოში ძალიან მალე შეიძლება ფეხი მოეკიდა ან თურქეთს ანდა ევროამერიკას და ჯარი შემოიყვანა. ასე რომ არ მომხდარიყო, ზუსტად ისე განვითარდებოდა ამბები, როგორც ამჟამად — კავკასიისათვის ბრძოლა შეიძლება მსოფლიო ომითაც დასრულებულიყო! — ჯ.დ.). 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა ჯარებმა სასტიკად დაარბიეს მშვიდობიანი მიტინგი (და ეს გააკეთა აშშ-ის უსაყვარლესმა ედუარდ შევარდნაძემ რუსეთის სახელით! — ჯ.დ.) საქართველომ 1991 წლის 9 აპრილს ოფიციალურად მიიღო დამოუკიდებლობის დეკლარაცია. 9 აპრილი არის საქართველოში თარიღი, რომელიც აღნიშნავს თბილისში რუსების მიერ მოწყობილ საშინელ ტრაგედიას და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას (ამერიკელი სენატორი არ ახსენებს ზვიად გამსახურდიას სახელს, რადგან ასეა საჭირო. აი, შევარდნაძეს რომ გამოეცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, მაშინ რუპორით იღრიალებდნენ და მთელ ქვეყანას მოსდებდნენ! — ჯ.დ.).

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველომ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს... საქართველოში გამოჩნდა ახალგაზრდა და ენერგიული პოლიტიკური ლიდერების პლეადა, რომლის ნათელი წარმომადგენელია 34 წლის პარლამენტის სპიკერი ზურაბ ჟვანია, რომელიც გასულ თვეში ვიზიტით ვაშინგტონში იმყოფებოდა“ (გაზეთი „ახალი თაობა“ №108, 1997 წ. 21 აპრილი).

მაშასადამე, შევარდნაძე ევროამერიკამ რბილად, ვარდისფრად, ვარდებით უნდა გადააყენოს. გარანტიები უკვე არის. ხელშეუხებლობა სახეზეა. ისიც განჭვრეტილია, რომ ჟვანია-სააკაშვილის საქართველო, ყოველი მათ მიერ უბედურებით მოთესილი, იდეალური ადგილი იქნება ეძიკა შევარდნაძისათვის. მისთვის ვიღა მოიცლის, როცა სააკაშვილის მსგავსი პრობლემა აღმოცენდება?

ხალხის ასაბორგებლად არჩევნების გაყალბება უნდა მოიმიზეზონ! ეს ამბავი ჩინებულად მუშაობს მსოფლიოს ნებისმიერ, ყველა კუთხეში და მრავალი ხელისუფლება ჩამოუგდიათ კიდეც.

როცა ესურვილებათ არჩევნები ბრწყინვალედ ჩაივლის!

როცა მოუნდებათ და დასჭირდებათ, იგივე არჩევნები გაყალბებულად იქნება მიჩნეული!

შევარდნაძეს მისთვის უკვე საბოლოო არჩევნები ჩაატარებინეს და მოელაპარაკნენ, რომ გაყალბება მისთვის უნდა დაებრალებინათ, რაც ფერადი რევოლუციის საბაბი იქნებოდა.

დემონური რიტუალის ელფერი დაჰკრავდა პარლამენტის შენობის ხავერდოვან შტურმს, ხავერდოვან შეტევას, ხავერდოვან შეჭრას პარლამენტში და სააკაშვილის მიერ შევარდნაძის ჩაის დალევას.

როგორც ჩანს, ჩაის ჭიქის ამბავიც წინასწარი სცენარით გათამაშდა. შევარდნაძეს ჩაის გარკვეული რაოდენობა აკლდა, - რაც ნიშნავდა, რომ საქმე (ჩაი) შევარდნაძემ დაიწყო და დანარჩენი (საქმე) სააკაშვილს უნდა დაელია ანუ გაეგრძელებინა!

პარლამენტში დატრიალებული ამბები, რომ მართლაც დადგმული სპექტაკლი იყო, ერთი საინტერესო დეტალითაც შეიძლება გაიშიფროს:

შევარდნაძე ტრიბუნაზეა. კითხულობს ტექსტს. ესალმება და ულოცავს პარლამენტის წევრებს, სულ მალე, ახალი პარლამენტის მუშაობის დაწყებასაც გამოაცხადებს და...

ამ დროს შემოანგრიეს კარი. სააკაშვილი „ჯაჭვის პერანგშია“, წინ ვერ ბედავს წაწევას, მაგრამ ნატიფ, ფაფუკ თითებს იშვერს შევარდნაძისაკენ და მხოლოდ თითებითვე ემუქრება: გადადექი! გადადექი!

შევარდნაძე კი, თითქოს არაფერი ესმისო, დინჯად, აუღელვებლად განაგრძობს კითხვას.

„მოჯანყეები“ სკამებს ამტვრევენ, არის გაწევ-გამოწევა, გინება, ლანძღვა, მუშტი-კრივი, მაგრამ თქვენ არ მომიკვდეთ, ეძიკას რაიმე ესმოდეს.

შევარდნაძეს თავიც არ აუწევია, ისე სტაცა ხელი დაცვამ და როგორც თოჯინა, თავის ქაღალდებიანად გააზიმზიმეს კარისკენ. ვგონებ, დაცვის ბიჭების ხელებში უმანკოდ ჩამჯდარი შევარდნაძე კითხვას მაინც აგრძელებდა და თავი მაშინაც არ აუწევია.

პირველივე შეტევა ევროამერიკელმა ბიჭებმა აჭარისკენ, ასლან აბაშიძისკენ მიმართეს და ქართველ მოსახლეობას პირობა მისცეს — აჭარას აუცილებლად დავუბრუნებთ დედა საქართველოსო!

აქ, უეჭველია, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ასლან აბაშიძის ნაბიჯებს. მადლობა ღმერთს, მან გათვალა — შეიარაღებულ წინააღმდეგობას რა უბედურება შეიძლება მოჰყოლოდა და კიდეც მიატოვა სამშობლო, რათა ცეცხლის ალში არ გახვეულიყო.

საბჭოთა კავშირის დროს ხელოვნურად, სპეციალურად, მომავალი აფეთქებისათვის საქართველოში შექმნილი სამი ავტონომია: აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და აჭარისა, გამოიყენა არა მხოლოდ რუსეთმა, არამედ ევროამერიკამაც. უფრო მეტიც, ევროამერიკას გაცილებით წაადგა ამ ავტონომიებში წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც გარეგნულად სეპარატისტებს და რუსეთს ბრალდება. სინამდვილეში აქეთ გამალებული მოიწევს ნატო, ფართოვდება, რუსეთის გარშემო ძლიერ რკალს უკვე სალტედ აქცევს და კასპიის ზღვის გავლით შუა აზიისკენ მიემართება.

გარეგნულად, თვითონ ევროამერიკა, ნატო ანგელოზების როლში გამოდიან და ყოველგვარ დავიდარაბას სათავისოდ იყენებენ. ჩვენ დემოკრატიას მოვითხოვთ მსოფლიოს ყველა ქვეყანაშიო. ძირითადად ვებრძვით ნარკობიზნესს, ტერორიზმს და მეკობრეობასო. თითქოს ნავთობიც კი არაფერ შუაში ყოფილა. თითქოს სამშვიდობო, დემოკრატიული მისია გააჩნიათ და არც მართლმადიდებლობას, არც მაჰმადიანობას არ ებრძვიან.

ვარდების რევოლუციისას, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ჩააგონეს, რომ ოღონდ შევარდნაძე მოწყდეს პოლიტიკური არენიდან და ვინც გინდა მოვიდეს, იმაზე უარესი მაინც არ იქნებაო.

კარიერისტებმა ანუ მუდამ მოვლენების ზედაპირზე მოტივტივე პოლიტიკოსებმა იყნოსეს, რომ უმოკლეს ხანაში ხელისუფლება გამოიცვლებოდა და ჟვანია-სააკაშვილისკენ დაიძრნენ. გვერდში დაუდგნენ. ვის არ ნახავდით ამ ამქარში: ყოფილ ე.წ. ზვიადისტებს, შევარდნაძესთან უბრად მყოფებს, ნაწყენ ინტელიგენტებს და თანამდებობის მაძიებელ, მოხეტიალე „რაინდებს“. შემდგომ, სულ მალე, ბევრი მათგანი ჟვანია-სააკაშვილმა მარჯვედ გამოიყენა და თავისი ორბიტიდან „ამოარწყია“. თანამდებობის მაძებარმა, გაწბილებულმა პოლიტიკოსებმა ოპოზიციაში სტუცეს თავები და გუშინ მათ მიერ ხელისუფლებაში მოყვანილ ახალგაზრდა ევროამერიკელებს გადაუდგნენ. ოღონდ ფესვი იგივე დაიტოვეს, - ევროამერიკის იმედით, იგივე ევროამერიკული ხელისუფლების მოჭრა-განადგურება სცადეს. მათ ძირითად ფუნქციად, საზღვარგარეთ ხშირი სირბილი და ხელისუფლების დაბეზღება იქცა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი







# თავსატეხი

ვერტიკალად: ადიდა, ბისტი, ლუხია, ეკაბი, გაბგა, ძირლა, თირლა, იჯექი, ლაქია, მუშნი, ოლოლი, ქუსტი, შარია, ციცეა, ჩაშა, ჯაფნი.

ჰორიზონტალად: ააურა, ართუბა, ოგხგა, გოგუა, დასტა, ზიარი, თიქლი, იაშკა, ითქლი, კოთია, მარკი, ნაიკი, ოდინი, პორში, რინგო, სალტე, ტაბლო, ქისტა, ყალბი, წაკია, ჯაშნა.

# სამიდან ერთი

ვერტიკალად: 1. ხოხობი, ფუღურო, ცეხინი. 2. ხალიჩა, კუპერი, ბოკვა. 3. პაჟამა, საზელი, დელონი. 4. მარტი, პორში, ნესტა. 5. ოლესა, იდეშა, იციენი. 6. ყაშში, ჯარისი, ქვალი. 11. პასკალი. მიშელია, კარტული. 12. პაშინი, სოარობი, ტანიები. 13. ტეგვალა, სირავა, კეჩილი. 14. სომალი, მალულა, ბოგარი. 15. ზამთი, ყალიბი, რიშარი. 16. ბოლერო, ბალაკი, ბოზილი.

ჰორიზონტალად: 3. პორტიაკი, სასაგინი, ფელეტონი. 7. კოლექა, სულეიმი, შუბიამ. 8. პარტერი, ტორტელი, ფიჩინი. 9. მურანი, კეფალი, ჭორიზი. 10. მორგანი, მატრასი, მიამიტი. 13. ქასობი, ტომარა, ხელშკი. 17. მერქანი, მერკური, მაზანდა. 18. ლექანი, კალიში, მუხუდო. 19. სტატია, გრიფონი, ორიოლული. 20. დილეჯა, ჰატატი, ლოდერი. 21. პროტონი, შეიშინი, ხომურჯი.

# შიფრვორდი

| | |
|---|---|
| ა-5 | ს-17 |
| ბ | ტ |
| გ | უ |
| დ | ფ |
| ე-8 | ქ-4 |
| ვ | ღ |
| ზ | ყ |
| თ | შ |
| ი 7 | ჩ |
| კ | ც 25 |
| ლ | ძ |
| მ | წ-11 |
| ნ | ჭ |
| ო | ხ |
| პ | ჯ |
| ჟ | ჰ |
| რ 14 | |

# სიზმრების მართვა უკვე შესაძლებელია



სპეციალური თვალების ნიღბის საშუალებით მეცნიერებმა უკვე შეძლეს სიზმრების „კონტროლი".

ამერიკელი პროფესორები დუნკან ფრეიზერი და სტივენ მაკგიგანი კარგა ხანს მუშაობდნენ თვალის ნიღბის შესაქმნელად, რომლის საშუალებითაც ადამიანს შეეძლება მართოს საკუთარი სიზმრები. ნიღაბი თვალებს „აბნელებს" და მასში ჩამონტაჟებული დიოდები და აქსელერომეტრი.

თვალის მოძრაობით ნიღაბი განსაზღვრავს, როდის იწყება ძილი ამ მომენტში დიოდები ხურდება გარკვეულ ტემპერატურამდე. მეცნიერები ირწმუნებიან, რომ შუქის პერიოდული იმპულსები ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედებს, ტვინში წარმოიქმნება ნათელი ორნამენტები, როგორც ილუზია, რაც აკონტროლებს ცნობიერების და მართავს სიზმრებს.

ნიღბების შემქმნელები მიიჩნევენ, რომ ეს შენაძენი ადამიანისთვის იმითაც იქნება სასარგებლო, რომ გამოასწორებს მძიმე, სტრესულ ხასიათს, ამასთანავე, ხელს შეუშლის თვალის ირგვლივ ნაოჭების გაჩენას.

# ერთმანეთზე ზრუნვა ჯანმრთელობის საწინდარი ყოფილა



სისხლში იზრდება იმუნური უჯრედების რაოდენობა, გული აქტიურ მუშაობას იწყებს, სისხლი კაპილარების საშუალებით სხეულის ყველაზე შორ კუთხეებსაც სწორად მიეწოდება, სუნთქვა უფრო მსუბუქი ხდება, გამოიმუშავებთ არა მხოლოდ ბევრ ნახშიროჟანგს, არამედ მცირდება ორგანიზმში ბრონქიტის და პნევმონიის რისკები, – აღნიშნავენ თერაპევტები.

მაგრამ, როდის ხდება ეს? მეცნიერები და მედიკოსები ამტკიცებენ, რომ გარანტია ჯანსაღი სქესობრივი ცხოვრებაა.

მამაკაცები, რომლებიც კვირაში 3-4-ჯერ არიან დაკავებული ინტიმური ურთიერთობით ქალბატონებთან, 50 პროცენტით ნაკლებად ავადდებიან ინსულტით ან ინფარქტით.

ბერძენი მეცნიერები ირწმუნებიან, რომ ორგაზმი იცავს ქალს მკერდის კიბოს დაავადებისგან.

იტალიელი მკვლევარები ემანუელ ჯანინის ხელმძღვანელობით, აღნიშნავენ, რომ მამაკაცები, რომლებსაც აქვთ სისტემატიური სქესობრივი ურთიერთობები ერთი და იგივე პარტნიორთან, სამჯერ უფრო მეტად დაცულნი არიან გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისგან, იმ მამაკაცებისგან განსხვავებით, რომლებიც ხშირად იცვლიან პარტნიორებს.

მეცნიერები ამ ფენომენს ასე ხსნიან: ტესტოსტერონი, რომელიც სისხლში გამომუშავდება შეთანხმებული სქესობრივი კონტაქტისას, ამცირებს დეპრესიისა და უსიამოვნო განწყობების საშიშროებას. ასე, რომ ერთმანეთის გაფრთხილება თქვენი საკუთარი ჯანმრთელობისთვისაც უმჯობესი ყოფილა.

# 2050 წელს ჰაერის უკმარისობის გამო 3,6 მილიონი ადამიანი დაიღუპება



ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის გამო შეიძლება დაიღუპოს დედამიწის მოსახლეობის მეოთხედი ნაწილი. ადამიანების გარდაცვალების მიზეზი ჰაერის უკმარისობა გახდება, მეორე მიზეზად უხარისხო წყალი დასახელდა, მაგრამ მთავარი მაინც უკიდურესი სანიტარული დაბინძურება გახდება. მტვრის რაოდენობის გაზრდა ქალაქებში გამოიწვევს მომაკვდინებელ დაავადებებს სასუნთქ გზებში. თუ საწინააღმდეგოს არაფერს მოვიმოქმედებთ, ასეთი ტიპის დაავადებები ყოველწლიურად 3,6 მლნ. ადამიანს შეიწირავს მსოფლიოში", – პროგნოზირებენ სპეციალისტები.

მათი მონაცემებით, დღეისთვის ყველაზე მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობა ჩინეთსა და ინდოეთშია, მაგრამ არის ქვეყნები, რომლებიც კრიტიკულ ზღვარს უახლოვდებიან. საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ არა მხოლოდ ჟანგბადის ნაკლებობაზე, არამედ წყლისაზეც, ეს პრობლემა ყველაზე მწვავედ აფრიკის და აზიის ქვეყნებს ექნებათო.

2050 წლისათვის წყლის მოხმარება მაქსიმალურად გაიზრდება ელექტროენერგიის გამომუშავებისთვის, რადგან დედამიწის მოსახლეობა ერთიორად იქნება გაზრდილი. ამის გამო ბუნებრივი წიაღისეულის მფლობელი ქვეყნები წყალს მაქსიმალურად გამოიყენებენ, რადგან გაიზრდება სითბური გაზის შემცველობა ატმოსფეროში (როგორც ამბობენ, 1,5-ჯერ), რაც, ცხადია, ჰაერის ხარისხის გაუარესებას გამოიწვევს.

„წყლის უკმარისობის პრობლემა ყველასთვის კარგად არის ცნობილი. ჩვენ უნდა ვეცადოთ წყლისა და ჰაერის პრობლემა გადავჭრათ, ამის გარეშე ვერ ვიარსებებთ", – განაცხადა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ანხელ ჰურიამ.

# მაუგლი – ბავშვები

ამ თემაზე ამას წინათაც გვქონდა საუბარი, მაგრამ მკითხველთა აქტიური ინტერესის გამო კვლავ ვაგრძელებთ საუბარს. ისტორია მაუგლიზე რადიარდ კიპლინგმა მოგვითხრო. თუმცა უნდა ითქვას, რომ არა მხოლოდ დაკარგული ბავშვები, არამედ მშობლებთან მაცხოვრებელიც შეიძლება იყოს ცხოველური ბუნების მატარებელი. ზოგიერთ ბავშვს განმარტოება უყვარს, თავს კარგად გრძნობს იზოლირებულ ოთახში და არ სურს იქიდან გამოსვლა. მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათია. აღრიცხულია მსგავსი შემთხვევების მხოლოდ 200.

„მაუგლის სინდრომით" დაავადებულს ახასიათებს მეტყველების დარღვევა, ხშირ შემთხვევაში, ლაპარაკს საერთოდ ვერ ახერხებენ, განსაკუთრებით უჭირთ სუფრასთან ჯდომა და თეფშზე ჭამა და დანა-ჩანგლის ან კოვზის ხმარება, ეშინიათ ადამიანების, ყოველივე ამის გამო მათ აქვთ მყარი იმუნიტეტი, ვიდრე მათ ირგვლივ მყოფ ადამიანებს.



ფრანგი-მაუგლი, ასე უწოდებდნენ ბავშვს, რომელიც საფრანგეთში, შამპანის პროვინციაში იპოვეს 1731 წელს. ტყეში 9-10 წლის გოგონა იპოვეს, რომელიც თავიდან შავკანიანი ეგონათ, ისეთი ჭუჭყიანი იყო. გოგონას, რომელსაც შემდეგ მემი ლე ბლანკი უწოდეს, საერთოდ არ გასჭირვებია ფრანგული ენის შესწავლა. მან ენა ისედაც იცოდა და თვითონვე მოჰყვა, როგორ მოიტაცეს, როცა 7 წლის იყო. ტყეში ცხოვრების პერიოდის სხვა დეტალები გოგონამ ვერ გაიხსენა.

## მაუგლი ავეირონიდან

მე-18 საუკუნის ბოლოს სამხრეთ საფრანგეთის ტყეებში შეამჩნიეს, დაახლოებით, 12 წლის ბიჭუნა, რომელსაც უწოდეს ვიქტორი ავეირონიდან. ის იყო, თითქმის, ყველაზე ცნობილი ბიჭი-მაუგლი. მისი ისტორია მსოფლიოსთვის ცნობილი გახდა ფილმით „ველური ბავშვი". მიუხედავად იმისა, რომ გაურკვეველი იყო მისი წარმოშობის ისტორია, მიიჩნევა, რომ ვიქტორმა მთელი ბავშვობა ტყეში გაატარა 1797 წლამდე, ანუ იმ დრომდე, როცა ის იპოვეს... მას შემდეგ ვიქტორი რამდენჯერმე გაუჩინარდა, ბოლოს თვითონვე გამოჩნდა 1800 წელს. მას შემდეგ ბიჭი მსოფლიოს ფილოსოფოსებისა და მეცნიერების დაკვირვების ობიექტი გახდა, თუმცა ბევრი ვერაფერი შეიტყვეს, რადგან ვიქტორს ფსიქიური განუვითარება აღენიშნებოდა.

## ლობო, გოგონა-მგელი ეშმაკის მდინარიდან

1845 წელს გამოუცნობი არსება შეამჩნიეს, რომელიც ოთხ ფეხზე დარბოდა, მგლებთან ერთად თავს ესხმოდა თხების ჯოგს მექსიკაში, სან ფელიპეს სიახლოვეს. დანახვიდან ერთი წლის შემდეგ კვლავ შეამჩნიეს, როცა მშიერი მიირთმევდა მოკლულ თხას. სოფლის მაცხოვრებლებმა გოგონას ძებნა აქტიურად დაიწყეს და მალე დაიჭირეს კიდევაც, როგორც ამბობდნენ, გოგონა ღამლამობით დადიოდა, თურმე, დედალ მგლებთან ერთად, ხოლო დღისით გამოჩენას ერიდებოდა. გოგონა დაიჭირეს, მაგრამ მგლები არ სცილდებოდნენ იმ ადგილს, სადაც სავარაუდოდ, გოგონა ეგულებოდათ. განსაკუთრებით ღამით აქტიურობდნენ. ბოლოს და ბოლოს, გოგონა-მგელმა შეძლო თავი დაეღწია ადამიანთა გარემოცვისთვის. ის აღარავის უნახავს 1862 წლამდე, როცა ის შემთხვევით შეამჩნიეს მდინარესთან ახლოს ორ პატარა ლეკვთან ერთად. მან მაშინვე მოჰკიდა ხელი თავის ლეკვებს და ტყეში გაიქცა. მას შემდეგ იგი არავის უნახავს.



თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# „– სააკაშვილო, შე ვადაგასულო და შე დამთხვეულო, ვისი დამთხოვი ხარ შენ?“




შიშნარევი ღამეები დადგა საქართველოში — ვიღაც-ვიღაცები გვაშინებენ — სააკაშვილი აპრილის თვეში პარლამენტსაც დაითხოვს და მთავრობასაც ზედ მიაყოლებსო.

— არიქა, ოღონდ ეს არ ქნათ, ბატონო პრეზიდენტო, არიქა, არ დაგვღუპოთ და არ დაგვაქციოთ... მოდით, თქვენც მშვიდად რომ იყოთ და ჩვენც მშვიდად გვეძინოს, კონსტიტუციაში ცვლილებები შევიტანოთ, ცოტა უფლებები შეიკვეცეთ, ისედაც ყველაფრის უფლება გაქვთ და ჩვენი დათხოვნის უფლებაზე მაინც თქვით უარი, თქვენო პრეზიდენტუმაღლესობავ, ოღონდ ამაზე დაგვთანხმდი და პატივისცემა ჩვენზე იყოსო, — უგზავნიან და უგზავნიან უსტარებს სააკაშვილს, ის კი კონსტიტუციაში ცვლილებების სანაცვლოდ ხან რას ითხოვს და ხან რას.

სულ ბოლოს თავისი კრიმინალური გუნდის სრული ამნისტია მოითხოვა — თურმე ამ ცხრა წლის განმავლობაში რაც უბედურება ჩაუდენიათ, არაფერზე პასუხი არ უნდა მოვთხოვოთ, ყველაფერი უნდა დავივიწყოთ, ყველაფერი ვაპატიოთ და სიამტკბილობით ვიკოაბიტაციოთ ამ ყაჩაღებთან.

**ამ კაცს, გვარად სააკაშვილს და სახელად მიხეილს, 2012 წლის 20 იანვარს პრეზიდენტობის ვადა რომ გაუვიდა, ამაზე რატომ არაფერს არ ამბობთ და ამ ვადაგასულს რატომ არ ვეუბნებით: — შე ვადაგასულო, წაბრძანდი სახლში და თავი დაგვანებეო.**

ამ უკვე არალეგიტიმურს ჩვენ თვითონვე რატომ ვაძლევთ ლეგიტიმაციას და ხელახლა რატომ ვადგამთ თავქარიან თავზე საპრეზიდენტო გვირგვინს?

— ბატონო პრეზიდენტო! ბატონო პრეზიდენტო!-ს რომ ვეძახით წამდაუწუმ, თუ ეს კაცი მართლა პრეზიდენტია, გადაგვაყენებს და დაგვითხოვს კიდევაც, აბა, რას იზამს?

პარლამენტის უფლებები მიისაკუთრე და მიიტაცეო, რომ საყვედურობენ, მთელი ქვეყანა რომ მიიტაცა ამ კაცმა, ეს რატომ არ გვიკვირს და ამაზე რატომ არ ვთხოვთ პასუხს?

საერთაშორისო თანამეგობრობა ვერ გაგვიგებს?

გავაგებინოთ მერე, ავუხსნათ, ცა და მიწა შევძრათ და ჩვენი სიმართლე დავამტკიცოთ.

ამ ყბედ და ენადგაკრეფილ „ნაციონალებთან“ პოლიტიკურ შაირობასა და კაფიაობაში, ვიღაცებს დაავიწყდათ, რომ „ქართულ ოცნებას“ ჰყავს ისეთი ერთგული და თავდადებული მხარდამჭერი, როგორიცაა ქართველი ხალხი.

**აბა, გაბედოს სააკაშვილმა და ან მთავრობის ან პარლამენტის დათხოვნა სცადოს, ისეთ ალიყურს მიიღებს ქართველი ხალხისგან, შეიძლება, აქეთ დაგვიწყოს ხვეწნა:**

— ოღონდ ამ ერთხელ მაპატიეთ და ამის შემდეგ თუ პრეზიდენტობაზე სიტყვა დავძრა, რაც გინდათ, ის მიყავითო.

არც ის დაგვავიწყდეს, მილიონნახევარმა ქართველმა საკუთარი ხელმოწერით რომ დაადასტურა სააკაშვილის ვადაგასულობის ამბავი.

ამ მილიონნახევარ ადამიანს მაინც ხომ უნდა მოერიდოს, ეს ვადაგასულ კაცი?

განცხადებებს... ძალიან სერიოზულად ნუ მიიღებთო, — გვირჩია ბიძინა ივანიშვილმა.

კი, ბატონო, რაც შეიძლება იუმორით ვეკიდებით, მაგრამ ცოტა მაშინ გვიჭირს, როცა მერაბიშვილი და უგულავა გმირად ცხადდება, ბაჩო ახალაია კი — ცოტნე დადიანად.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ვვარდებით, როცა დიდის ამბით დაჭერილ გუნავას და დონაძეს მეორე დღეს ქუჩაში ვხედავთ, ხოლო აფრასიძეების ცოდვააკიდებული ბარამიძე, იმის ნაცვლად, რომ „ვირის აბანოში“ იჯდეს, პარლამენტში ზის და საქართველოს ბალახვანის გავლით ნატოში შეყვანას უპირებს.

**გიორგი გამეზარდაშვილი**



ავლაბრის რეზიდენციასთან გამართულ საპროტესტო აქციაზე ერთმა ჭარმაგმა კაცმა ასე მიმართა სააკაშვილს:

**— სააკაშვილო, შე ვადაგასულო და შე დამთხვეულო, ვისი დამთხოვნი ხარ შენ?**

**მართლაცდა, ვისი დამთხოვნია ქართველი ხალხის მიერ კარგა ხნის წინათ დათხოვილი ეს თვითმარქვია „პრეზიდენტი“.**

— იუმორით მოეკიდეთ ამათ

*P.S. ეს წერილი უკვე მზად იყო სტამბაში ჩასაშვებად, როცა მიხეილ სააკაშვილისადმი საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მიმართვის ტექსტი გამოქვეყნდა.*

*ამ მიმართვაში ბატონმა ბიძინამ მხოლოდ თავისი კი არა, პირველყოვლისა, ქართველი ხალხის სათქმელი თქვა.*

*იმედია, ნაციონალები ახალა მაინც გააკეთებენ საჭირო დასკვნებს...*

**გ.გ.**

## ბიძინა ივანიშვილი (მიხეილ სააკაშვილს): „კონსტიტუციური ცვლილებები ეპოქალურ თემას დაუკავშირდა: წინ — მომავლისკენ, თუ უკან — წარსულისკენ. ამიტომ ვერ მივიღებ ვერანაირ „კი, მაგრამ“-ს და „დღეს არა, ხვალ“-ს.“

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

## ასტროლოგიური პროგნოზი


**ვერძი** — ამ კვირაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ინფორმაციას — ნუ გაამჟღავნებთ საკუთარ საიდუმლოებებს. მოქმედეთ და ხელი შეუწყვეთ დადებითი ტენდენციების განვითარებას.


**კურო** — შესაძლებელია, გამოგიჩნდეთ დაუგეგმავი ხარჯები, თუმცა ნუ გადააჭარბებთ — ნუ იქნებით უყაირათო დ მაქსიმალურად გააკონტროლეთ თქვენი ფინანსები.


**ტყუპები** — ამ პერიოდში მოგიწევთ გადააფასოთ ღირებულებები. ყურადღება გაამახვილეთ სამსახურეობრივ საქმიანობასა და კარიერაზე, მით უმეტეს რომ პირადული საკითხების მოგვარება ბევრ დროსა და ენერგიას წაგართმევთ.


**კირჩხიბი** — გააქტიურდებით და სერიოზული შემოქმედებითი პროექტის განხილვაც მოგიწევთ. ნუ იზარმაცებთ და ნუ იქნებით უხეში, ეს თქვენს მომავალ წარმატებებს შეაფერხებს.


**ლომი** — მოსალოდნელია, ეს კვირა თქვენი სურვილების შესრულების პერიოდად იქცეს, შეეცადეთ ყველაფერი ეტაპობრივად გააკეთოთ.


**ქალწული** — თქვენ შეძლებთ არსებული მდგომარეობის გაკონტროლებას, იმოქმედეთ წინდახედულად, თუმცა, ნუ დაიწყებთ გარშემომყოფების კრიტიკას.


**სასწორი** — მოსალოდნელია, გაგიჩნდეთ კარდინალური ცვლილებების განხორციელების სურვილი, თუმცა ამას რამდენად მოახერხებ და რამდენად შეძლებთ საერთო მდომარეობის გამოსწორებას, ეს თქვენზეა დამოკიდებული.


**მორიელი** — ამ კვირაში მოერიდეთ ზედმეტ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას, ყურადღებით მოუსმინეთ გარშემომყოფვა რჩევებს და შეძლებისდაგვარად გაითვალისწინეთ კიდეც.


**მშვილდოსანი** — მოსალოდნელია ურთიერთობებისა და საქმეების განახლება დაგჭირდეთ, ამაში ნაცნობებიც დაგეხმარებიან.


**თხის რქა** — მოგიწევთ კომპრომისზე წასვლა და ამასთან გამოგიჩნდებათ საშუალება, რომ მოძალებულ პრობლემებს თავი დააღწიოთ.


**მერწყული** — ამ კვირაში მეტი ყურადღება ჯანმრთელობას მიაქციეთ, ნერვულ სისტემას, ნუ გადაიტვირთავთ თავს.


**თევზები** — კვირის დასაწყისში მოსალოდნელია, მრავალი პრობლემა გადაჭრათ. ეს თქვენს ნერვულ და ემოციურ სისტემას დაძაბავს. თუმცა, შემდეგ ყველაფერი თქვენს სასიკეთოთოდ შემოტრიალდება.

### სკანვორდის პასუხები:

1.ზედახორა. 2. სელპაკი. 3. საპატარძლო. 4. რიგოლეტო. 5. პეტრარკა. 6. კლერკი. 6ა. სალვადორი. 7. აპელაცია. 8. ტაგანკა. 9. მტევანი. 10. აპოხტი. 11. ავყია. 12. აჩაჩული. 13. ყვანჯი. 14. ბოცმანი. 15. ბოგანო. 16. ჰაგიოგრაფია. 17. ნატალი. 18. ფირუზი. 19. ფიჩხი. 20. ჩარდახი. 21. ვებერი. 22. ვუპი. 23. ორთოგრაფია. 24. ჰიტი. 25. ტანგო. 26. ხეჩო. 27. შპიგელი. 28. პრობლემა. 29. პროპორცია. 30. ფშატა. 31. მგელი. 32. სიგი. 33. რაფია. 34. ფლატე. 35. ინტერი. 36. ფინიში. 37. კუჭმაჭი. 38. კალამი. 39. ტოლფასი. 40. ალყა. 41. ჰაიმორიტი. 42. ცაავა. 43. ხელფასი. 44. ლამი. 45. ვალკირიები. 46. მაყვალა. 47. მარკოზი. 48. ხრამული. 49. ოზი. 50. მაშა. 51. მონტანა. 52. ტარა. 53. ნაფარეული. 54. კოზაკი. 55. ასკეტი. 56. თავთუხი. 57. მარლონ. 58. ილია. 59. ფლუსი. 60. შამილი. 61. ციტრა. 62. ცისანა. 63. შივა. 64. თივა. 65. ქაბული. 66. ეული. 67. ხალი. 68. იუთუ. 69. ხირხალი.